

მიხეილ ბახტაძე

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების
ისტორიიდან

*ეუძღვნი 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის მიმდინარე
ომის მონაწილეთა ხსოვნას*

*ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმათლისათვის
რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა
მათე 5.10*

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი XX საუკუნეში ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული, თუმცა ამავე დროს გმირული ფურცელია. ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება აღნიშნულ მოვლენას, მაგრამ მათში ძირითადად რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხებია განხილული და ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა უშუალოდ საომარი მოქმედებების აღწერას. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განხილული კი იყო ამ ომის სამხედრო მოქმედებები (თბილისის ოპერაცია, ბათუმის ოპერაცია და სხვ.), მაგრამ სრულიად გასაგები მიზეზების გამო საკმაოდ ტენდენციურად. 2009 წელს ჩვენ გამოვეცით პატარა ნაშრომი - „ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს“ - რომელშიც მოკლედ შეცვხეთ 12-17 თებერვლის ბრძოლებს და ძირითადი ყურადღება 18-25 თებერვალს, თბილისის მისადგომებთან მიმდინარე ბრძოლებს დაგუთმეთ. საერთოდ არ შევხებივართ 25 თებერვლის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. ამჯერად ჩვენ შევეცადეთ უფრო დაწვრილებით განგვეხილა 12-17 თებერვლის ბრძოლების პერიპეტეიები და მოკლედ შევხებოდით თბილისის დატოვების შემდეგ მიმდინარე ბრძოლებსაც. წინა ნაშრომზე მუშაობისას მხედველობიდან გამოგვრჩა სხვადასხვა წყაროებსა თუ სამეცნიერო ნაშრომში არსებული რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია, რომლებიც ცხადია კარდინალურად არ ცვლიან სურათს, მაგრამ გარკვეული საკითხების დაზუსტებას უწყობენ ხელს. ამჯერად ეს ხარვეზი გამოვასწორეთ. შესწორებულია რამდენიმე უზუსტობაც, რომელიც აფხაზეთში საბჭოთა რუსეთის მე-9 არმიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას ეხებოდა.

1921 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარე საქართველო-რუსეთის ომის აღწერისას უმნიშვნელოვანეს წყაროს სწორედ ამ ომის მონაწილეთა მემუარები წარმოადგენს. ზოგადად მემუარები შედარებით სუბიექტური წყაროა. მათში ასახულია ავტორის პირადი ემოციები და პიროვნული დამოკიდებულებები,

ახასიათებს გარკვეული უზუსტობები და ზოგჯერ შეცდომებიც. სამწუხაროდ ჩვენს შემთხვევაში, როდესაც სხვა სახის წყაროები მეტად მწირია, ძირითადი ინფორმაციის ამოღება სწორედ მემუარებიდან მოგვიხდა. მოგონებები ეკუთვნით: საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ გიორგი კვინიტაძეს; გენერალური შტაბის უფროსს გენერალ ალექსანდრე ზაქარიას; თბილისის დაცვის ცენტრალური, სოღანლული-შავნაბადას ფრონტის სარდალს გენერალ გიორგი მაზნიაშვილს; თბილისის დაცვის მარჯვენა ფლანგის ტაბახმელას მონაკვეთის მეთაურს პოლკოვნიკ (შემდგომში პოლონეთის არმიის გენერალს) ალექსანდრე ჩხეიძეს; გენერალური შტაბის ოფიცერს პოლკოვნიკ ვალერიან თევზაძეს; სახალხო გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროს აკაკი კვიციანიშვილს; იუნკრებს ნიკოლოზ მათიკაშვილსა და მიხეილ კვალიაშვილს; მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას; მთავრობის თავმჯდომარის ადიუტანტ კოტე იმნაძეს; სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, 1920 წელს სამხედრო მინისტრს გრიგოლ ლორთქიფანიძეს; დამფუძნებელი კრების წევრს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს რევაზ გაბაშვილს; ცნობილ ქართველ მოღვაწეს, შემდგომში ვერმახტის გენერალ შალვა მაღლაკელიძეს. აქვე გვინდა ყურადღება ერთ საკითხს მივაქციოთ. ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პირები, სამხედრო შენაერთების აღსანიშნავად სხვადასხვა სახელწოდებებს იყენებენ: პოლკი, ლეგიონი, ათასეული, ბატალიონი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში პოლკი, ლეგიონი და ათასეული სინონიმებად უნდა ჩავთვალოთ. ოფიციალურად ქართულ ჯარში არსებობდა ათასეულები, რომლებიც ასეულებად იყოფოდა. ბატალიონები კი სახალხო გვარდიის შენაერთებს ერქვა.

ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციებია დაცული იმ დროინდელ გაზეთებში.

უშუალოდ საომარი მოქმედებების მიმდინარეობის შესახებ ბევრი ცნობები არ მოიპოვება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა), თუმცა საინტერესო ინფორმაციებია დაცული ზოგადად ქართული შეიარაღებული ძალების შესახებ.

სამწუხაროდ ამ ეტაპზე მიუწვდომელია რუსეთის არქივებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც რა თქმა უნდა ძალიან საინტერესო ინფორმაციებს შეიცავენ 1921 წლის ამბებთან დაკავშირებით.

რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის ბედი 1920 წლის დასაწყისისათვის ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. ბოლშევიკებმა მოახრესეს ადმირალ

კოლჩაკის განადგურება, გენერალ დენიკის მოხალისეთა არმია კი სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. ყოველივე ამან და ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას საშუალება მისცა სამხრეთ კავკასიის დაპყრობა დაეწყო.

1920 წლის 28 აპრილს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ჯავშანმატარებლები ბაქოში შეიჭრნენ და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. საქართველოს მთავრობამ, რომელსაც სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მთავრობასთან, უკვე მეორე დღეს ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა¹. შეიქმნა „რესპუბლიკის დაცვის საბჭო“ მთავრობის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. საბჭოში შევიდნენ სამხედრო, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრები. ასევე შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრის მოადგილე გენერალი გედევანიშვილი და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი. რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად გენერალი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა².

აღნიშნული ღონისძიებების გატარება სრულიად აუცილებელი იყო და ეს შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმაც ცხადყო.

1 მაისს აზერბაიჯანის მხრიდან მოწინააღმდეგემ შემოტევა დაიწყო. გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, „1 მაისს აზერბაიჯანის ჯარებმა გადმოლახეს უძლიერესი ძალებით ჩვენი საზღვარი, ჩვენი ტერიტორიით შემოუარეს მას და წითელ ხიდთან მყოფი ჩვენი მოსაზღვრე პოსტი შეავიწროვეს. 2-სა და 3 მაისს საზღვარზე სროლა იყო. 4 მაისს აზერბაიჯანის ჯარები ცდილობდნენ, რომ ფოილოს ხიდთან მყოფი ჩვენი მოწინავე ნაწილისთვის შემოერთებულ, მაგრამ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. 5 მაისს გათენებისას მტერი კიდევ სცდილობდა შემოტევას ამავე ხიდზე ორი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით. რომ ჯავშნიანი მატარებლებისათვის არ მიგვეცა საშუალება ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლისა, ამიტომ ავაფეთქეთ ხიდი და ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა უკან დაიხიეს. 5 მაისს წითელ ხიდთან ომი

¹ საქართველოს მთავრობამ ფაქტობრივად უარი განაცხადა სამოკავშირეო ვალდებულებების შესრულებაზე, როდესაც არ დაეხმარა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მთავრობას და მთელი ყურადღება მხოლოდ საკუთარი საზღვრების დაცვაზე გადაიტანა. ეს ჩვენი აზრით აშკარად შეცდომა იყო. დაწერილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მ. ბახტაძე, საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები I, 2011 წ. თბ.

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №94 29/IV 1921 წ.

გაჩაღდა. მტერი, რომელსაც მნიშვნელოვანი დამხმარე ძალა მოუვიდა და რომელსაც არტილერია ეხმარებოდა, რამდენჯერმე შეტევაზე გადმოვიდა, საღამოს დავიჭირეთ ჩვენი პოზიციები. ამ ბრძოლაში ჩვენ მოგვიკლეს 6 გვარდიელი და დაგვიჭრეს 17. განსაკუთრებით გმირულად იბრძოდა ცხენოსანი ჯარი. იმავე დღეს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ჩამოყარეს ყუმბარები წითელ ხიდთან მყოფ მტრის პოზიციებში. 6 მაისს მტერი არტილერიით ესროდა ფოილოსთან მყოფ ჩვენს პოზიციებს და 8 მაისს ღამით კი თოფებით და ტყვიისმფრქვეველებით უშენდა ამავე პოზიციებს.¹ მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომლითაც ამ უკანასკნელმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და საზღვრები, საომარი ოპერაციები კვლავ გრძელდებოდა. ისევ გენერალური შტაბის ოფიციალურ ინფორმაციას თუ ვენდობით, „ჩვენს პოზიციებს 8 მაისს საღამოთი წითელი ხიდის რაიონში მტრის ცხენოსანი ჯარი ქვეითი ჯარის დახმარებით შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ უკანვე ვაგდეთ. 9 მაისს საღამოთი სოფელ ტაკიალის რაიონში გამოჩნდა მტრის რაზმი, მაგრამ ჩვენი რაზმის გმირული შეტევით, რომელსაც ვახმისტრი შელია უძღოდა უკუვაქციეთ. მტერს მოუკალით 1 ოფიცერი და დაუჭერით 4 ჯარისკაცი. ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. 9 მაისს ლაგოდეხის აღმოსავლეთით მყოფ რაიონში ჩვენ მოსაზღვრე რაზმს თავს დაესხნენ შეიარაღებული ლეკები. სროლის დროს მოკლულ იქნა საყარაულოს უფროსი ლეიტენანტი ყიფიანი. ლეკები დიდი ზარალით უკუვაგდეთ. ამ ბანდების საბოლოოდ სალოკვიდაციოდ ზომები მიღებულია. სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.“² ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა 11-13 მაისსაც. „გუშინ 10 მაისს წითელი ხიდის რაიონში ჩვენ ბრძოლით მტერი 4-5 ვერსით უკან დავწიეთ. ჯარების უფროსები ერთხმად ადასტურებენ ჩვენი ჯარისკაცების გმირობას. იმავე დღეს ჩვენი ჰაეროპლანები მტრის ზურგს ესროდა ყუმბარებს და ჰყრიდა პროკლამაციებს საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავის შეკერის შესახებ. 11 მაისს დილიდან წითელი ხიდის რაიონში ბრძოლა სწარმოებს“³. „12 მაისს დილის 5 საათზე ჩვენი ნაწილების გმირული შეტევით მტერი მის მიერ დაკავებული პოზიციებიდან გავრეკეთ. ჩვენ დავიჭირეთ ხრამის ხიდი და მის გარშემო მდებარე სიმაღლეები. მტრის დევნა გრძელდება“⁴.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №103 11/V 1921 წ.

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №103 11/V 1921 წ.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №104 12/V 1921 წ.

⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №105 13/V 1921 წ.

„წითელი ხიდის რაიონში მტერს რამდენიმე ვერსით ეჭირა ბამბაკის მთის მიდამოები მდ. მტკვრამდე ჩვენს საზღვრებში. მტრის მთავარი პოზიცია მდებარეობდა მაღალ ქედზე და გამაგრებული იყო თხრილებით და ჭებით. ამნაირათ ისედაც ბუნებრივი სიმაგრე კიდევ უფრო იყო ხელოვნურად გამაგრებული. ჩვენ ჯარს პირდაპირ გაშლილ ველზე უნდა შეეჭია. მანევრები სრულიად შეუძლებელი იყო, იმის გამო, რომ მარცხნით ჩადის მტკვარი, ველზე კი რამდენიმე ადგილას გადის ალგეთი, ხრამი და დებედა-ჩაი. მიუხედავად ასეთი პირობებისა სახალხო გვარდიამ 2 დღის ბრძოლის შემდეგ მტერს პოზიციებიდან დაახევინა და 12 მაისს დილის 5 საათზე ზარბაზნებისა და ტყვიის მფრქვეველების დახმარებით გადამწყვეტი შეტევით დაიჭირა მათი მთავარი პოზიცია. საღამოს 12 საათზე ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა დაიჭირეს სოფელი შიხლი. მტრის დევნა გრძელდება.“¹ მხოლოდ 16 მაისს შეწყდა საომარი მოქმედებები.

საქართველოს ოკუპაციისა და გასაბჭოების პირველი ცდა ჩაიშალა. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა.

აზრბაიჯანის შემდეგ სომხეთის რიგი დადგა. 1920 წლის 29 ნოემბერს სოხეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. ცხადი იყო რომ მალე საქართველოს ჯერიც დადგებოდა. ასეთ ვითარებაში ძალიან დიდი როლი ენიჭებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალებს.

1920 წლის 13 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე დაინიშნა. გენერალი ოდიშელიძე რა თქმა უნდა გრძნობდა არსებულ საფრთხეს და ცდილობდა სათანადო ზომები გაეტარებინა. „გენ. ოდიშელიძემ და გენ. ზაქარიადემ წერილობითი მოხსენება გადასცეს თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 15 იანვარს. ისინი დარწმუნებული არიან, ხვალ თუ ზეგ წითელი რუსეთი თავს დაესხმის საქართველოს და ამიტომ ისინი მოითხოვენ საკმარისი ჯარის ყოლას. მათი გამოანგარიშებით 60 ათასი ჯარისკაცი“².

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის 4 თებერვალს ილია ოდიშელიძემ წარადგინა მოხსენება საქართველოს საზღვრების დაცვის შესახებ. მასში გაანალიზებული იყო არსებული ვითარება, საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობა და ქვეყნის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №106 14/V 1921 წ.

² ა.კვიციანიშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ურნაული „განთიადი“ 1990 წელი №2 გვ. 117-118

გენერლის აზრით მობილიზაციის შემთხვევაში საქართველოს შეიძლება ყოლოდა ქვეითთა 36 ბატალიონი, 3 ესკადრონი და ქონოდა 96 ქვემეხი და 216 ტყვიამფრქვევი. შემდეგ ილია ოდიშელიძე წარს, რომ თუ არ მოხდა დვალეთის (არდონის ზემო წელი), დარიალის ხეობის (ჯერახის სიმაგრე), ბათუმის ოლქის, არდაგანისა და ართვინის მხარეების დაკავება, ბოლშევიკების და ქემალისტების შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად დაგეგმირდება შემდეგი ძალები:

	ბატალიონი	ზარბაზანი	ესკადრონი	ტყვიამფრქვევი
მეხადირის პოზიცია	6	12	1	50
დვალეთის უღელტეხილები	3	8	1	28
დარიალის ხეობა	1	4	1/2	12
ბათუმის ოლქი	18	24	2	144
არდაგანის მხარე	32	48	4	130
სულ	60	96	8	364

თუ ქართული მხარე დაიკავებდა ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიებს, მაშინ შეტევის მოსაგერიებლად საჭირო იქნებოდა გაცილებით მცირე ძალები:

	ბატალიონი	ზარბაზანი	ესკადრონი	ტყვიამფრქვევი
მეხადირის ¹ პოზიცია	6	12	1	50
მუზალის პოზიცია, კასარის ხეობაში ²	1	4	1/4	8
დარიალის ხეობა მდ.კისტინკას ³ მარცხენა ნაპირით	1	4	1/3	12
რუსეთის იმპერიის ყოფილი საზღვარი ბათუმის ოლქში	8	12	2	64

¹ მეხადირი მდინარე აფხაზეთში. დღევანდელი დაბა განთიადის დასავლეთით მდ. ფსოუმდე.

² კასარის ხეობა მდებარეობს დვალეთში (დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთი), მდინარე არდონის ხეობაში. სოფლებს ბურონსა და ზარამაგს შორის. სიდრმისა და დიდი დამრეცობის ფერდობების გამო კასარის კანიონსაც ეძახიან. ამ ხეობის გავლის შემდეგ გზა ხსნილია მამისონის, კოზის, კუდაროს, ძედოს, ზეკარის, ბახფანდაკის, კუტბის, როკისა, სბაეის, თრუსოს უღელტეხილებისკენ.

³ ამჟამად მდ. ხდა, თერგის მარჯვენა შენაკადი გველეთის ჩრდილოეთით.

ოლთისის მხარე	8	12	1/2	48
სულ	24	44	4	196

გენერლის საბოლოო დასკვნის თანახმად, თუ საქართველო აღნიშნულ ტერიტორიებს არ დაიკავებდა, მაშინ ბოლშევიკებისა და თურქების მოსაგერიებლად იმაზე ორჯერ მეტი ჯარი დაგჭირდებოდა, ვიდრე რეალურად შეგვიძლო გამოგვეყვანა. თუ საჭირო ტერიტორიებს დავიკავებდით, მაშინ ხანგრძლივი და შეუპოვარი დაცვისათვის საკმარისი იქნებოდა ჩვენი ჯარის 2/3, ხოლო დარჩენილი 1/3 რეზერვს შეადგენდა.¹

ილია ოდიშელიძის მთავარსარდლად დანიშვნის დროისათვის ვითარება შეცვლილი იყო და ათი თვის წინ გაკეთებული ანალიზი აღარ გამოდგებოდა. თუ მოხსენებით ჯარების 2/3 ქემალისტებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ, მხოლოდ ჩრდილოეთის საზღვრის ჩასაკეტად ქონდა ოდიშელიძეს განსაზღვრული, აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ეს მიმართულებებიც დასაცავი გახდა. ეს კი დამატებით დაახლოებით 450-500 კილომეტრია (დღეს საქართველოს საზღვარი სომხეთთან 164 კმ-ია, ხოლო აზერბაიჯანთან 322). აშკარაა, რომ მთელი საზღვრის დასაცავად საქართველოს უბრალოდ რესურსი არ ეყოფოდა.

1921 წლის დასაწყისისათვის საქართველო ფაქტობრივად ალყაში იყო მოქცეული და მტრის შემოტევა თეორიულად ნებისმიერი მიმართულებიდან იყო მოსალოდნელი. როგორც აკაკი კვიციანიშვილი წერს, „გენერალი ოდიშელიძე შეაყრობილია იმ აზრით, რომ საქართველოს ყოველი მხრიდან შემოესევინა მტრები და ამიტომ ყველა მიმართულებით მიჰყავს ჯარის ნაწილი.“² ერთი შეხედვით მართლაც ყველა მხრიდან იყო მოსალოდნელი შემოტევა და ჯარის გარკვეული ნაწილები ალბათ ყველა მიმართულებით უნდა ყოფილიყო დისლოცირებული. თუმცა ცხადია, ყველა მხრიდან ერთსა და იმავე დროს მოწინააღმდეგის ერთი და იგივე რაოდენობა არ შემოგვიტევდა. რაღაც მიმართულება იქნებოდა მთავარი და რაღაც მეორეხარისხოვანი. სწორია სახალხო გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსი აკაკი კვიციანიშვილი როდესაც წერს, „ომების ისტორია ნათლად გვიმტკიცებს, რომ გამარჯვება მთავარ ფრონტზე ნიშნავს ერის გამარჯვებას ... ეს უკვე კანონად არის

¹ А. Ментешашвили, исторические предпосылки современного сепаратизма в грузию Тб. 1998 г. გვ. 138-142

² კვიციანიშვილი გვ. 118

მიღებული სტრატეგიაში: თუ მთავარ ფრონტზე გავიმარჯვებთ და მეორეხარისხოვანზე დაემარცხდით, ჩვენ მაინც გამარჯვებული ვრჩებით.“¹

რომელი შეიძლება ყოფილიყო მთავარი ფრონტი 1921 წელს?

მართალია ქემალისტების ხელისუფლება ამ დროს ჯერ კიდევ საბერძნეთთან ომში იყო ჩაბმული და მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა², მაგრამ მაინც ახორციელებდა სერიოზულ შეტევებს სომხეთის მიმართულებით. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ სომხეთის მერე საქართველოს წინააღმდეგ გამოეღაშქრა.

საინტერესოა, რომ 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა სწორედ ქემალისტების მხრიდან ელოდა აგრესიას. განსაკუთრებით ყარსის დაიკავების შემდეგ, როდესაც თურქების მიერ განვითარებული შეტევის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა სომხეთის შეიარაღებული ძალები.

1920 წლის 16 ნოემბერს დაიბეჭდა დამფუძნებელი კრების მოწოდება ქართველი ხალხისადმი - „დაეცა ყარსი ... სომხეთის საუკეთესო სიმაგრე ... სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოს თავისუფალ არსებობას. ჩვენი ისტორიული მტერი, რომელთაც ქემალ ფაშა მეთაურობს არ სცნობს ჩვენ მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას, ვერ ურიგდება სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენ საზღვრებში არსებობას, ისინი მოხერხებულ დროს არჩევენ ჩვენზე თავდასხმისთვის. მოსალოდნელია, რომ სომხეთზე გამარჯვებით გათამამებული ქემალ ფაშა მთელი თავისი ძალებით ჩვენს შესამუსრავად გამოეშუროს.“³

რაც შეეხება საბჭოთა რუსეთს, შემოჭრის შესაძლო მიმართულებები იყო: შავი ზღვის გაყოლებით (მეხადირა-გაგრა), დვალეთის უღელტეხილები (მამისონი, როკი, თრუსო და სხვ.), დარიალის ხეობა, კახეთი, წითელი და ფოილოს ხიდები, და ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონა“⁴. თუნდაც მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ცხადია, გინდა ტაქტიკური და გინდა სტრატეგიული თვალსაზრისით, მთავარი კახეთის, ფოილო-წითელი ხიდებისა და ლორეს მიმართულებები იქნებოდა (ამას ადასტურებდა 1920 წლის მაისში მიმდინარე საომარი ოპერაციებიც). აქედან შემოსულ მოწინააღმდეგეს

¹ კვიტაიშვილი გვ. 118

² ბერძნების წინააღმდეგ პირველ წარმატებას თურქებმა 1921 წლის 10 იანვარს მიაღწიეს ქალაქ ინენიუსთან, თუმცა უპირატესობა მაინც მოწინააღმდეგის მხრეს იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზაფხულში ბერძნებმა ახალი დიდი შეტევა წამოიწყეს და 17 ივლისს ესკიშეხირესთან მოწინააღმდეგე დაამარცხეს.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №260 1920 წ.

⁴ 1921 წელს სწორედ ამ მიმართულებებიდან განახორციელა მოწინააღმდეგემ იერიში.

დიდი სივრცე ექმნება მანევრირებისათვის და თანაც დარტყმა პირდაპირ დედაქალაქზე ხორციელდება. „მთავარი ფრონტი ჩვენთვის იყო აღმოსავლეთ საქართველო. სხვა ფრონტები ჩვენთვის იყო მეორეხარისხოვანი. მეორეხარისხოვან ფრონტზე ყურადღება უნდა მიპყრობილიყო იმ პირობით, თუ იქით ჯარების გაგზავნა არ დაასუსტებდა მთავარ ჩვენ ფრონტს“.¹ აკაკი კვიციანიშვილის ინფორმაციით 110 კილომეტრის სიგრძის ფრონტს (ჯალალ-ოღლიდან ფოილოს ხიდამდე) 18-19 ბატალიონი იცავდა². იმ დროს არსებული ვითარების გათვალისწინებით საუკეთესო შემთხვევაში ეს 10-12 ათასი კაცია. რა თქმა უნდა ცოტაა. კახეთის მიმართულებას მე-9 ათასეული იცავდა, რაც ასევე არა საკმარისი იყო. სხვა საკითხია, რომ რეალურად ამ მიმართულებებზე დისლოცირებული ძალების რაოდენობის მეკეთრი გაზრდა უბრალოდ შეუძლებელი იყო რესურსების არ არსებობის გამო. თუმცა ამ მიმართულებით შესაძლებლობის მაქსიმუმი არ გაკეთებულა და ეს სარდლობის შეცდომა იყო.

ჯალალ-ოღლიდან ფოილომდე არსებული ძალების უკეთ განლაგების შემთხვევაში შესაძლებელი იყო წარმატებული თავდაცვითი ბრძოლის წარმოება.

საინტერესოა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. 1921 წლის იანვრის დასაწყისში ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი აზერბაიჯანში გაბრიელ (გაბო) ხუნდაძე, რომელმაც მთავრობას მოახსენა, რომ „ბაქოში დამთავრდა მე-11 არმიის შედგენა, რომლის მიზანია საქართველოს მიმართ ოპერაციების დაწყება“³. ნოე ჟორდანიამ როგორც ჩანს ყოველივე ეს დეზინფორმაციად ჩათვალა. ცხადია ერთი რამ, ქვეყანა მტრის მოსაგერიებლად მზად არ აღმოჩნდა.

ენახოთ თუ რა ძალები გააჩნდა საქართველოს 1921 წლისათვის.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ქართული შეიარაღებული ძალების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას იძლეოდა. ძალიან არაობიექტური და უაღესად ტენდენციურიდან დაწყებული, შედარებით რეალურით დამთავრებული. ზოგან აღნიშნულია, რომ ქართულ რეგულარულ არმიაში იყო 27 000 ქვეითი და 2 000 ცხენოსანი, გვარდიაში კი – 34 400 ქვეითი და 500 ცხენოსანი. ხოლო სასაზღვრო დაცვის და სხვადასხვა შეიარაღებული ნაწილების ჩათვლით საქართველოს 75 870 ქვეითი და 3990 ცხენოსანი ყავდა⁴. საქართველოს რომ მართლა ამხელა შეიარაღებული ძალები ყოლოდა მე-11

¹ კვიციანიშვილი გვ. 118

² კვიციანიშვილი გვ. 119

³ მაზნიაშვილი გ. მოგონებები 1990 წ. ბათ. გვ. 154

⁴ Кадишев А.Б. Интервенция и гражданская война в закавказии 1960 г. М. ст.386

არმიისგან არაფერი აღარ დარჩებოდა. 80 000 კაცი როგორც ჩანს იყო მაქსიმუმი რისი გამოყვანაც საქართველოს შეეძლო (ცხადია არ იგულისხმება ტოტალური მობილიზაცია), მაგრამ ამხელა ჯარი ჩვენ არასდროს არ გვეყოლია. შედარებით უფრო ობიექტური საბჭოთა მონაცემების თანახმად, ქართული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იყო: 50 000 ქვეითი და ცხენოსანი, 122 ზარბაზანი, 1225 ტყვიამფრქვევი, 4 ჯავშანმატარებელი, 16 ტანკი და ჯავშანმანქანა, 56 თვითმფრინავი.¹ ეს მონაცემებიც გადაჭარბებულია, განსაკუთრებით პირადი შემადგენლობისა და ტანკების რაოდენობის მხრივ. თვითმფრინავებში კი ალბათ იტალიაში ნაყიდი ის უახლესი მოდელის საფრენი აპარატებიც იგულისხმება, რომლებიც ვერ აფრინდნენ, რადგან თავის დროზე მათთვის ძრავში ჩასასხმელი ზეთი არ შეიძინეს.

რეალური ვითარება შემდეგი იყო, ქართული შეიარაღებული ძალები შედგებოდა რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიისაგან. ეს უკანასკნელი „იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ ევალებოდათ ყაზარმებში ცხოვრება. გვარდიელები უმეტეს დროს თავის სახლებში და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწობრში დგებოდნენ მხოლოდ წვრთვნისა და ომის დროს“.² გვარდია ფაქტობრივად არმიის პარალელური სამხედრო სტრუქტურა იყო. მისი სარდლობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას ემორჩილებოდა. გვარდია „პარტიული ჯარი“ იყო. მისი შექმნის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს არ ენდობოდა.³ გვარდიას არმიასთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა, მას უკეთესი მომარაგება ჰქონდა.⁴ მაშინ როდესაც ჯარში ჯარისკაცს თვეში 150-250, ხოლო ოფიცერს 3-6 ათასი მანეთი ეძლეოდა, რიგითი გვარდიელი თვეში 3-6 ათას მანეთს იღებდა.⁵ ქართული შეიარაღებული ძალების მიერ 1918-1920 წლებში წლებში წარმოებული ბრძოლების დროს გამოჩნდა, რომ გვარდია (ცხადია იყო გამონაკლისებიც) არმიას ბრძოლისუნარიანობითაც და დისციპლინითაც ჩამოუვარდებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისთან ბრძოლის დროს გვარდიამ

¹ Гражданская война в СССР. т. II. 1986 г. М. ст.347

² ანჩაბაძე გ. სამხედრო ისტორია 2002 წ. თბ. გვ. 74

³ ნიშანდობლივი ფაქტია, 1921 წლის თებერვალში უკვე თბილისის დატოვების შემდეგ, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელმა ალექსანდრე დგებუაძემ გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილთან შეკამათებისას და ამ უკანასკნელს სულ კონტრრევოლუციონერი და მეფის გენერალი ეძახა.

⁴ რ. გაბაშვილი წერს, „ერთ-ერთ „პარადზე“ (აღლუმზე) უნდა გენახათ ეს დემონსტრაცია: ცალ მხარეზე იდგა – ზამთარი იყო – „ბუმლატებით“ და თბილი ჩექმებით გვარდია და მეორე მხარეს – ხალათიანი და ჩუსტიანი, მოკანკაღე ჯარი“ (გაბაშვილი გვ. 236).

⁵ სცსსა. ფონდი 1969; აღ. 1; საქმე 670; ფურცელი 17 და 25

საოცარი თავდადება და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა (თუმცა აქაც იყო სამწუხარო გამონაკლისები).

გვარდია იყოფოდა მუდმივ და სარეზერვო ნაწილებად. მუდმივი ნაწილები იყო: ერთი, სრული შემადგენლობის საგანგებო ბატალიონი; მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონი; მესანგრეთა ერთეული; საარტილერიო ბრიგადა (ექვსი ბატარეა); ჯავშანავტომობილებისა და საბარგო ავტომობილების რაზმი; ცხენოსანი პოლკი (ექვსი ესკადრონი). სარეზერვო ნაწილი შედგებოდა ოცი (ზოგი მონაცემით ოცდასამი) კადრირებული ბატალიონისაგან.¹ გვარდიის მობილიზაციას 1-2 დღე სჭირდებოდა.² გვარდიის ცხენოსანი ნაწილი ერთ-ერთი საუკეთესო ქართული სამხედრო შენაერთი იყო. ის, რუსეთის იმპერიის საუკეთესო საკავალერიო ნაწილებში: ნიჟეგოროდისა და ტვერის დრაგუნთა პოლკებში ნამსახურები ქართველი ოფიცრებისაგან იყო დაკომპლექტებული.³

გვარდიას სათავეში შტაბი ედგა, რომელსაც უცვლელად მეთაურობდა ვალიკო ჯუღელი⁴.

ვალერიან თევზაძის ინფორმაციით, რომელიც სამხედრო წესდებისა და ინსტრუქციის შემმუშავებელი კომისიის მდივანი იყო, 1919 წლის შემოდგომაზე დამტკიცებულ იქნა ქართული ჯარის შემადგენლობა, რომლის მიხედვითაც არმიაში 4 ბრიგადა უნდა ყოფილიყო. ბრიგადა შედგებოდა 4 ათასეულისა და 1 საარტილერიო დივიზიონისაგან.

თავის მხრივ ათასეულის შემადგენლობაში ქვეითთა 5 ასეული, 1 მეტყვიამფრქვევეთა ასეული, მეკავშირეთა, მზვერავთა, მესანგრეთა რაზმები და შტაბის შემადგენლობა შედიოდა.

ცალკე არსებობდა სანაპირო დაცვის, ანუ მესაზღვრეთა ათასეული. ის ქვეითთა 6 ასეულისაგან შედგებოდა.

არმიის შემადგენლობაში შედიოდა: 3 საარტილერიო დივიზიონი, ცხენოსანი რაზმი, მესანგრეთა ათასეული, რადიო-ტელეგრაფის ნაწილი, საავიაციო გუნდი, ჯავშანმანქანების ნაწილი, ავტომობილების სატრანსპორტო კოლონა და 4 ჯავშანმატარებელი.

საომარი მდგომარეობის დროს ინიშნებოდა მთავარსარდალი, რომელსაც არმიაცა და სახალხო გვარდიაც ემორჩილებოდა.

¹ კვიტაიშვილი გვ. 117

² სცსსა. ფონდი 1969; ად. 1; საქმე 670; ფურცელი 25

³ სცსსა. ფონდი 1969; ად. 1; საქმე 670; ფურცელი 26

⁴ ვალიკო ჯუღელი პირადი სიმამაცით გამოირჩეოდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გვარდიაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, მაგრამ შემდგომ ანტისაბჭოთა აჯანყების სახელმძღვანელოდ კვლავ დაბრუნდა სამშობლოში. 1924 წელს კომუნისტებმა დაიჭირეს და დახვრიტეს.

აკვიტაიშვილის ინფორმაციით, მშვიდობიანობის დროს ქართული შეიარაღებული ძალები 24 000 კაცს ითვლიდა.¹

ძალიან საინტერესო მონაცემებია დაცული საბჭოთა რუსეთის აგენტურის მონაცემების საფუძველზე, სავარაუდოდ 1920 წლის ზაფხულში, შექმნილ დოკუმენტში², რომლის მიხედვითაც ჯარში და სახალხო გვარდიაში ერთად დაახლოებით 36 ათასი კაცი ირიცხებოდა (იხ. დანართი №1).

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მონაცემებით, 1920 წლის 25 აგვისტოსათვის ქართულ არმიაში (სამხედრო სკოლისა და სამნეო ნაწილის გამოკლებით) სიით 37 667 კაცი ირიცხებოდა, თუმცა რეალურად სახეზე 25 891 იყო³ (დაწვრილებით ინფორმაციისათვის იხ. დანართი №2). არსებობდა ქვეითთა სამი ბრიგადა. I-ს მეთაურობდა გენერალი დავით ართმელიძე, შტაბი განლაგებული იყო სოხუმში; II-ს ხელმძღვანელობდა გენერალი სოსო გედევანიშვილი, შტაბით თბილისში; III-ს სარდლობდა გენერალი ვარდენ წულუკიძე, შტაბი ახალციხეში მდებარეობდა.⁴ ქართულ არმიას გააჩნდა: 730 ტყვიამფრქვევი, 4 გაუბიცა, 36 მძიმე და 40 მსუბუქი ქვემეხი.⁵ არტილერია ექვემდებარებოდა გენერალ ქუთათელაძეს⁶. საინჟინრო ნაწილებს ხელმძღვანელობდა გენერალი თაყაიშვილი.

მობილიზაციის შედეგად შესაძლებელი იყო 65-80 ათასი კაცის გამოყვანა.⁷ გამოყვანა.⁷

1920 წლის ნოემბერში გადაწყდა, 1890-1893 წლებში დაბადებულთა ნაწილობრივი მობილიზაციის ხარჯზე, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის 40 000 კაცამდე გაზრდა.⁸ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს და ძნელი სათქმელია რამდენად მოესწრო 1921 წლის თებერვლისთვის თუნდაც ამ ნაწილობრივი მობილიზაციის განხორციელება. არაპირდაპირ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერ მოესწრო. უფრო მეტიც, გენერალი მაზნიაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ 1920 წლის დეკემბერსა თუ 1921 წლის იანვარში, გენერალიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიღებული

¹ კვიტაიშვილი გვ. 117

² დაწვრილებით აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით იხ. მ.ბახტაძე, ერთი დოკუმენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესახებ (1920 წელი). მაცნე №2 2012 წელი

³ სცსსა ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 146, ფურცელი 3.

⁴ სცსსა. ფონდი 1969; აღ. 1; საქმე 670; ფურცელი 7-8

⁵ სცსსა. ფონდი 1969; აღ. 1; საქმე 670; ფურცელი 9

⁶ გენერალი კირილე ქუთათელაძე პროფესიონალი არტილერისტი იყო. 1910 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის ჩინი. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მსახურობდა პოლონეთის არმიაში. (Гогитидзе М. ст. 103)

⁷ ანხაბაძე გვ. 74-76

⁸ კვიტაიშვილი გვ. 117

იქნა გადაწყვეტილება ჯარიდან და გვარდიიდან უვადო შვებულებაში იმ პირთა დათხოვნისა, რომლებმაც ორი და მეტი წელი იმსახურეს.¹

1921 წლის 15 იანვარს² მთავარსარდალმა, გენერალმა ოდიშელიძემ და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ზაქარიაძემ თავდაცვის საბჭოს წერილობით გადასცეს მოთხოვნა ჯარის რაოდენობს 60 000 კაცამდე გაზრდის შესახებ.³ გენერალური შტაბის უფროსი წერდა, „ჩვენი ოცნება იყო რამენაირად სამოცი ათასიანი ჯარი შეგვექმნა, მაგრამ უიარაღობის გამო ეს ოცნება ოცნებად დარჩა (მიუხედავად იმისა, რომ მომზადებულ ჯარისკაცთა რიცხვი საქართველოში აღემატებოდა ორასი ათასს. სათანადო სარდლობაც მზად იყო)“.⁴

1921 წლის თებერვლის პირველი რიცხვებისათვის საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ქართული შენაერთები შემდეგნაირად იყვნენ განლაგებული⁵:

გორონცოვკაში (კალინინო, ტაშირი) პოლკოვნიკ რემუაღდ ჩხეიძის მეთაურობით იდგა: გვარდიის იმერეთის 1-ლი და კახეთის ბატალიონები, ცხენოსანი ჯარის ორი ესკადრონი, ორი საარტილერიო ბატარეა, ორი ჯავშანმანქანა;

ჯალალ-ოღლიში (ლორე, სტეფანავანი) პოლკოვნიკ მიხეილ იმნაძის განკარგულებაში იმყოფებოდა: გვარდიის ბორჯომისა და მანგლისის ბატალიონები, ცხენოსანი ჯარის ნახევარი ესკადრონი;

ბამბაკის ხეობა სანაინი-შაგალის მიმართულებაზე გენერალ სუმბათაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი II საარმიო ბრიგადის მე-5 და მე-8 ათასეულები, ორი ესკადრონი და ორი ბატარეა იყო განლაგებული;

ბობკიარის მთის მიმართულებით პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილის ორი ბატალიონი იდგა;

¹ მაზნიაშვილი გვ. 153.
² ძალიან საინტერესოა გენერალური შტაბის მონაცემები 1921 წლის იანვრის ბოლოსათვის ჯარის რაოდენობის შესახებ (სცსსა ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 146, ფურცელი 38). ქვეითთა სამივე ბრიგადაში (არ არის მხოლოდ მე-5 ათასეულის მონაცემები) სიითი შემადგენლობით ფიქსირდება 7053 კაცი, ხოლო სახეზი იყო 5989 (იხ. დანართი №2). ჩვენ გვიჭირს იმის თქმა, იყო თუ არა ჯარის რაოდენობის ასეთი შემცირების მიზეზი მხოლოდ განხორციელებული დემობილიზაცია.
³ კვიციანიშვილი გვ. 117-118
⁴ ზაქარიაძე გვ. 55
⁵ ქართული შენაერთების დისლოკაციის შესახებ ინფორმაცია დაცულია აკაკი კვიციანიშვილთან. უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის მე-2 ბატალიონის ყოფილ მეთაურს საინტერესო ცნობები აქვს მოტანილი 1921 წლის ომთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, აკვიციანიშვილის მოგონება ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყაროა. ამას ისიც მოწმობს, რომ მისი ცნობებიდან რომელთა გადამოწმებაც ხდება ყველა დასტურდება.

წითელ ხიდს იცავდა: გვარდიის გურიის ბატალიონი მაიორ ხომერიკის მეთაურობით. რომლის ზურგშიც თბილისის 1-ლი (სოფელ სარვანში) და მე-3 ბატალიონები (სოფელ ობელიანოვკაში) იყვნენ განლაგებული.

ფოილოს ხიდის მიმართულებას გვარდიის იმერეთის მე-2 და ზუგდიდის ბატალიონები, ერთი ესკადრონი, მესანგრეთა ასეული, სანაპირო დაცვის ასეული, ერთი ბატარეა და ჯავშანმატარებელი №4 იცავდა. ამ დაჯგუფებას პოლკოვნიკი კოდუა სარდლობდა.

რეზერვს, რომელსაც გენერალი ჯიჯიხია მეთაურობდა, გვარდიის ექვსი ბატალიონი, სამი ბატარეა და ორი ესკადრონი შეადგენდა¹.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაზე დისლოცირებულ, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწილებს გენერალი იოსებ (სოსო) გედევანიშვილი სარდლობდა. მის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ძაგანია იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იოსებ გედევანიშვილის დაქვემდებარებაში 10-12 ათასი მეომარი იმყოფებოდა. ჯარში დაბალ დონეზე იღვა დისციპლინა. მეომართა ნაწილს სამხედრო მზადყოფნა თითქმის სრულიად დაკარგული ჰქონდა. ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ ქართული შეიარაღებული ძალები პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი და ცალკეულ პუნქტებში ჩაყენებული.

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს ე.წ. „ლორეს ნეიტრალურ ზონაში“² განლაგებულ ქართულ შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმით დაიწყო საქართველო-რუსეთის ომი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოწინააღმდეგე წინასწარ ემზადებოდა თავდასხმისათვის. ყოველნაირად ცდილობდა ჯარის დეზორგანიზაციას. ამასთანავე „ბოლშევიკებმა წინასწარ შეგზავნეს საქართველოს საზღვრებში, სომეხთა სოფლებში თავისი ემისრები, ისინი მოედვნენ სომხურ სოფლებს და იქ შეიტანეს იარაღი. გადაცემული სომხების „წითელი“ არმიის ჯარისკაცები შეიპარნენ სომხურ სოფლებში და თან იარაღიც შეიტანეს“³.

¹ კვიციანიშვილი გვ. 119

² ეს ზონა 1919 წელს, საქართველო-სომხეთის ომის შემდეგ შეიქმნა და მოიცავდა ისტორიულ ქართულ ტერიტორიას, რომელიც ომის დაწყებამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. სომხეთის რესპუბლიკასთან 1920 წლის 13 ნოემბერს დადებული შეთანხმების თანახმად ეს ტერიტორია სამი თვის ვადით დაიკავა ქართულმა ჯარმა. „ეს ზონა გამოწვეული იყო სომხეთზე ოსმალეთის შემოტევით და მიღებულ იქნა სომხეთ-საქართველოს სრული ნებაყოფლობითა და შეთანხმებით.“ (ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე. გვ. 213) დღეს ეს ტერიტორია სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

³ კვიციანიშვილი გვ. 119

12 თებერვალი

მოწინააღმდეგეებ შეტევა ვორონცოვკის, ჯალალ-ოღლისა და სანაინის მიმართულებებით განახორციელა.

სანაინის მიმართულებაზე ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო შემოტევისათვის და მტერმა თითქმის სადახლომდე დაიკავა ბამბაკის ხეობა. მე-5 და მე-8 ათასეულები თითქმის მთლიანად განადგურდა. პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა.

ჯალალ-ოღლისა და ვორონცოვკას მიმართულებებზე იმნაძისა და ჩხეიძის შენაერთები ბრძოლაში ჩაება. მოწინააღმდეგე სოფელ ჩიბუხლოსკენ (ნოვოპოკროვკა) მიემართებოდა. პოლკოვნიკმა იმნაძემ კაპიტან ოქროცვარიძის ასეული სოფლის დასაცავად გაგზავნა. ქართველებს სოფელში უკვე მოწინააღმდეგე დახვდა და გვარდიელებს ბრძოლით მოუწიათ სოფლის დაკავება. ამასობაში მოწინააღმდეგე სოფელ გულეკირში მყოფ კახეთის ბატალიონის მეომრებს შეუტია და კაპიტანი ოქროცვარიძე ახლა მათ დასახმარებლად გაემართა.

ამასობაში პოლკოვნიკმა ჩხეიძემ თავის შენაერთებს ვორონცოვკას დატოვება, უკან დახევა და მდინარე კამენკას (ძეგამი) ნაპირზე არსებული სიმაღლეების დაკავება უბრძანა. საინტერესოა, რომ ორი დღით ადრე ჩხეიძეს ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგის ოთხი მზვერავი და მათგან შეიტყო მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. აკვიტაიშვილის ინფორმაციით, ჩხეიძემ ამის შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების სარდლობას აცნობა, თუმცა როგორც ჩანს იქ სათანადო ღონისძიებები არ გაატარეს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადამოწმება ვერ ხერხდება.

მტრის დიდი რიცხოვრივი უპირატესობის გამო იმნაძემ თავადაც მდ. ძორაგეტისაკენ დახევა და ჩხეიძესთან შეერთება გადაწყვიტა.

გენერალური შტაბის 12 თებერვლის ინფორმაციის თანახმად „ღამით 11-12-ს სომხეთის მხრივ რეგულარული ჯარის ნაწილები მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს ბეზობდალით¹ ბორჩალოს მაზრის სადგურ შაგალთან და სოფელ შიხინთან. ამასთანავე ბორჩალოს მაზრის მოსაზღვრე რუსი და სომეხი მოსახლეობა აჯანყდა და თავდასხმელთ შეუერთდა. მცხოვრებთა მეორე ნაწილი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვატყობინა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის გზით

¹ ბეზობდალის მთა მდებარეობს ბამბაკის ქედის ჩრდილოეთით. დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკის დასახლებულ პუნქტებს ბაზუმსა და გარგარს შორის

მომავალი გაფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯანყება ჩაქრობილია. შაგალის, უზუნდარის და შიხინის რაიონებში ბრძოლებია“.¹

13 თებერვალი

13 თებერვალს მოწინააღმდეგე მთელი დღე ქვემეხებიდან ესროდა მდ. ძორაგეტის ნაპირზე გამაგრებულ ქართულ ნაწილებს.

რაც შეეხება სადახლო-სანაინის მიმართულებას, გენერალმა გედევანიშვილმა, სრულიად მოუმზადებელი კონტრშეტევის განხორციელება გადაწყვიტა. გენერალ სუმბათაშვილის ქვედანაყოფის გადარჩენილ მეომრებს არმიის 1-ლი ათასეული, სადარაჯო ათასეულის ორი ასეული და გვარდიის საგანგებო ბატალიონი მიაშველეს და სანაინზე შეტევა დაავალეს. ამავე დროს გენერალ ჯიჯიხიას შენაერთს აირუმზე იერიში უბრძანეს. არმიის ცხენოსანი რაზმი „მგლის ჭიშკრის“ გავლით ლორეს მიმართულებით გაგზავნეს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ ჯიჯიხიას დაჯგუფებამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია და კიზილკაის სიმაღლეებიც დაიკავა, საერთო შეტევა მაინც ვერ განხორციელდა. გარდა იმისა, რომ გენერალ სუმბათაშვილის შენაერთს პირადი შემადგენლობის 2/3 დაკარგული ყავდა, გადარჩენილ მებრძოლთა მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა უმძიმესი იყო. შეტევაზე ფაქტობრივად მხოლოდ საგანგებო ბატალიონი გადავიდა, თუმცა ბევრი ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო. გენერალური შტაბის 14 თებერვლის ინფორმაციის თანახმად „თებერვლის 13-ის განმავლობაში ჩვენი ჯარები ვორონცოვკისა და სადახლოს სამხრეთით აწარმოებდნენ ბრძოლებს. წამოყვანილია ტყვეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხეთ-რუსეთის საბჭოთა ჯარები.“²

პირველი შეტაკებები ჩვენთვის მარცხით დამთავრდა. მოწინააღმდეგის შეჩერება ვერ ხერხდებოდა. ნოე ჟორდანიას წერს, რომ პირველივე მარცხის შემდგომ „მაშინვე დავიბარე ოდიშელიძემ და მოვსთხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ იყო დანაწილებული, შეერთება ვერ მოასწრეს. გამიკვირდა, შევუტეე როგორ დანაწილებული, ომისთვის ვემზადებოდით და თქვენ ჯარები დაფანტეთ! მე რა შუაში ვარ, მომიგო, ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ აკჩხენკელმა, დეკემბერშიო! გული მომივიდა ვინ არის ჯარების უფროსი თქვენ თუ ჩხენკელითქვა და გამოვუცხადე დაუყოვნებლივ გადადგეს“.³

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №1052 13/II 1921 წ.

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №1053 15/II 1921 წ.

³ ჟორდანიას გვ. 177

ჯარების დანაწილების ამბავს აღწერს აკაკი კვიციანიშვილიც, „გენერალი ოდიშელიძე ამბობს, რომ პოლიტიკური პირები მოითხოვდნენ მისგან, რომ სომხების აჯანყება არ მომხდარიყო, მიმელო ზომები და ჯარი ჩაეყენებინა სხვადასხვა სოფლებში. გენ. ოდიშელიძემ კატეგორიული უარი უთხრა იმ პოლიტიკურ პიროვნებებს ჯარის განაწილების შესახებ სოფელ-სოფელ. შემდეგ ის მიემგზავრება ბათუმს ჯარების ინსპექციისათვის და იქ ერთი კვირა რჩება ... დაბუნდა თუ არა, რას ხედავს? გენერალ გედევანიშვილს სოფელ-სოფელ დაუნაწილებია ჯარები. გენერალი ოდიშელიძე შეეკითხა გენ. გედევანიშვილს: რა მიზეზის გამო არ აასრულეთ ჩემი განკარგულებანი? მან მიპასუხა – ამბობს გენ. ოდიშელიძე - „ჩვენ ჯერ არ ვიცით, შემოგვესვებიან რუსები თუ არა და მერმე კიდევ როდის! რაც შეეხება სომეხ მცხოვრებთ, ისინი არ აჯანყდებიან, როდესაც ჩვენი ჯარი განაწილებული იქნება უმთავრეს სოფლებში. ასეთი განაწილება ჩემთვის არის საჭირო სანამ იარაღს აყერი მცხოვრებლებს და მერე დავაჯგუფებ ჩემ ჯარს ერთ ადგილზე. ჩვენ მთავარსარდალს გენ. ოდიშელიძეს მაშინვე უნდა მიელო ზომები, რომ ასეთი ურჩი გენერალი გადაეყენებინა ... მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იგი ამ მდგომარეობას შეურიგდა“.¹

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჯარის მცირე რაზმებად დაშლა ოდიშელიძის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა ნაწილობრივ გიორგი კვინიტაძეც ადასტურებს. „რასაკვირველია, მთავარსარდალს ამ ძალების განლაგება ზუსტად უნდა სცოდნოდა, მითუმეტეს ჯარი იქ უკვე დიდი ხანია იდგა. თუ ეს განლაგება არ ეჭაშნიკებოდა ან, საერთოდ, არასწორად მიაჩნდა, უნდა ჩარეულიყო და გამოესწორებინა თავისი შეხედულებისამებრ. არ ვიცი, მოხდა თუ არა ამგვარი რამ. კონსტანტინოპოლში გენერალმა ოდიშელიძემ თავის მოხსენებაში განაცხადა, გენერალ ი.გედევანიშვილს მითითებები მივეცი, მაგრამ არ შეასრულაო. ეს მოხსენება არ მომისმენია, რადგან იმ დროს უკვე პარიზში ვიმყოფებოდი.“²

ილია ოდიშელიძეს ჯერ გენერალი სოსო გედევანიშვილი უნდა მოეხსნა და შემდეგ მისი უაზრო ბრძანება გაეუქმებინა. მან ეს არ გაკეთდა.

¹ კვიციანიშვილი გვ. 118

² კვინიტაძე მოგონებები 1998 წ. თბ. ტ. II გვ. 42

14 თებერვალი

14 თებერვალს მოწინააღმდეგემ გენერალ ჯიჯიხიასა და გენერალ სუმბათაშვილის ნაწილებზე შეტევა განაახლა. ამ უკანასკნელმა მდ. ხრამისკენ დაიხია. მტერმა დაიკავა სადახლო. გენერალმა ჯიჯიხიამ, ნახა რა, რომ ყოველი მხრიდან მოწინააღმდეგე იყო, თავადაც მდ. ხრამისკენ უკანდახევა დაიწყო.

ამ მიმართულებაზე მოწინააღმდეგის წარმატებამ თავის მხრივ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო იმნაძისა და ჩხეიძის შენაერთები, რომლებსაც ფაქტობრივად მარცხენა ფრთა მოეშალათ. საერთო ვითარებიდან გამომდინარე მათ დატოვეს პოზიციები მდ. ძორაკეტზე და ეკატერინენფელდის (ბოლნისი) მიმართულებით დაიწყეს დახევა.

გენერალური შტაბის 15 თებერვლის ინფორმაციით, „თებერვლის 14-ს სადახლოს რაიონში სროლა და მზვერავთა მოქმედება იყო. ამ რაიონში მოწინააღმდეგეს აქტივობა არ გამოუჩენია. ლორეს ველზე მტერი სცდილობდა შემოტევაზე გადმოსვლას, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მისი ცდა უშედეგოდ დასტოვა. ღამით ამ რაიონში ჩვენი ჯარები უფრო შეჯგუფდნენ. ვორონცოვკის ჩრდილოეთით მებარე სიმაღლებზე არტილერიის რაზმმა, რომლის შესახებაც თებერვლის 12 არავითარი ცნობები არ გექონდა და რომელიც შიხინის რაიონში დაღუპული გვეგონა, ირგვლივ მტრის მიერ შემოხვეულმა გაიკაფა გზა და მთის ბილიკებით წამოვიდა ჩვენებთან შესაერთებლად“¹. გენერალური შტაბის როგორც ამ, ისე სხვა ინფორმაციებიდან აშკარად ჩანს, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა ან მართლაც არ ფლობდა რეალურ ინფორმაციას და სიტუაციას ვერ აკონტროლებდა, ან საგანგებოდ (მაგ. პანიკის გამოსარიცხად) იძლეოდა შელამაზებულ ინფორმაციას.

ქართული შენაერთების თავდაპირველ არა სწორ დისლოკაციას, პირველი ორი დღის მანძილზე დაშვებული შეცდომებიც დაემატა. აკაკი კვიციანიშვილი მიმოიხილავს რა ოდიშელიძის მიერ, ემიგრაციაში წასვლის შემდეგ სტამბულში გაკეთებულ მოხსენებას 1921 წლის ომის შესახებ, წერს „თვით გენერალ ოდიშელიძის მოხსენებაში ვხედავთ, რომ მან გაშლა-დაჯგუფება მოახდინა არა სწორად. იგი ლაპარაკობს – რომ დროზე მოსულიყვნენ მე-10 და მე-4 ქვეითი ათასეულები შიხინსა და სადახლოს, „დოყლაპიობას“ ლიკვიდაცია გაუკეთდებოდაო. გენ. ოდიშელიძის აზრი ჩვენი ჯარის მოქმედებაზე სწორია, მაგრამ ამ აზრის გატარებაში ის სრულიად არ იჩენს სათანადო ენერჯიას.“²

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №1054 16/II 1921 წ.

² კვიციანიშვილი გვ. 118

15 თებერვალი

ვითარების გამოსწორება ვერ ხერხდებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ როგორც გენერალი მაზნიაშვილი იგონებს, გენერალ ოდიშელიძეს გულწრფელად ეგონა, „რომ მართლა მხოლოდ სომხების ურდოები დაგვესხნენ თავს“.¹ ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აკაკი კვიციანიშვილის ცნობა, რომ „15 თებერვალს ფოილოს კოლონამ შეამჩნია რუსის ჯარების მოძრაობა წითელი ხიდის მიმართულებით. შემჩნეულ იქნა ფოილოს წინააღმდეგ რამდენიმე ბატარეა საომარ პოზიციებზე. კოლონის უფროსი დაელაპარაკა პირდაპირი მავთულით მთავარსარდალს – მტერი ამაღამ აუცილებლად გადმოვა შეტევაზე. ნება მოგვეცით ხიდი ავაფეთქოთო. გენერალმა ოდიშელიძემ უპასუხა – ჩვენ ვიმყოფებით მეგობრულ განწყობილებაში საბჭოთა რუსეთთან. დაუშვებელია ჩვენი მხრიდან მტრული მოქმედება. ერიდეთ პროვოკაციას“.² საქმის რეალური ვითარება არც ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იცოდა. 15 თებერვალს დამფუძნებელი კრების დეპუტატების წინაშე გამოსვლისას მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ განაცხადა, „მოქალაქენო! განმეორდა 1918 წლის ამბავი. სომხეთი კვლავ ვერაგულად თავს დაგვესხა ... ერევნის ეხლანდელი მთავრობა დღევანდლამდის სდუმს და სცდილობს ქვეყანას ამცნოს, რომ აქ ომი კი არა ადგილობრივი გლეხთა აჯანყებააო. მაშ ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითი პოლკები, არტილერია და ტყვიისმფრქვეველები? ვინ მოიყვანა სომეხ-რუსების რეგულარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში? ... ერევნიდან ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და მფარველობას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეებში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ხელშეკრულების³ ნიადაგზე. ერევანს დარჩა ერთადერთი ბაქო, სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეული ქართველი ბოლშევიკები, თავისი ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის წამქეზებელნი“.⁴ მთავრობის თავმჯდომარის ეს სიტყვა ვითარებაში გაურკვეველობისა და პოლიტიკური გულუბრყვილობის კლასიკური ნიმუშია.

15 თებერვალს ლენინმა ოფიციალურად გასცა მითითება ჰეკერისადმი, რათა მე-11 არმიას საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაეწყო.

¹ მაზნიაშვილი მოგონებები 1990 წ. ბათ. გვ. 157

² კვიციანიშვილი გვ. 121. აკაკი კვიციანიშვილის ბატალიონი სწორედ ფოილოს ხიდს იცავდა.

³ იგულისხმება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო.

⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №36 1921 წ.

15 თებერვალს ღამე საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, გვარდიის შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვ. შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთეს გენერლებმა ოდიშელიძემ და ზაქარიაძემ. მათი ინფორმაცია საკმაოდ ზოგადი იყო. არ იცოდნენ არც შენაერთების ზუსტი ადგილსამყოფელი და არც მათი მდგომარეობა. არსებული ვითარების მიმოხილვისას ერთადერთი რაც გაირკვა იყო ის, რომ გენერალი გედევანიშვილი ნებართვას ითხოვდა შენაერთები მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე გადაეყვანა. სარდლობას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. მთავარსარდალი ფიქრობდა, რომ ჯარი მდ. ხრამის სამხრეთითა და შულავერის ჩრდილოეთით გამავალ ხაზზე უნდა გამაგრებულიყო. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გენერალი კვინიტაძე წერს, „ტაქტიკურად, ჯარის ამ ხაზზე გადაყვანა აბსურდი იყო. აკადემიაში სწავლის დროს ოფიცერს მომავალ სამხედრო მოქმედებათა ამგვარი გეგმა რომ შემოეთავაზებინა, უმაღლესი გაირიცხებოდა სასწავლებლიდან“. ნოე რამიშვილმა მოსაზრება გამოთქვა, რომ ფოთილოსა და წითელი ხიდების რაიონში შექმნილიყო ძლიერი დაჯგუფება, რომელიც ყაზახის გავლით მოწინააღმდეგეს ზურგში დაარტყამდა. ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი იყო. ფოთილოსა და წითელი ხიდების რაიონში არ არსებობდა სათანადო რაოდენობის ჯარი. ასეთი დაჯგუფება რომც შექმნილიყო მას მოუწევდა მდ. მტკვრის გადალახვა მაშინ, როდესაც მეორე ნაპირზე მტერი იქნებოდა განლაგებული. გენერალ კვინიტაძის კითხვაზე, თუ რა საშუალებებით უნდა მომხდარიყო ჯარის მიერ მდინარის გადალახვა, მთავარსარდალმა უპასუხა, „ერთი ბორანი მაქვს“. „ერთი ბორანით ჯარს მტკვარზე კი არა, კუკიდან ვერაზე ვერ გადაიყვანთ, მითუმეტეს, როდესაც მოპირდაპირე ნაპირი მოწინააღმდეგის ხელშია“, შენიშნა გენერალმა კვინიტაძემ. სხდომაზე კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, რომ ე.წ. „ფოთილოს ჯგუფის“ უფროსად გენერალი კვინიტაძე დაენიშნათ, მიხედვად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ნოე რამიშვილის გეგმის წინააღმდეგი იყო¹. თუმცა ფოთილოს ჯგუფის შექმნა რეალურად არავის არც უცდია.

¹ კვინიტაძე გვ. 45-48

16 თებერვალი

16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებაზე საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ დაიწყო, თბილისში დაბადებული ჰეკერის მეთაურობით (არმიის შტაბის უფროსი იყო რემეზოვი. სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრები შალვა ელიავა, ვესნიკი, კარაევი). საინტერესოა, რომ საქართველოს დაპყრობის სამხედრო გეგმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადასული, მეფის ყოფილი გენერალი, ალექსანდრე გიორგის ძე გაბაევი იგივე გაბაშვილი.¹

წითელ ხიდთან მდგომა გურიის ბატალიონის ერთმა ასეულმა ცხადია სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. მოწინააღმდეგემ ხიდი დაიკავა და ჯავშანმანქანების მხარდაჭერით შეტევა განაგრძო. განადგურდა დასახმარებლად მოსული გურიის ბატალიონის დანარჩენი ასეულებიც. წითელ ხიდზე ბრძოლის დაწყებისთანავე სოფელ სარვანში დისლოცირებული გვარდიის თბილისის მე-3 ბატალიონი გურიის ბატალიონის დასახმარებლად დაიძრა, მაგრამ რადგან საბრძოლო მოქმედებების ადგილს 25 კმ-ით იყო დაცილებული ძალიან დააგვიანდა. ამასობაში მოწინააღმდეგემ მდ. ხრამიც გადალახა და ჩასაფრებაც მოასწრო. მე-3 ბატალიონი ამ ჩასაფრებასთან ბრძოლაში განადგურდა. მდ. ხრამთან მიმდინარე ბრძოლის დროს მე-3 ბატალიონის დასახმარებლად გვარდიის თბილისის 1-ლი ბატალიონი დაიძრა სოფელ ობელიანოვკიდან. მართალია 1-ლმა ბატალიონმა მე-3-ის გადარჩენა ვეღარ შეძლო, მაგრამ მტერს შეუტია და უკან დაახევინა. მოწინააღმდეგე მდ. ალგეთს გადავიდა. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ ქართველი გვარდიელები. მიხედვად იმისა, რომ წითელი კავალერია ბატალიონის მარჯვენა ფრთას უვლის, ბატალიონი უკან არ იხევს და ბრძოლას განაგრძობს. ბატალიონის მეთაურმა ისიც შეძლო, რომ მცირე ჯგუფი მდ. მტკვარზე ბორნის გასაფუჭებლად გაგზავნა, რათა მტერს, მდინარე არ გადაელახა და ფოილოს ხიდის დამცველებს ზურგში არ მოქცეოდა. დაღამებისას ბრძოლა შეწყდა. შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო, ბატალიონი ფაქტობრივად ალყა შემორტყმული იყო, მეთაურმა იაღლუჯასაკენ დახვეის გადაწყვეტილება მიიღო.

¹Траскунов М. Героический боевой путь 11-ой армии на фронтах Гражданской войны. 1958 г. Тб. ст.223
ალექსანდრე გაბაშვილი იყო რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1916 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის ჩინი. რევოლუციის შემდეგ გადავიდა ბოლშევიკების მხარეს. (Гогитидзе М. ст.69)

წითელი ხიდის დაკარგვამ უძძიმეს ვითარებაში ჩააგდო მდ.ხრამის მარცხენა ნაპირზე გამაგრებული სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას ნაწილები. მტერი მათ მარცხენა ფლანგზე და ზურგში მოექცა. გენერალმა სოსო გედევანიშვილმა ნაწილები მიატოვა, სარდლობა გენერალ სუმბათაშვილს გადააბარა და თავადა თბილისში წამოვიდა. მდ.ხრამზე მდგომი ნაწილები იძულებული გახდნენ სარდარასაკენ (მარნეული) დაეხიათ¹.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოილოს² სარკინიგზო ხიდს. რუსები ცდილობდნენ ხიდი დაეკავებინათ და ქართველებისთვის მისი აფეთქების საშუალება არ მიეცათ. ხიდის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა მე-11 არმიის ხუთი ჯავშანმატარებელი (№7, 94, 5, 77, 61). ქართველი მესანგრეების მიერ წინასწარ დანადგმული იყო ხიდის თავი (ხიდის მხოლოდ ნახევარი ეკუთვნოდა საქართველოს. კვინიტაძე წერს, რომ ომის წინ მშვიდობიანი მოლაპარაკების დროს მოწინააღმდეგემ ხიდის ნაწილის განადგმვას მიაღწია და რადგან ხიდის ბოლოში მოწინააღმდეგის საგუშაგო კოშკი იყო, ჩვენ მხოლოდ ნახევარი ხიდის დანადგმა შევქელით) და იერიშის დაწყებისთანავე ქართველებმა ხიდი ააფეთქეს. საპასუხოდ რუსების ჯავშანმატარებლებმა, სავლელ ბატარეებმა და მიიმე არტილერიამ ქართველი გვარდიელების პოზიციების დაბომბვა დაიწყეს. ქართველმა მებრძოლებმა ცოტა უკან დაიხიეს, მოწინააღმდეგის ცეცხლის არეალიდან გამოვიდნენ და საპასუხო ცეცხლი გახსნენ. რუსებმა ორჯერ სცადეს სოფელ კრაგესმანთან ფონის გადმოლახვა, მაგრამ ორივეჯერ უკუქცეულ იქნენ. ასევე ვერ შეძლო მათმა კავალერიამაც სოფელ შიხალოდან ფონზე გადასვლა და შეტევის განხორციელება. აქ მათ ზუგდიდის ბატალიონმა გადაუკეტა გზა. მთელი დღის მანძილზე რუსების მცდელობას, მდინარე გადმოელახათ წარმატება არ მოჰყოლია (ფოილოს ხიდთან ბრძოლაში მონაწილეობდა მე-9 დივიზიის 74-ე პოლკის მე-2 ბატალიონის პოლიტკომი ნიკიტა ხრუშჩოვი). 22 საათზე ფოილოს ხიდთან მდგომმა ნაწილებმა თბილისისაკენ უკან დახევის შესახებ მთავარსარდლის ბრძანება მიიღეს და პოზიციები დატოვეს.

¹გენერალ ზაქარიაძის აზრით, ამ შემთხვევაში შეცდომა პირადად გენერალმა ჯიჯიხიამ დაუშვა, როდესაც ყურადღება არ მიაქცია თავის ზურგსა და მარცხენა ფლანგს (ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „მხედარი“ 1994 წ. №1-4 გვ. 60). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში გენერალი ზაქარიაძე სხვაზე ცდილობს პასუხისმგებლობის გადატანას. არსებული ძალებით ჯიჯიხიას უბრალოდ არ შეეძლო ფრონტიც შეენარჩუნებინა და ამავე დროს წითელი ხიდის მიმართულებაც დაეცვა.

²სარკინიგზო ხიდი მდინარე მტკვარზე, საქართველო აზერბაიჯანის მაშინდელ საზღვარზე. დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა.

16 თებერვალსვე დაიწყო შემოტევა ზაქათალის მხრიდან. კახეთში დისლოცირებული მე-6 ათასეულის შენაერთებიც პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი, ამიტომ მტერს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. გენერალი მაზნიაშვილი წერდა, „კახეთის რუქას თუ გადავხედავთ, სამხედრო საქმის ყოვლად უცოდინარი ადამიანისთვისაც კი ცხადი იქნება, რომ საქართველოს არმიის უფროსმა მხედრებმა ამ ფრონტს არ მიაქციეს არავითარი ყურადღება და ამით მტერს მიეცა საშუალება, გაენადგურებინა იქ დაბანაკებული ჩვენი ჯარის პატარა მზვერავი რაზმები, შემდეგ ჩაეგდო ხელში მთელი კახეთი და უვნებლად მოედწია ტფილისის მიდამოებამდე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ყველა ეს მოხდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მე-6 ქვეითი ლეგიონი იძულებული გახდა დაეხია თიანეთისკენ და შემდეგში მტერს ჩაუვარდა ხელში“¹ (ქართული არმიის ეს შენაერთი და მასთან ერთად გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი, იძულებული გახდა თიანეთიდან არაგვის ხეობაში გადასულიყო და საქართველოს სამხედრო გზით შეტევაზე მომავალ ბოლშევიკთა ჯარს ტყვედ ჩაუვარდა. გენერალი ახმეტელაშვილი 1922 წელს რიაზანში „ჩეკას“ ციხეში გარდაიცვალა).

16 თებერვალსვე ეკატერინენფელდს (ბოლნისი) მიაღწიეს მდ. ძორაგეტიდან უკანდახეულმა ქართულმა შენაერთებმა. მათ აქ არც ბრძანება დახვდათ და არც რაიმე სახის ინფორმაცია. რადგან კვალდაკვალ წითელი კავალერია მოსდევდათ, გადაწყდა, შენაერთებს სარდარას (მარნეული) მიმართულებით დაეხიათ. ერთმა ნაწილმა ტაბახმელასკენ წასვლა გადაწყვიტა. იმნაძისა და ჩხეიძის ქვედანაყოფებს ფაქტობრივად ალყის გარღვევა მოუხდათ, რათა სარდარას (მარნეული) მიმართულებებით დაეხიათ. ქართულმა ნაწილებმა სერიოზული ზარალი განიცადეს (დაიკარგა ერთი ბატარეა). ამას ზედ დაერთო პირადი შემადგენლობის დემორალიზაციაც.

გენერალური შტაბის 16 თებერვლის ინფორმაციით, „წარსულ დამეს რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოილაშქრა საბჭოთა აზერბაიჯანმაც. შემჩნეულ იქნა ყაზახის მხრიდან საბჭოთა ჯარების შემოტევა ფოილოს მიმართულებით და წითელი ხიდის წინააღმდეგ. ფოილოს მიმართულებით მტრის ყოველგვარი ცდა მტკვარზე გადმოსასვლელად ჩვენ მიერ უკუგდებულ იქნა. ჩვენ ავაფეთქეთ ფოილოს ხიდი. წითელი ხიდისა და სადახლოს მიმართულებით მყოფ ჩვენ

¹ მაზნიაშვილი გვ. 158

ჯარებს ებრძანათ მდინარე ხრამისაკენ დახვევა. ჯარების სულიერი განწყობილება მხნე და მტკიცეა. უკან დახვევა სრულის წესრიგით სწარმოებს“.¹

გენერალური შტაბი ასევე იტყობინებოდა, რომ „თებერვლის 16-ს რესპუბლიკის ჯარები გაიშალენ ტფილისის გამაგრებულ პოზიციებზე. მათ წინ შორეულ პოზიციებს მოწინავე ჯარები იკავებენ.“²

შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტისთვის ომის პირველი ეტაპი დამთავრდა³. ქართულმა შენაერთებმა მძიმე მარცხი იწვნის და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მოწინააღმდეგემ სერიოზულ უპირატესობას მიაღწია და ფაქტობრივად გზა გაეხსნა დედაქალაქისკენ. გენერალ კვინიტაძის აზრით, ქართულ სარდლობას უკვე დაშვებული ჰქონდა სამი ძირითადი შეცდომა: „1) თბილისში არ გამოიძახეს ჯარი მთელი ტერიტორიიდან; 2) თადარიგში არსებული ძალების ნაწილ-ნაწილ შეყვანა; 3) წითელ ხიდთან ძალების შესუსტება. ჯარის წინასწარი განლაგების განხილვისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ სამი მიმართულებიდან: ლორეს, სანაინის და წითელი ხიდის, ორ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამასთან, წითელი ხიდის მიმართულებას კიდევ უფრო დიდი, ვინაიდან ძალების უმეტესობა აქ იყო თავმოყრილი. მაგრამ სამხედრო მოქმედებათა დაწყებისთანავე ამ უკანასკნელ მიმართულებას სათანადო მნიშვნელობა აღარ მიანიჭეს, რადგან სწორედ აქედან გაიყვანეს თითქმის მთელი ჯარი, მაშინ, როდესაც მოქმედებაში ქვეყნის სიღრმეში განლაგებული ძალები უნდა ჩაერთოთ“.⁴

12-16 თებერვლის ბრძოლებში ქართული შეიარაღებული ძალების მარცხი რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული:

1. არც მთავრობამ და არც სამხედრო ხელმძღვანელობამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია ინფორმაციებს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ. ამიტომ ქვეყანა ფართომასშტაბიანი ომისთვის მზად არ იყო.

2. საზღვრისპირა რეგიონში დისლოცირებული ქართული შეიარაღებული ძალების შენაერთები პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი და ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში ჩაყენებული. ცხადია ეს წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას ამცირებდა.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №1055 17/II 1921 წ.

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №1056 18/II 1921 წ.

³ პირველი მსოფლიო ომის ანალოგიით, ამ პერიოდს შეგვიძლია „სასაზღვრო ბრძოლების“ ეტაპი ვუწოდოთ

⁴ კვინიტაძე გვ. 60

3. სამხედრო მოქმედებების დაწყებისას სარდლობამ სწორად ვერ შეაფასა შექმნილი ვითარება, ვერ შეძლო სიტუაციის მართებულად გაანალიზება და საჯარისო ნაწილების მართვაში შეცდომები დაუშვა. ჩაითვალა, რომ მხოლოდ საბჭოთა სომხეთი გვიტევდა და საბჭოთა რუსეთი ამ ომში არ ჩაებმებოდა. დიდ წილად ეს მიდგომა ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური მოღვაწეების პოზიციითაც იყო ნასაზრდოები¹.

4. საზღვართან არსებული შენაერთები ბრძოლაში ნაწილ-ნაწილ შეყავდათ, ნაცვლად იმის რომ მათთვის თავი ერთად მოეყარათ და ძლიერი კონტრშეტევა განეხორციელებინათ². გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსის აკაკი კვიციანიშვილის სიტყვებით, 12-16 თებერვალს ქართულ ჯარს ნამდვილი პატრონი არ ყავდა. „ბატალიონები იბრძვიან სხვადასხვა დროს. ერთი რომ დამარცხდება, მეორე გააბამს ბრძოლას“³.

5. საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე არ მოხდა ჯარების გამოძახება ქვეყნის შიდა რაიონებიდან.

6. რადგან ჯარები არ გამოიძახეს შიდა რეგიონებიდან, ამიტომ ბრძოლაში ჩააბეს აზერბაიჯანის საზღვრის მახლობლად მყოფი შენაერთები. სანაინის⁴ რაიონში განლაგებული ძალების დახმარება გენერალ ჯიჯიხიას ნაწილების მეშვეობით სცადს და მას აირუმის მიმართულებით შეტევა დაავალეს. ყურადღება აღარ მიაქციეს წითელი და ასევე ფოილოს ხიდების. ამიტომ წითელი ხიდი, საიდანაც მე-11 არმიის მთავარი დარტყმა განხორციელდა ფაქტობრივად დაუცველი დარჩა⁵.

პირველი დღეების ბრძოლების შედეგად ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. განადგურდა არმიის მე-5 და მე-8 ათასეულები, ასევე გვარდიის თბილისის მე-3 და გურიის ბატალიონები.

საინტერესოა ა.კვიციანიშვილის მოსაზრება, „შესაძლებელია, ბორჩალოში ჩვენ ჯარს რომ სათანადო, შესაფერი ხელმძღვანელობა ჰყოლოდა, იგი

¹კერძოდ, ქემალისტების მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის გადამეტება და ნდობა საბჭოთა რუსეთის ერთგულებისა 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებისადმი.

²სამხედრო თეორიითაც ესეა და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ რეზერვში არსებული შენაერთების ბრძოლაში ნაწილ-ნაწილ შეყვანას აზრი არ აქვს.

³კვიციანიშვილი გვ. 121

⁴დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგური დღევანდელ სომხეთის რესპუბლიკაში ქ. ალავერდის მახლობლად

⁵საინტერესოა, რომ გენერალი მაზნიაშვილი წითელი ხიდიდან ჯარების მოხსნას კვინიტაძეს მიაწერს. მაზნიაშვილი წერს, „ახალმა მთავარსარდალმა გადასწყვიტა მოეხსნა წითელი ხიდიდან და უკან დაეწია ყველა სამხედრო ნაწილები და შესდგომოდა ტფილისის დაცვას“. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მაზნიაშვილი ცდება. შენაერთების თბილისისკენ დახვევა კვინიტაძემ 16 თებერვალს 22 საათზე ბრძანა. ამ დროს წითელი ხიდი უკვე ბოლშევიკების ხელში იყო. ფოილოს ხიდი კი იქ მყოფმა გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონმა ააფეთქა.

დაქსაქსული არ ყოფილიყო და გაეწია შესაფერისი წინააღმდეგობა, მტერი უკან წასულიყო და ყველა ეს ამბავი გამოცხადებულიყო „სანაპირო ინციდენტად“. მხოლოდ, როდესაც რუსულ მეთერთმეტე არმიას გაუმართლა თავისი ავანტიურა 11-13 თებერვალს ცენტრალური კომიტეტი „ნებას აძლევს“ მეთერთმეტე არმიას დაიკავოს თბილისი“¹.

11-12 თებერვლის ღამეს მოხდა თავდასხმა ლორეს ნეიტრალურ ზონაში და მხოლოდ 16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდებზე. მართლაც შეიძლება დავსვათ კითხვა, რატომ არ მოხდა ერთდროული თავდასხმა? ჩვენი აზრით ამას ორი რამ განაპირობებდა: პირველი – ეს იყო მოწინააღმდეგის ტაქტიკური ჩანაფიქრი, რომლითაც „მტერმა მოხდენილად მოხსუჭა ჩვენი სარდლობის ყურადღება სადახლოს ფრონტის მიმართულებით და 16 თებერვალს ეძებრა წითელ ხიდს და ფოილოს“²; მეორე – არ არის გამორიცხული, რომ 12-15 თებერვლის ბრძოლებით მტერი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ცდიდა, მის ბრძოლისუნარიანობას ამოწმებდა (მით უმეტეს უკვე ჰქონდა საქართველოს „გაწითლების“ ერთი წარუმატებელი მცდელობა). შესაძლოა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სომხეთის მხრიდან შემოჭრილი მტერი რომ დაემარცხებინა, 16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდებზე მოწინააღმდეგეს შეტევა აღარ განეხორციელებინა, უკეთეს დროს დალოდებოდა. თუმცა ყოველივე ეს მხოლოდ თეორიული მსჯელობაა.

16 თებერვალს დღის პირველ ნახევარში მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე გადააყენეს და მისი ადგილი გენერალმა გიორგი კვინიტაძემ დაიკავა. ოდიშელიძე მთავრობის თავმჯდომარის სამხედრო მრჩეველად დანიშნა. გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, რომელიც 1921 წლის თებერვალში პოლკოვნიკის ჩინით თბილისის დაცვას ტახახმელას მიმართულებაზე ხელმძღვანელობდა, იგონებდა, „16 თებერვალს დილით, შიშისაგან დამფრთხალი, სრამზე მდგომი გვარდია ერთიანად უკან გამოიქცა, ჯერ სადგურ სანდარაზე და შემდეგ ტფილისში. მე-2 საარმიო ბრიგადა განადგურებულ იქნა ხეობებში და ამგვარად ფრონტი მოღიავებული და სრულიად გაწმენდილი იყო. რომ მტრის ერთ ცხენოსან ბრიგადას ენერგიულად ედევნა, იმავე დღესვე შეეძლო ტფილისში შემოვარდნილიყო ... მხოლოდ ესლა მოიგონეს ერთი ადამიანი, რომელსაც, სამწუხაროდ, ყოველთვის მხოლოდ ასეთ წუთებში იგონებდნენ ხოლმე ... მთავარსარდალად დანიშნეს გენ. კვინიტაძე. თუმცა ყველა გამოცდილი

¹ კვიტაიშვილი გვ. 119

² კვიტაიშვილი გვ. 121

მეომრისათვის აშკარა იყო, რომ ტფილისის საქმე უკვე წაგებულია, მაგრამ მაინც ამ დანიშვნამ ყველა აამოძრავა“.¹ კვინიტაძის მთავარსარდლად დანიშნას დიდი იმედებით შეხვდა მთელი საზოგადოება. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, „დიდი სტრატეგი, საქართველოს ჯარების სულის ჩამდგმელი, საქართველოს მტრის თავზარდამცემი, როგორც მზე ისე მოველინა ქართულ მხედრობას და გაათბო მისი სხეული, როგორც რისხვა ისე დაატყდა თავს საქართველოს მტრებს“.²

16 თებერვალს რომ მდგომარეობა კატასტროფული იყო და დედაქალაქი ფაქტობრივად დაუცველი რჩებოდა ამას გენერალი კვინიტაძეც ადასტურებს.³

სანამ თბილისის დაცვაზე გავაგრძელებდეთ საუბარს, გვინდა დაწვრილებით შევჩერდეთ მთავარსარდლის შეცვლის საკითხზე⁴. პირველ რიგში ვნახოთ თუ როგორ აფასებდნენ ილია ოდიშელიძეს მისი თანამედროვენი.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის აზრით, ოდიშელიძის შეცვლა შეცდომა იყო. აი რას წერს იგი თავის მოგონებებში, „ეს იყო დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა მთავრობისა. ქართველ ყველა გენერალში ოდიშელიძე თვალსაჩინოდ ირჩეოდა, უმაღლეს სარდლობაში, მას ჰქონდა დიდი მხედრული და ადმინისტრაციული სტაჟი. ევროპის უდიდესი ომის დროს გენერალმა ოდიშელიძემ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ჯარების მთავარი შტაბისა. ომის დასაწყისში, ჩვენ ვხედავთ მას 1-ლი არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ომის მეორე პერიოდში ოდიშელიძე ინიშნება მე-15 კორპუსის უფროსად და შემდეგ მოკლე ხნის განმავლობაში კავკასიის არმიის უფროსად. აი ასეთ კაცს მთავრობა სცვლის გაჩაღებული ომის დროს და ნიშნავს ისეთ პირს, რომელიც სამხედრო სტაჟით მეტად ჩამორჩება ოდიშელიძეს. უახლოესი ამბების განვითარებამ დაუმტკიცა მთავრობას მისი შეცდომა“. მაზნიაშვილის აზრით, ამ ცვლილების მიზეზი დამფუძნებელი კრების წევრ ეროვნულ-დემოკრატიკა ერთი ნაწილის ზეგავლენა იყო.⁵ უნდა აღინიშნოს, რომ მაზნიაშვილი იმ შეცდომებზეც მიუთითებს რომლებიც ოდიშელიძემ დაუშვა. საესებით სწორია გენერალი, როდესაც კახეთის მიმართულებით შექმნილი ვითარების ანალიზისას პასუხისმგებლობას სრულიად მართებულად

¹ ჩხეიძე ა. სამხედრო სკოლა. ჟურნალი მხედარი №1 1991 წელი გვ. 51

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №39 1921 წ.

³ კვინიტაძე გვ. 54

⁴ შალვა მადლაკელიძის აზრით, „კვინიტაძის დანიშვნა იყო ტრაგედია“, რადგან მონარქისტი გენერალი ხდებოდა იმ შეიარაღებული ძალების სარდალი, რომლის უმრავლესობასაც მარქსისტულად განწყობილი გვარდიის მებრძოლები შეადგენდნენ (მადლაკელიძე შ. „განთიადი“ 1991 წ. №3)

⁵ მაზნიაშვილი გვ. 158-159

„საქართველოს არმიის უფროს მხედრებს“ აკისრებს. ვინ უნდა ვიგულისხმოთ „საქართველოს არმიის უფროს მხედრებს“ შორის თუ არა პირველ რიგში მთავრასრდალი ოდიშელიძე და შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე¹.

ეროვნულ-დემოკრატიულ ნაწილს მართლაც უარყოფითად იყო განწყობილი გენერალ ოდიშელიძის მიმართ. რ. გაბაშვილი წერდა, „**ოდიშელიძე რუსული მასშტაბით კარგი და მცოდნე ღენერალი იყო** (საუკეთესო კორპუსს „ჰკამანდრობდა“), მაგრამ უნებისყოფო და პატარა საქართველოსათვის სრულიად გამოუსადეგარი“² თუმცა მთავარსარდლის შეცვლის საკითხში ეროვნულ-დემოკრატებს არავითარი როლი არ უთამაშიათ. სოციალ-დემოკრატები თითქმის არასდროს არ იზიარებდნენ პოლიტიკურ ოპონენტთა შეხედულებებს და არც ამჯერად გაუთვალისწინებიათ ვინმეს რჩევა თუ მოსაზრება. ოდიშელიძის შეცვლა თავად შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა.

ოდიშელიძეს დადებითად ახასიათებდა გენერალი კვინიტაძეც. თავის მოგონებებში კვინიტაძე წერს, რომ როდესაც ომის დაწყების ამბავი გავიგე, მაინც შედარებით მშვიდად ვგრძნობდი თავსო, რადგან, „სამი წლის მანძილზე მივეჩვიე, რომ ყოველთვის მარცხით ვიწყებდით, შემდეგ კი მდგომარეობას ვასწორებდით... მითუმეტეს, რომ ომისთვის ნოემბრიდან ემზადებოდნენ და **ჯარს სათავეში ისეთი მცოდნე მებრძოლი ედგა, როგორც გენერალი ოდიშელიძე გახლდათ**. მჯეროდა, რომ მან ყველაფერი გაითვალისწინა და ამ მარცხს ის საშინელი შედეგი არ მოჰყვებოდა, რაც სინამდვილეში მოხდა“³.

ოდიშელიძის მოღვაწეობის შეფასებას იძლევა პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძეც, „**გამოცდილი გენერალი**, ყოფილი კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწე. მისი წამოწყებები ომის დაწყების დღიდანვე არ იყო სწორი და ახლა დაჟინებით გამოჩნდა. გაება მდგომარეობის გამორკვევასა და ცალ-ცალკე მოქმედებაში შემოსულ მტერთან, სათანადოდ არ შეაფასა მოქმედება სადახლოს მიმარულებით, ეს კი დიდ საფრთხეს ნიშნავდა თბილისისთვის. აკლდა მომთხოვნელობა ცალ-ცალკე უფროსებისადმი და თვით გენ. გედევანიშვილისადმი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სადახლოსა და ბორჩალოს რაიონში შექმნილი მდგომარეობისა. დაკმაყოფილდა ადგილობრივი

¹ ალექსანდრე ზაქარიაძე რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომებში მონაწილეობდა. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ორდენით და ოქროს ხმლით. 1919 წელს მიენიჭა გენერლობა. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1927 წელს გახდა პოლონეთის არმიის გენერალი (Гогитидзе М. Грузинский Генералитет. 2001 г. Киев. ст.94).

² გაბაშვილი რ. მოგონებანი. დაბრუნება III 1992 წ. თბ. გვ. 317

³ კვინიტაძე გვ. 44

ნაწილებით მტრის განდევნის მოთხოვნით. მოქმედება წარმოებდა პატარ-პატარა ნაწილებით და ხშირად უშედეგოდ“.¹

გიორგი მაზნიაშვილი და გიორგი კვინიტაძე, ორი საუკეთესო ქართველი გენერალი, რომელთა სახელსაც უკავშირდება 1918-1920 წლებში ქართული შეიარაღებული ძალების მიერ მოპოვებული თითქმის ყველა გამარჯვება, მაღალ შეფასებას აძლევენ გენერალ ოდიშელიძეს. ილია ოდიშელიძის ბიოგრაფია² იმას მოწმობს, რომ იგი მაღალი დონის პროფესიონალი იყო. მიუხედავად ამისა გასაოცარ ფაქტად რჩება, რომ ქართული ჯარის მთავარსარდლის პოსტზე ყოფნის დროს გენერალმა ილია ოდიშელიძემ სერიოზული შეცდომები დაუშვა.

ცხადია, რომ გენერალ ოდიშელიძის გადაყენება სრულიად ბუნებრივი იყო (გაურკვეველია თუ რა მიზანს ისახავდა მისი ნოე ჟორდანიას მრჩეველად დანიშვნა. მთავრობის თავმჯდომარე თავის მოგონებებში გენერალს ძალიან ცუდად ახასიათებს და აღნიშნავს, რომ ყოველთვის სურდა მისი გადაყენება. ეს აზრი ჟორდანიას არც 1921 წლის 16 თებერვალს დაუმაღავს გენერალ კვინიტაძესთან საუბრისას. იმ დღეს მთავრობის თავმჯდომარის პოზიცია გვარდიის სარდალმა ვალიკო ჯუღელმაც გაიზიარა³. ყოველივე ამის შესახებ ჩვენც გენერალი კვინიტაძესავით უნდა ვიკითხოთ „ნიბრიყვეა ეს თუ დანაშაული?“).

ვინ შეიძლება დაენიშნათ მთავარსარდლად? თეორიულად ალბათ ნებისმიერი გენერალი, მაგრამ ჩვენი აზრით, არჩევანი პრაქტიკულად მხოლოდ ორ პიროვნებას შორის შეიძლება ყოფილიყო. გენერალი გიორგი კვინიტაძე და გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ეს უკანასკნელი 1920 წლის 6 ოქტომბრიდან თბილისის გამაგრებული რაიონის უფროსი იყო. გენერალ კვინიტაძეს ერთხელ უკვე დამარცხებული ყავდა საბჭოთა რუსეთის ჯარები, როდესაც ისინი 1920 წლის აპრილ-მაისში აზერბაიჯანიდან შემოიჭრნენ (კვინიტაძის აზრით, მთავრობამ შეცდომა დაუშვა, როდესაც მას მტრის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დევნისა და დამარცხების საშუალება არ მისცა. გენერალი თვლიდა, რომ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის იმ სამხედრო ნაწილების დახმარებით, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობდნენ ბრძოლას, თავისუფლად შეიძლებოდა ბოლშევიკების ამ ქვეყნიდან განდევნაც). ამდენად გენერალ კვინიტაძის დანიშვნა

¹ თევზაძე ვ. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები 1990 წ. თბ. გვ. 45

² დაწვრილებით იხ. მ.ბახტაძე, გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები VII. 2013 წ. თბ.

³ კვინიტაძე გვ. 48

საესებით ლოგიკური იყო (ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაზნიაშვილის დანიშვნა ალოგიკური იქნებოდა).

16 თებერვალს მოწინააღმდეგე ფაქტობრივად სამი მიმართულებიდან გვიტყვდა: ფოილოს ხიდიდან, კუბიშევის სარდლობით; წითელი ხიდიდან, ვოიტოვის მეთაურობით; სადახლოდან შულავერზე და ვორონცოვკადან დმანისსა და ეკატერინენფელდზე (ბოლნისი), კუზმინის ხელმძღვანელობით.¹

17 თებერვალი

17 თებერვალს ჩხეიძისა და იმნაძის შენაერთებმა სანდარას (მარნეული) მიაღწიეს. აქ ჯერ კიდევ იდგა სადახლოდან უკან დახეული გენერალ სუმბათაშვილის დაჯგუფების ნარჩენები. გადარჩენილმა შენაერთებმა თბილისისკენ უკანდახევა განაგრძეს.

გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაცია იუწყებოდა, რომ „17 თებერვლის განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა ტფილისის დაცვის შესახებ ძლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ. მტრის შემოტევა შეჩერებულია. ლაგოდეხში და შირაქის ველზე ბრძოლა სწარმოებს.“² რეალურად, 17-ში უშუალოდ თბილისზე შეტევა არ განხორციელებულა. მხოლოდ მტრის ცხენოსანი რაზმი მოძრაობდა გზატკეცილის გაყოლებით თბილისისკენ. ისინი საყარაულას მთის ძირში ლელო ჯაფარიძის მეთაურობით განლაგებულმა ქართველ მესანგრეთა ჯგუფმა შენიშნა და ცეცხლი გაუხსნა. მტერი უკან გაბრუნდა³.

გენერალმა კვინიტაძემ მდ. ხრამთან მიმდინარე ბრძოლების შესახებ, პირველივე ცნობების მიღების შემდეგ, მე-9 ათასეულის ერთი ასეული საყარაულას მთისკენ გაგზავნა, რათა ის უკანდახეულ ქართულ ნაწილებს დახმარებოდა. როგორც თავად გენერალი წერს, „გარნიზონის უფროსი გენერალი მაზნიაშვილი ჩემთან გამოვიძახე. მითხრა 400-მდე ხიშტის მოგროვებას მოვახერხებო. მაშინვე სოღანლუღის პოზიციაზე წასვლა და გზატკეცილის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გამაგრება ვუბრძანე“.⁴ კვინიტაძის ინფორმაციით, მაზნიაშვილსვე დაექვემდებარა გვარდიის ორი ბატალიონი, მე-9 ათასეული, საგუშაგო და მესაზღვრეთა ათასეულების ნაწილები. მასვე გადაეცა ჯავშანმატარებელი და ორი ჯავშანმანქანა. მაზნიაშვილის მარცხენა ფლანგზე

¹ Кадишев А.Б. Интервенция и гражданская война в Закавказии 1960 г. М. ст.377

² გაზეთი „ერთობა“ 19/II 1921 წ.

³ კვინიტაძე გვ. 63

⁴ კვინიტაძე გვ. 54

უნდა განლაგებულიყო ჰაუბიცები.¹ გენერალ კვინიტაძის თანახმად ყოველივე ეს 17 თებერვალს ხდება. იმავე დღეს მთავარსარდალი სოღანლულში მივიდა, რათა უკანდახეულ ქართულ ნაწილებს შეხვედროდა. „600-700 კაციღა დამხვდა. ისინი მწყობრი ნაბიჯით უკან იხევდნენ“², წერს მთავარსარდალი.

განსხვავებულ თარიღებს ასახელებს გენერალი მაზნიაშვილი. იგი წერს, რომ 15 თებერვალს კვინიტაძემ ის დანიშნა მებრძოლი რაიონის უფროსად, ორხევის სადგურიდან ტაბახმელამდე და იმავე დღეს იგი დაბანაკდა სოღანლულთან სადარაჯო ლეგიონის ორი ასეულით. 16 თებერვალს გამთენიისას კი მთავარსარდალი უკან დახეულ ქართულ ნაწილებს სადგურ სოღანლულში დახვდა. ჩვენი აზრით, გენერალ მაზნიაშვილს გარკვეული უზუსტობა მოსდის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კვინიტაძე მთავარსარდალად 16 თებერვალს, დღის პირველ ნახევარში დაინიშნა. ამდენად ამ შემთხვევაში მოვლენათა ქრონოლოგიის მხრივ გენერალ კვინიტაძის ინფორმაციები უფრო სანდოა.

რაც შეეხება ჯარის შემადგენლობას ამ მხრივ ორივე გენერლის ინფორმაცია თითქმის ერთნაირია. მაზნიაშვილი წერს, რომ მის განკარგულებაში იყო: ასპინძის მე-9 ქვეითი ათასეული, სადარაჯო ათასეული, გვარდიის ორი ბატალიონი, ხუთი ბატარეა, ჯავშანმატარებელი და ჯავშანმანქანების გუნდი. ცოტა მოგვიანებით გადმომცესო სანაპირო ათასეულის (მესაზღვრეთა – მ.ზ.) ერთი ნაწილი 250 კაცის შემადგენლობით³.

მაზნიაშვილმა თავისი ნაწილები შემდეგნაირად განალაგა: მე-9 ათასეულმა ერთი საარტილერიო ბატარეით დაიკავა სანგრები ტაბახმელადან შავნაბადამდე; სადარაჯო ლეგიონი განლაგდა სოღანლულში რკინიგზის ხიდის სიახლოვეს; გვარდიის გორის ათასეულმა პოზიცია დაიკავა რკინიგზის იქით, გზატკეცილის მარცხენა მხარეს მტკვრის ნაპირზე და ასევე თათრების სოღანლულის ბაღებში; გვარდიის ხაშურის ათასეული განლაგდა წმ.მარინეს დანგრეულ ეკლესიასთან, სადგურ სოღანლულის იქით, მარჯვენა მხარეს. სამი ბატარეა მოეწყო წმ. ბარბარეს ეკლესიასთან. სოღანლულის მიმართულებაზე არტილერიას პოლკოვნიკი კიზირია მეთაურობდა⁴. ჯავშანმატარებელი აკონტროლებდა ტერიტორიას სადგურ სოღანლულიდან სადგურ კუმისამდე; ჯავშანმანქანები სადგურ სოღანლულთან 4 ვერსით იყო წინ წაწეული.

¹ კვინიტაძე გვ. 61

² კვინიტაძე გვ. 52

³ მაზნიაშვილი გვ. 160-161

⁴ ზაქარიაძე გვ. 61

მაზნიაშვილის დაქვემდებარებაში იყო თბილისის მეტყვიამფრქვევეთა ათასეულიც. მაზნიაშვილის რეზერვს მისთვის მოგვიანებით გადაცემული გვარდიის სამეგრელოს ორი ბატალიონი და 1-ლი ქვეითი ლეგიონი შეადგენდა.

17 თებერვალსვე შეიქმნა თბილისის დაცვის კიდევ ერთი სექტორი ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით. გენერალ კვინიტაძე წერს, „ტაბახმელასთან სამხედრო სკოლა იდგებოდა. კოჯრისთვის მე-4 პოლკი მრჩებოდა. 18-19 თებერვალს საბრძოლველად მისი მხოლოდ ორი ასეული და მეტყვიამფრქვევეები გამოხცადდნენ.“¹

გენერალ მაზნიაშვილს შეცდომა მოსდის, როდესაც კოჯორ-ტაბახმელას მიმართულების შექმნას 19 თებერვლით ათარიღებს. მაზნიაშვილი წერს, „ამ მიზნისთვის მე ჩამომერთვა რეზერვის ყველა ნაწილები (ე.ი. გვარდიის სამეგრელოს ორი ბატალიონი და 1-ლი ქვეითი ათასეული – მ.ბ.), ისე, რომ 18 თებერვლის საღამოზე რეზერვში ერთი კაციც აღარ მყავდა“.² (როგორც უკვე აღვნიშნეთ გენერალ მაზნიაშვილს გარკვეული უზუსტობა მოსდის თარიღებთან დაკავშირებით. ეს სრულიად გასაგებია. ისევე როგორც უზუსტობები გენერალ კვინიტაძის, გენერალ ჩხეიძისა თუ სხვათა მოგონებებში. ისინი ხომ ყველაფერს მოვლენებიდან რამდენიმე წლის მერე აღწერენ).

გენერალი ჩხეიძე 1921 წლის თებერვალში, პოლკოვნიკის ჩინით, სამხედრო სკოლის უფროსის, გენერალ ანდრონიკაშვილის თანაშემწე იყო. იგი წერს, რომ სკოლამ 17 თებერვალს დილის 5 საათზე მიიღო ბრძანება ტაბახმელაზე პოზიციების დაკავების შესახებ. 12 საათზე სკოლა დაიძრა და 17 საათზე ტაბახმელაში იყო. სამხედრო სკოლამ გზაში კოჯრისაკენ მიმავალ მე-4 ათასეულის ნაწილებს გაასწრო. იმავე 17 თებერვალს, როგორც ამას აღექსანდრე ჩხაიძე წერს ის დაინიშნა სკოლის უფროსად, რადგან გენერალი ანდრონიკაშვილი მარჯვენა ფრთის ფრონტის სარდალი გახდა. ეს ფრონტი თელეთის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიულ პუნქტ №430,2-დან იწყებოდა და კოჯორში თავდებოდა. სკოლის შემადგენლობა და შეიარაღება შემდეგი იყო: 136 იუნკერი, 15 არტილერიისტი, 10 საინჟინრო დარგის სპეციალისტი, 5 ცხენოსანი, 350 ნაცვალი (ჯარისკაცი, რომელიც უნტერ-ოფიცრი უნდა გახდეს – მ.ბ.), ორ-ორი სამთო და საველე ზარბაზანი, ტყვიამფრქვევები. საინტერესოა, რომ ტაბახმელაზე პოლკოვნიკ ჩხეიძესთან, 12-16 თებერვლის ბრძოლების დროს განადგურებული მე-2 ბრიგადის მე-8 ათასეულის, ოფიცრები უფროსი

¹ კვინიტაძე გვ. 61

² მაზნიაშვილი გვ. 161

ლეიტენანტი ბარამიძე, ლეიტენანტები ქავთარაძე, ერისთავი, სულუხია, თავზარაძე მივიდნენ და სამხედრო სკოლასთან ერთად ბრძოლის ნებართვა ითხოვეს. „სკოლას არ ჰქონდა სალაშქრო ნივთები. არც თბილი ტანსაცმელი, არც თბილი წინდები. იუნკრები იყვნენ თხელ ფარაჯებში და ჯარისკაცები ნაბდის ფარაჯებში“¹. ღამით ყინვა 8-9 გრადუსს აღწევდა. ადვილი წარმოსადგენია თუ რა მდგომარეობაში იქნებოდნენ მებრძოლები. ერთ-ერთი მათგანი, იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილი იგონებდა, „ბრძოლის პირობები კი იუნკრებს ადვილი არა ჰქონდათ, ჯერ ერთი, ეს 20-23 წლის გამოუშუშავი ახალგაზრდები დაკაცებული და ომისათვის მომზადებული არ იყვნენ. არც ტანსაცმელი გააჩნდათ ამინდის შესაფერისი, საზაფხულო სამოსელზე თხელი, სითბოს მოკლებული ხელოვნური იტალიური ქსოვილისაგან შეკერილი პალტოები გვეცვა. ჩვენ ტანსაცმელში ერთი ღერი მატყლიც არ არის. დღისით სანგრებში ყოფნისასა ტანსაცმელი წყლით იჟლინებოდა, ღამით ფიცრებად იყინებოდა და იარაღის მოხმარებასა და მოძრაობას გვიძნელებდა, ოღონდ გულში იმდენი ძალა შეგვწევდა, რომ ამ სიძნელეებისათვის ანგარიში არ გაგვეწია და მტრის ყოველ მოძრაობას დროზე და შესაფერად შევხვედროდით“².

გვინდა მოკლედ შევეხოთ ჯარის მომარაგების საკითხს. ამუნიციის სიმცირე ქართული ჯარის არაერთ ნაწილში იგრძნობოდა. მაგალითად, მე-12 ათასეულის მანგლისში დისლოცირებულ ნაწილებს არც ფეხსაცმელი ჰქონდათ და არც ტანსაცმელი.³ გენერალი მაზნიაშვილი წერს, „საინტენდანტო საწყობებშიც არ იყო საკმაო ტანსაცმელი და მოკაზმულობა, რაც უმთავრესია, თოფებიც ... როგორც მომარაგების მინისტრმა ერაძემ, ისე მთავარი საინტენდანტოს უფროსმა კალისტრატე გოგუამ, არ იცოდნენ რა ქონება ჰქონდათ, სად ჰქონდათ ... უკვე 1921 წლის მაისში, ჩვენს საწყობებში დარჩენილი ტანსაცმლით მე შევძელი შემოსვა თავიდან ფეხებამდე 17 000 კაცისაგან შემდგარი ქართული წითელი არმიისა. ეს არ კმარა: საქართველოს საბჭოთა მთავრობა, დღიდან ტფილისში შემოსვლისა, ორი კვირის განმავლობაში ჰკვებავდა უფასოდ მთელი ქალაქის მცხოვრებლებს სამინისტროს საწყობებიდან. მაშინ როდესაც დ.ჭავჭავაძე რეკვიზიციის სახით ჰკრებდა დანჯღრეულ უნაგირებს ქუთაისში და სამტრედიაში, ნავთლულის საწყობებში იყო თურმე რამდენიმე ათასი საკავალერიო ახალი უნაგირი და ცხენების სხვა მრავალი

¹ ჩხეიძე გვ. 51

² მათიკაშვილი ნ. კვალიაშვილი მ. იუნკრები 1990 წ. თბ. გვ. 13

³ კვინიტაძე გვ. 53

მოწყობილობა“.¹ გიორგი მაზნიაშვილის ამ და ასევე ზოგიერთ სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით გავრცელებულია მოსაზრება, რომ მაშინ როცა ქართული ჯარი მტერს ებრძოდა და ყველაფრის ნაკლებობას განიცდიდა არსენალი და საწყოები გადატენილი იყო. ეს მოსაზრება ნაწილობრივ არის სწორი. ჯარი ნამდვილად განიცდიდა ტანსაცმლისა და ამუნიციის ნაკლებობას. იარაღისა და საბრძოლო მასალების მარაგების შექმნა თავიდანვე დიდ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ამ მხრივ ქართული შეიარაღებული ძალების მომარაგება მაინც ხერხდებოდა.² ნიშანდობლივია, რომ 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეთაგან თითქმის არაინ³ წერს, რომ ქართული შეიარაღებული ძალები ტყვია-წამლისა და იარაღის დეფიციტს განიცდიდა.

რაც შეეხება მოწინააღმდეგის მოქმედებას, 17 თებერვალს მან ეკატერინენფელდი (ბოლნისი) და კოდა დაიკავა, ხოლო კახეთის მხრიდან შემოჭრილმა შენაერთებმა ლაგოდეხი აიღეს.⁴ იმავე დღეს კავკასიის ფრონტის სარდლობამ ბრძანება მისცა მე-9 არმიას – „მე-11 არმიის ფრონტზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გიბრძანებთ სასწრაფოდ დაიწყოთ შეტევა სოჭი-ადღერის რაიონიდან, გაანადგუროთ პილენკოვოს⁵ რაიონში გამაგრებული მოწინააღმდეგე და დაიკავოთ გაგრის რაიონი. შეტევის შემდგომი გაგრძელებით“.

18 თებერვალი

შექმნილ ვითარებაში გენერალმა კვინიტაძემ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და თბილისის დასაცავად ძალების მობილიზაცია დაიწყო. დანიშნისთანავე ახალმა მთავარსარდალმა თბილისში არმიის მე-4 და მე-10 ათასეულები (მე-9 ათასეული ჯერ კიდევ ოდიშელიძემ გამოიძახა) და გვარდიის გორისა და ხაშურის ბატალიონები გამოიძახა. ცოტა მოგვიანებით ახალქალაქიდან და არდაგანიდან არმიის მე-11 და მე-12 ათასეულებიც იქნა გამოძახებული⁷.

¹ მაზნიაშვილი გვ. 169-170.

² კვიციანიშვილი გვ. 115-116

³ რ.გაბაშვილია გამონაკლისი. გვ. 323

⁴ Кадишев А.Б. Интервенция и гражданская война в Закавказьи 1960 г. М. ст.377

⁵ დღევანდელი დაბა განთიადი აფხაზეთში. ეს იგივე მესადირის პოზიციებია.

⁶ Директивы командования фронтов красной армии. Т. III ст. 372

⁷ კვინიტაძე გვ. 53

არსებობს მოსაზრება, რომ 18-24 თებერვალს თბილისს 10 000 ქვეითი და 400 ცხენოსანი იცავდა.¹ ჩვენს გვიჭირს თქმა, თუ რას ეფუძნება თბილისის დამცველთა რაოდენობის 10 400 კაციით განსაზღვრა.

ჩვენს მიერ ნანახი წყაროებიდან დგინდება, რომ თბილისის დაცვაში მონაწილეობდნენ: გვარდიის საგანგებო, თბილისის სამი, დუშეთის, გორის, ხაშურის, ახალციხის, იმერეთის მე-2 და მე-3, სენაკის, ზუგდიდის, ბათუმის ბატალიონები და არმიის 1-ლი, მე-4, მე-5 (აღდგენილი), მე-7, მე-9, მე-10 ათასეულები. ასევე სადარაჯო და საყარაულო ათასეულების ნაწილები, სამხედრო სკოლა, მოხალისეები, გვარდიისა და არმიის საკავალერიო ნაწილები. გვარდიის ბატალიონებში წესით 800-1000 კაცი ირიცხებოდა,² თუმცა ზოგიერთ მათგანში უფრო ნაკლები მებრძოლი იყო. მაგალითად ზუგდიდის ბატალიონი 500 მეომრისაგან შედგებოდა.³ რამდენად სრული იყო არმიის ათასეულების კომპლექტაცია ძნელი სათქმელია, მაგრამ წესით თითოეულ მათგანში გვარდიის ბატალიონებზე ნაკლები მეომარი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისის დაცვაში მონაწილე შენაერთების ნაწილი: არმიის 1-ლი, მე-5, მე-7 ათასეულები და გვარდიის იმერეთის მე-2, ზუგდიდის, თბილისის ბატალიონები და ზოგიერთი სხვა ქვედანაყოფიც, 12-17 თებერვალს ბრძოლაში იყო ჩართული და ცხადია მებრძოლთა გარკვეულ ნაწილს დაღუპულთა და დაჭრილთა სახით დაკარგავდა. მაგალითად, გენერალ კვინიტაძის ინფორმაციით, 1-ლი ათასეულიდან მხოლოდ 300 მეომარმა შეძლო თბილისისკენ ორგანიზებულად უკან დახევა.⁴ უხეში გათვლებით, ჩვენი აზრით, თბილისს დაახლოებით 12-15 ათასი კაცი იცავდა.

ენახოთ როგორი იყო მე-11 არმიის შემადგენლობა და შეიარაღება: 40 200 ქვეითი და ცხენოსანი, 196 ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშნოსანი მატარებელი, 8 ტანკი, ჯავშანმანქანების რაზმი და 50 თვითმფრინავი⁵. მე-11 არმიის ნაწილებს ეხმარებოდნენ: საბჭოთა სომხეთის ერთი საკავალერიო და მე-5 და მე-6 ქვეითი პოლკები. მე-11 არმიის ძირითადი შეტევა თბილისის მიმართულებით ხორციელდებოდა. ამ საჯარისო ჯგუფს ველიკანოვი მეთაურობდა და მის შემადგენლობაში შედიოდა მე-9, მე-20 და 32-ე ქვეითი და მე-12 საკავალერიო დივიზიები. მე-11 არმიის მეორე ჯგუფს ზაქათალიდან კახეთის გავლით, თბილისის გვერდის ავლით, მცხეთისაკენ უნდა ემოდრადა და

¹ ენციკლოპედია „თბილისი“ 2002 წ. თბ. გვ. 506

² სცსსა ფონდი 1969, აღწერა 1, საქმე 670, ფურცელი 24.

³ კვიტაიშვილი გვ. 123

⁴ კვინიტაძე გვ. 52

⁵ Гражданская война в СССР. т. II. 1986 г. М. ст.347

ქართული ნაწილებისათვის თბილისიდან უკანდასახევი გზა მოეჭრა. ამ შენაერთს კურიშკო მეთაურობდა და მას ორი ქვეითი პოლკი და 18-ე საკავალერიო დივიზია ექვემდებარებოდა.¹ აღსანიშნავია, რომ მე-11 არმია მთელი თავისი შემადგენლობით თბილისის აღების ოპერაციაში არ მონაწილეობდა. ჩვენი აზრით, არაპირდაპირი მონაცემების ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, თბილისს დაახლოებით 25 000 კაცი უტევდა.

18 თებერვალს ქართულ შეიარაღებულ ძალებს შემდეგი პოზიციები ეკავათ: მარჯვენა ფლანგზე – კოჯორ-მანგლისის გზატკეცილზე, თეთრი დუქნიდან ახეულას (ქორ-ოღლის) ციხემდე მე-4 ათასეულის ორი ასეული იდგა, პოლკოვნიკ პლატონ ჩიქოვანის მეთაურობით. ამ ათასეულის დანარჩენი ნაწილები ადგილზე 19 თებერვალს მივიდნენ. ტაბახმელას მონაკვეთი სამხედრო სკოლას ეკავა. ამ ფრთას გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. ცენტრში – გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაქვემდებარებული ნაწილები იყო დისლოცირებული. შავნაბადას სიმაღლეები მე-9 ათასეულს ეკავა, სოღანლუღის სიმაღლეები პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის სადარაჯო ათასეულსა და მეტყვიამფრქვევთა ბატალიონს. მათგან მარჯვნივ, რკინიგზის ხაზთან სანაპირო ათასეულის ერთი რაზმი იყო განლაგებული ორი ზარბაზნით. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის ხაზამდე გვარდიის გორისა და ხაშურის ბატალიონები იყო. მარცხენა ფლანგზე – გვარდიის აღდგენილი ნაწილები იდგა გენერალ არტემ ჯიჯიხიას მეთაურობით. კერძოდ, იმერეთის მე-2, ზუგდიდისა და დუშეთის ბატალიონები და თითო-თითო საველე და სამთო საარტილერიო ბატარეები². სოფელ ლილოსთან იდგა გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი. აქეთკენვე გაიგზავნა არმიის საკავალერიო რაზმი, რომელიც მანამდე ოდიშელიძის ბრძანებით ვორონცოვკასაკენ იყო გაგზავნილი, მაგრამ ვიწრო ხეობაში მტერს გადააწყდა და საერთო ვითარების გათვალისწინებით უკან დაბრუნდა. გენერალ კვინიტაძის ინფორმაციის თანახმად ცხენები არაქათგამოცლილი და დასუსტებულები იყვნენ.³

18-19 თებერვალის ღამე.

ველიკანოვის დაჯგუფებას თბილისისთვის ორი გზით შეეძლო შეეცია, კოჯორისა და სოღანლუღის. პირველი გზა მთა-გორიან რელიეფს მიუყვებოდა და

¹ Гражданская война и военная интервенция в СССР. Энциклопедия. 1983 г. М. ст.585

² კვიტაიშვილი გვ. 125

³ კვინიტაძე გვ. 64

საკმაოდ მიხვეულ მოხვეული იყო. ეს ჯარის მანევრირების გარდა, არტილერიის ტრანსპორტირებასა და ჯავშანმანქანების გამოყენებასაც უშლიდა ხელს. მეორე გზა ვაკე რელიეფს მიუყვებოდა. მოწინააღმდეგემ სწორედ მეორე გზა აირჩია.

გენერალმა კვინიტაძემ ბოლშევიკების გეგმა გამოიცნო. იგი წერს, „უპირველეს მნიშვნელობას სოღანლუღის მონაკვეთს ვანიჭებდი, ვინაიდან მტერი უშუალოდ მას ემუქრებოდა. ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ მტერი უკვე საყარაულას მასივთან იმყოფებოდა (კაპიტან ჩიჯავაძის ჯგუფთან შეტაკება). კოჯრის მონაკვეთს ვედარაფრით ვერ გავაძლიერებდი. სოღანლუღის მონაკვეთს 6-7 ვერსის¹ მანძილზე 5 ბატალიონი იცავდა, რაც ასევე უკმარი იყო. იქ სულ 2500 ხიშტი მყავდა. იმედს ღორეს რაზმის 3 ბატალიონზე ვამყარებდი, რომელიც კოჯრის მონაკვეთის წინ იმყოფებოდა და ნელ-ნელა უკან იხევდა რითაც ამ მონაკვეთს დროებით უსაფრთხოებას უქმნიდა ... ამრიგად კოჯრიდან მტკვრამდე გაჭიმულ ფრონტზე ხუთნახევარი ბატალიონი და სამხედრო სკოლა იდგა. აი ის ძალა, რომელიც 18-დან 19 თებერვალის ღამეს მტრის იერიშს შეეგება“.²

გენერალი მაზნიაშვილი აღნიშნავდა, რომ შტაბი მას არავითარ ინფორმაციას მოწინააღმდეგის შესახებ არ აწვდიდა და ამიტომ მან არ იცოდა თუ სად იყო მტერი. არ ყავდა არც ერთი საკავალერიო ნაწილი, რათა ის მტრის დასაზვერად გაეგზავნა. ინფორმაციას მხოლოდ ქვეითი მზვერავი რაზმებისაგან იღებდა, რომლებიც იაღლუჯას ქედზე ადიოდნენ და არემარეს ზვერავდნენ. მაზნიაშვილის ხელთ არსებული ინფორმაციით მტერი ჯერ არსად არ ჩანდა.

გენერალ მაზნიაშვილის თანახმად მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა – 18 თებერვალს 22 სათზე მოწინააღმდეგემ იაღლუჯას ქედს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შემოუარა და მისი პოზიციებისაკენ დაიძრა. დაზვერვაზე წასულმა გორის გვარდიისა და სადარაჯო ლეგიონის რაზმებმა უკან დაიხიეს თავისი პოზიციებისაკენ. ჯავშანმანქანების რაზმიდან ინფორმაცია მოვიდა, რომ მტერი სოღანლუღისაკენ მოიწევდა. ამავე დროს, მე-9 ათასეულისა და გვარდიის ხაშურის ბატალიონის უფროსები იტყობინებოდნენ, რომ მათთან მოწინააღმდეგე არ ჩანს. იგივე ინფორმაციას იძლეოდა ჯავშანმატარებელის მეთაური კუმისის სადგურიდან. მაზნიაშვილი გვარდიის გორის ბატალიონის მიერ დაკავებულ პოზიციებზე მივიდა, რადგან შეტევა სწორედ აქ იყო მოსალოდნელი. მოწინააღმდეგის იერიშის დაწყებდან მალევე ჯავშანმატარებელი სოღანლუღის ხიდთან მივიდა და ბრძოლაში ჩაება. მოწინააღმდეგემ სადარაჯო ლეგიონსაც

¹ 1 ვერსი = 1, 0668 კმ.

² კვინიტაძე გვ. 64-65

შეუტია. ლეგიონთან პირდაპირი კავშირი არ იყო და მაზნიაშივლს ინფორმაციას, მეზობელ პოზიციაზე განლაგებული მე-9 ათასეულის მეთაური აწვდიდა. ამ ინფორმაციის თანახმად სადარაჯო ათასეული მტკიცედ იცავდა თავის პოზიციებს. 19 თებერვლის 2 საათისათვის მტერმა სადარაჯო ათასეულის მიმართულებით შეტევა შეწყვიტა. სამაგიეროდ მთელი ძალებით გვარდიის გორის ბატალიონის პოზიციებს შეუტია. სადარაჯო ათასეული სანგრებიდან სროლით ცდილობდა გორის გვარდიელების დახმარებას. დაახლოებით 3-დან 4-ის ნახევრამდე პერიოდში გენერალი მაზნიაშივლი სადარაჯო ათასეულის განლაგებაში გადავიდა და იქიდან განაგრძო ბრძოლის ხელმძღვანელობა. მოწინააღმდეგე კვლავ განაგრძობდა გორის ბატალიონის პოზიციების იერიშს. გამთენიისას ცხადი გახდა, რომ მოწინააღმდეგე ძალიან ახლოს იყო მოსული ქართული ჯარის პოზიციებთან. მისი მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ სადარაჯო ათასეული იერიშზე გადავიდა. მას გორის ბატალიონმაც მიბაძა, სანგრებიდან ამოვიდა და მოწინააღმდეგეს შეუტია. მტერმა უკან დაიხია იალღუჯას მიმართულებით. ტყვედ ჩავარდა 1600 წითელარმიელი¹.

ცოტა სხვანაირად აღწერს ვითარებას გენერალი კვინიტაძე. მან 19 თებერვლის დაახლოებით 3 საათზე გაიგო სროლის ხმა და სცადა ტელეფონით დაკავშირებოდა გენერალ მაზნიაშივლს. ყურმილი მაზნიაშივლის შტაბის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა უთხელიძემ აიღო და მთავარსარდალს მოახსენა, რომ მაზნიაშივლი სანგრებში იმყოფებაო. კვინიტაძე წერს, „ვითარების გასარკვევად მანქანით ხალხი გავაგზავნეთ, წავიდა გვარდიის შტაბის ზოგიერთი წევრიც, მაგრამ ეს ყველაფერი დროს მოითხოვდა“.² მარცხენა ფრთაზე, ნავთლულში³ გენერალ ჯიჯიხიას სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ყავდა თავისი ბატალიონები და მთავარსარდალის ბრძანებას ელოდა. დაახლოებით 5 საათისათვის ნავთლულის სანიტარული პუნქტიდან დარეკეს და სარდლობას შეატყობინეს, რომ დაჭრილები ყავდათ და აინტერესებდათ სად უნდა გაეგზავნათ ისინი. კვინიტაძე წერს, „ცხადია შეტაკება მოხდა“. ამ დროისათვის მაზნიაშივლის ნაწილებს ყველა შეტევა მოგერიებული ჰქონდათ. მთავარსარდალმა სოღანლულის ხიდის მიმართულებით გვარდიის ერთი ბატალიონი გაგზავნა. ბრძოლის საზზე წავიდა გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელიც. მას კვინიტაძისაგან დავალებული ჰქონდა ბრძოლაში

¹ მაზნიაშივლი გვ. 167

² კვინიტაძე გვ. 66

³ 1921 წელს თბილისის გაცილებით უფრო პატარა ქალაქი იყო ვიდრე დღეს არის. მთელი რიგი პუნქტები, რომლებიც მაშინ ქალაქის შემოგარენს წარმოადგენდნენ, დღეს ან თბილისის შემადგენლობაშია მოქცეული, ანდა უშუალოდ ესაზღვრება ქალაქს.

ჯავშანმატარებელი და ჯავშანმანქანები შეეყვანა. ამის შემდეგ კვინიტაძე სადარაჯო ათასეულის ერთ-ერთ ოფიცერს შეხვდა, რომელმაც მოახსენა, რომ მისი სამხედრო ნაწილი ბოლომდე იბრძოლებს და თუ საჭირო იქნება ამოწყდება, მაგრამ პოზიციებს არ დათმობს. გათენებისთანავე ქართული ჯარის ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გარკვეული განსხვავებაა დეტალების გადმოცემისას მაზნიაშვილისა და კვინიტაძეს მოგონებებში. თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მაზნიაშვილის მონაცემებს უფრო უნდა დავყვრდნოთ. ის პირადად სარდლობდა იმ მონაკვეთს სადაც შეტევა განხორციელდა და ყოველივეს უშუალო თვითმხილველი იყო. ერთი რამ ცხადია, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა კომუნიკაციის საკითხი¹.

გაზეთ „ერთობის“ კორესპონდენტი წერდა, „ეტყობა ბრძოლა სასტიკი ყოფილა. როგორც გვითხრეს ყოფილა კრიტიკული მომენტები, როცა ბატარეა თითქმის ხელთ იგდეს მტრებმა, როცა გორის გვარდიას ყოველი მხრიდან გარს შემოერთყნენ. ამ ბრძოლის ცენტრში ჩვენი საყარაულო პოლკი იყო. ჯარისკაცებს დიდი სიმხნევე გამოუჩენიათ. როგორც სჩანს, მტერი მოდიოდა საკმაოდ სქელი კოლონით, მარა მოიერიშეთა ტალღები იცელებოდა თოფების მწყობრი სროლით და ტყვიისმფრქვეველთა მუშაობით. გათენებისას სასწორი ჩვენსკენ გადმოიხარა. და აი შედეგი განადგურებული დივიზია, დახოცილთა გვამები, ბლომად წამოყვანილი ტყვეები, მიტოვებული თოფები, ყუმბარები და სხვა“².

სხვადასხვა ინფორმაციის შეჯერების შედეგად შეგვიძლია ბრძოლის სურათი შემდეგი სახით აღვადგინოთ – 18 თებერვალს 20-21 საათზე ქართველმა სადაზვერვო რაზმებმა მოწინააღმდეგის მოძრაობა დააფიქსირეს. 22 საათისათვის მოწინააღმდეგემ იაღლუჯას ქედს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შემოუარა და გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებისაკენ დაიძრა. დაზვერვაზე წასულმა გორის გვარდიისა და სადარაჯო ათასეულის რაზმებმა მტრის ავანგარდთან მცირე შეტაკების შემდეგ უკან დაიხიეს. მათ დახმარებას ჯავშანმანქანების რაზმი უწევდა. სწორედ ჯავშანმანქანების რაზმიდან შეატყობინეს გენერალ მაზნიაშვილს, რომ მტერი სოღანლულისაკენ მოიწვედა.

¹ ჩვენი აზრით, ცუდმა კომუნიკაციამ და ზოგ შემთხვევაში ურთიერთკავშირის არარსებობამაც გარკვეულწილად განაპირობა მთავარსარდლის მიერ თბილისის დატოვების გადაწყვეტილების მიღება 24 თებერვალს

² გაზეთი „ერთობა“ №39 1921 წ.

ამავე დროს, მე-9 ათასეულის უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე იტყობინებოდა, რომ მასთან მოწინააღმდეგე არ ჩანდა. იგივე ინფორმაციას აწვდიდა მაზნიაშვილს ჯავშანმატარებელის მეთაური, ვალოდია გოგუაძე¹ კუმისის სადგურიდან. არსებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ გენერალმა მაზნიაშვილმა დაასკვნა, რომ მტერი ძირითად იერიშს მხოლოდ ერთი მიმართულებით, მტკვრიდან რკინიგზის ხაზამდე არსებულ მონაკვეთზე მოიტანდა. მაზნიაშვილი გვარდიის გორის ბატალიონის მიერ დაკავებულ პოზიციებზე მივიდა, რადგან შეტევა სწორედ აქ იყო მოსალოდნელი. გენერალმა ძლივს მოასწრო ბატალიონის უფროსის მოხსენების მოსმენა, რომ დაიწყო შეტევა. ამ დროს დაახლოებით 1.30 საათი იყო². მოწინააღმდეგის იერიშის დაწყებდან მალევე ჯავშანმატარებელი სოღანლულის ხიდთან მივიდა და ბრძოლაში ჩაება. მე-11 არმიის ნაწილებმა შეტევის ფრონტი გაშალეს და ბრძოლაში უკვე საყარაულო რაზმი და სადარაჯო ათასეულიც ჩაერთო. ათასეულთან პირდაპირი კავშირი არ იყო და მაზნიაშვილს ინფორმაციას, მეზობელ პოზიციაზე განლაგებული მე-9 ათასეულის მეთაური პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე აწვდიდა. ამ ინფორმაციის თანახმად სადარაჯო ათასეული მტკიცედ იცავდა თავის პოზიციებს. სამაგიეროდ სასტიკ ხელჩართულ ბრძოლაში ჩართულმა სანაპირო ათასეულის რაზმმა, რომელსაც ხელჩართულ ბრძოლაში ქართველი არტილერიისტებიც ეხმარებოდნენ, მტრის შემოტევას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო ორი ზარბაზანი და ძალიან მიუახლოვდა სოღანლულის სადგურს. ქართულმა ჯავშანმატარებელმა თავისი ცეცხლით მოწინააღმდეგეს სადგურის დაკავების საშუალება არ მისცა. 19 თებერვლის 2-დან 3 საათამდე პერიოდში მტერმა სადარაჯო ათასეულის მიმართულებით შეტევა შეწყვიტა. სამაგიეროდ მთელი ძალებით გვარდიის გორის ბატალიონის პოზიციებს შეუტია. სადარაჯო ათასეული სანგრებიდან სროლით ცდილობდა გორის ბატალიონის დახმარებას. გვარდიელებმა ყველა შეტევა მოიგერიეს. ამ დროისათვის ბრძოლაში კვინიტადის ბრძანებით გვარდიის სარეზერვო ბატალიონი ჩაერთო, ვალიკო ჯუღელის მიერ მოყვანილი ჯავშანმანქანების მხარდაჭერით. მათ სუღანლულის სადგურიდან უკუაგდეს მტერი. მთელი ამ ხნის მანძილზე შედარებით მცირე მასშტაბის შეტევა

¹ვალოდია (ვლადიმერ) გოგუაძე ჯავშანმატარებლების ლეგენდარული უფროსი იყო. მონაწილეობდა 1918-1921 წლების ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში. გამოირჩეოდა ვაჟაკობითა და საოცარი სიმამაცით. სოღანლულთან მოპოვებული გამარჯვების შესახებ ქალაქის მოსახლეობამ პირველად სწორედ ვგოგუაძის მიერ გამოგზავნილი დეპეშით გაიგო. რუსეთ-საქართველოს ომის დროს მძიმედ დაიჭრა, მკურნალობდა სტამბულში. შემდეგ მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

² გაზეთი „ერთობა“ №39 1921 წ.

ხორციელდებოდა მე-9 ათასეულის პოზიციებზე. დაახლოებით 3-დან 4-ის ნახევრამდე პერიოდში გენერალი მაზნიაშვილი სადარაჯო ათასეულის განლაგებაში გადავიდა და იქიდან განაგრძო ბრძოლის ხელმძღვანელობა. მაზნიაშვილი შიშობდა, რომ მოწინააღმდეგე შეტევის ძირითად მიმართულებას შეცვლიდა და მის მარჯვენა ფლანგს შეუტევდა, სადაც მე-9 ათასეული იყო განლაგებული. თუმცა ეს შიში არ გამართლდა. მოწინააღმდეგე კვლავ ჯიუტად ცდილობდა გორის გვარდიელების პოზიციების გარღვევას. გამოენიისას, მოწინააღმდეგის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ სადარაჯო ათასეული იერიშზე გადავიდა. მას გორის ბატალიონმაც მიბაძა, სანგრებიდან ამოვიდა და მოწინააღმდეგეს შეუტია. მათ მხარი სარეზერვო ბატალიონმაც დაუჭირა. ბრძოლაში მონაწილეობდა ორი ქართული თვითმფრინავიც¹. დაკავებულ იქნა საყარაულო ათასეულის რაზმის მიერ დატოვებული თავდაპირველი პოზიციები. მტერმა უკან დაიხია იაღლუჯას მიმართულებით. ტყვედ ჩავარდა 1600 წითელარმიელი.

გენერალი მაზნიაშვილი წერდა, „მოწინააღმდეგის დახეულ ჯარებს თოფის ტყვია ვეღარ სწვდებოდა და ვესროდით მხოლოდ ზარბაზნებს. რეზერვში არ მყავდა დასვენებული არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დასდევნებოდა. ლაშქრის შტაბმა, არ ვიცი რა მიზეზით, საჭიროდ არ ჩასთვალა, გამოეგზავნა ჩემთვის კავალერიის ერთი ესკადრონი მაინც, ცხენოსანი ჯარი კი იდგა იმ დროს სოფელ ლილოსთან უსაქმოდ. მოწინააღმდეგის დევნა იმ ჯარებით, რომელნიც მთელი დამის განმავლობაში განუწყვეტლივ ბრძოლაში იყვნენ, მე არ შეეძლო, რადგან ფიზიკურ დაღლილობას რომ თავი დავანებოთ, ადვილი შესაძლებელი იყო, რადგან იაღლუჯის მადლობებთან მტერს ჰყავდა რეზერვები, რომლებიც კვლავ გადმოვიდოდნენ იერიშზე, გადაგვთელავდნენ, შემოიჭრებოდნენ ჩვენს ბანაკში, დაიჭერდნენ ჩვენს სანგრებს და თავის მთავარ ძალებს გაუხსნიდნენ გზას ქალაქისაკენ“². მტრის დევნა ცხენოსანი ჯარით მართლაც ყველაზე კარგი იქნებოდა, მაგრამ ქართული ჯარი საკავალერიო ნაწილების სიმცირეს განიცდიდა. ლილოსთან მდგარი მცირერიცხოვანი ცხენოსანი რაზმი ბევრს ვერაფერს გააკეთებდა. საჭირო იყო ცხენოსანი ჯარის დიდი რაოდენობა, რაც არ არსებობდა. ესეც მთავრობის ერთ-ერთი შეცდომა იყო. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ქართველი გენერლებისა და ოფიცრების მოთხოვნას არ იზიარებდა და ცხენოსანი ჯარის დიდ შენაერთებს არ ქმნიდა.

¹ Кадишев А.Б. ст.390

² მაზნიაშვილი გვ. 167-168

ისევ და ისევ გენერალიტეტისა და ოფიცერთა კორპუსის მიმართ უნდობლობის გამო (გენერლებს ეუბნებოდნენ, თქვენ ცხენოსანი ჯარი იმიტომ გინდათ, რომ აღლუმებზე ცხენებით იკუნკულოთ).

თბილისის დაცვისათვის წარმოებული ამ პირველი ბრძოლის დროს იყო სამწუხარო შემთხვევაც. სროლის დაწყებისთანავე გვარდიის ხაშურის ბატალიონმა კარგად მოწყობილი და გამაგრებული პოზიციები მიატოვა და თბილისისაკენ გაიქცა.

გენერალი მაზნიაშვილი დანანებით აღნიშნავდა, რომ მთავარსარდლობა არც კი დაინტერესებულა თუ რა ხდებოდა მის მიმართულებაზე. სატელეფონო ხაზები დაწყვეტილი იყო და სარდლობასთან კავშირი არ არსებობდა. „არმიის შტაბიდან ერთი კაციც არ მოვიდა და არ იკითხა, რა ხდებოდა პოზიციებზე. შტაბში კარგად იცოდნენ, რომ ჩემს განკარგულებაში არ იყო არც ერთი ცხენოსანი კაცი, რომელიც შემქმლო გამეგზავნა მოხსენებით შტაბში, თუ ვინცობაა ტელეფონის ქსელი გაფუჭდებოდა, ამ დროს კი შტაბში გარდა ცხენოსანი ორდინარეცებისა იდგა რამდენიმე ავტომობილი. მხოლოდ გათენების 3 საათზე, მე შევძელი გამომეგზავნა ქალაქში მოხსენება ქვეითი კაცით“.¹

გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაცია იტყობინებოდა, „ღამით თებერვლის 18-19-ს მტერი დიდი ძალებით ეკვეთა ჩვენს პოზიციებს ტფილისის შემოსასვლელში. მოელი დამე სასტიკი ომი სწარმოებდა. დილით 19 თებერვალს მტერი სრულიად დამარცხდა და უწესრიგოთ გარბის. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა ჯერ-ჯერობით ხელში ჩაგვივარდა ათასამდე ტყვე. მტრის მხარეზეა დიდძალი დახოცილი“.²

ღამის იერიში უცნობ პოზიციებზე რთული და სარისკო საქმეა. მე-11 არმიის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება ალბათ მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ დარწმუნებული იყო, ქართული შეიარაღებული ძალები წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ.

თბილისთან დაწყებული ბრძოლების პირველივე დღიდან ქალაქში დაიწყო 40 წლამდე მამაკაცთა³ მობილიზაცია, რომლებიც ვალდებული იყვნენ 22 თებერვლის 18 საათამდე გამოცხადებულიყვნენ. პარალელურად მიმდინარეობდა მოხალისეთა ჩაწერა. ღამით ქალაქში წესრიგს მოხალისე მცველები იცავდნენ.

¹ მაზნიაშვილი გვ. 165

² გაზეთი „ერთობა“ 20/II 1921 წ.

³ გარდა რუსებისა.

19 თებერვალი

19 თებერვალს დილით მთავარსარდალი სოღანლულის ფრონტზე მივიდა. კვინიტაძე წერს, „მაზნიაშვილს შეეხვდი, ერთმანეთს გადავეხვიეთ, ხმას ვერ ვიღებდით. მოგვარებული საქმე სიტყვებზე მჭერმეტყველი იყო... მაზნიაშვილს თავისი მოხსენება ჯერ არ დაესრულებინა, როდესაც შტაბიდან გენერალმა ზაქარიაძემ აპარატთან მიხმო. მდგომარეობა ძალიან შეიცვალა და არა ჩვენს სასარგებლოდ. კოჯრის მასივი მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა. ახლახან მიღწეული წარმატება კოჯრის დაკარგვასთან შედარებით არაფერი არ იყო. კოჯრის დაკარგვა თბილისის დაღუპვას ნიშნავდა.“¹ კოჯრის დაკარგვამ მთავარსარდლის გეგმა ჩაშალა, რომელიც კონტრშეტევის განხორციელებასა და საყარაულას მთის მასივის დაკავებას გულისხმობდა.

ამ დროს კი ქალაქი გამარჯვებას ზეიმობდა. „გათენებისას ადრე მთელი ტფილისი ქუჩაშია გამოსული. ყველას სახე უღიმის. ყველა იმედიანად არის... 12 საათზე, უკვე გამოჩნდა ტყვეების პირველი ნაწილები... ტყვეთა დიდი უმრავლესობა სრულიად ახალგაზრდები არიან, გამხდარნი და გაყვითლებულნი... ჩვენი მფრინავნი, რომელნიც დასაზვერად იყვნენ წასულნი, ადასტურებენ, რომ მტერი უწესრიგოდ უკან დახევას კვლავ განაგრძობს“².

მე-11 არმიის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა 19 თებერვალს თბილისი აეღო. ცენტრში დამარცხების შემდეგ მათ შეტევის მიმართულება შეცვალეს და ჩვენი ჯარების მარჯვენა ფრთას შეუტოეს. დილის 8 საათზე მტერი სოფლების ვაშლოვანისა და კუმისის წინ გამოჩნდა და ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით დაიძრა. ტაბახმელას, სამხედრო სკოლასთან ერთად მე-10 ათასეულის მეომრებიც იცავდნენ პოლკოვნიკ საგინაშვილის მეთაურობით. ეს სამხედრო ნაწილი სკოლის დასახმარებლად პოზიციებზე 18 თებერვალს საღამოს მივიდა. ტაბახმელას პოზიციებიდან მაიორმა ბახუტაშვილმა მოწინააღმდეგეს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა და დაფანტა. ცოტა ხანში მოწინააღმდეგის ცხენოსანი რაზმი გამოჩნდა. ქართველმა არტილერისტებმა ამჯერად მათი მიმართულებით გახსნეს ცეცხლი. მოწინააღმდეგეს ძალიან დიდი რიცხოვრივი უპირატესობა ჰქონდა და ნელ-ნელა წინ მოიწევდა. 12 საათისათვის მათ უკვე უშუალოდ ტაბახმელას პოზიციებს შეუტოეს. №1 სანგრიდან, ლეიტენანტ ერისთავის მეთაურობით გახსნილმა ტყვიამფრქვევების ცეცხლმა მოწინააღმდეგე შეაყოვნა. პარალელურად მიმდინარეობდა მტრის შეტევა კოჯრის

¹ კვინიტაძე გვ. 68-69

² გაზეთი „სახალხო საქმე“ 20/II 1921 წ.

მიმართულებითაც. აქ მყოფმა მე-4 ათასეულის ნაწილებმა მოწინააღმდეგის შემოტევას ვერ გაუძლეს და მამადავითის მიმართულებით უკან დაიხიეს. კოჯრის დაკავების შემდეგ ბოლშევიკები წავკისისა და ტაბახმელას მიმართულებით დაეშვნენ. ამ დროს დაახლოებით 13.30 საათი იყო. შეიქმნა ტაბახმელას პოზიციებზე მყოფი ქართული ნაწილების ალყაში მოქცევის საშიშროება, ამიტომ გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს ტაბახმელას დატოვება და ბრძოლით მამადავითისაკენ დახევა უბრძანა¹.

აი როგორ გადმოგვცემს თავის განცდებს ალექსანდრე ჩხეიძე, „ნაპოლეონობა არ იყო საჭირო იმის გამოსარკვევად, რომ იმ შემთხვევაში თუ მე ბრძანებას ავასრულებდი იმ საღამოსვე ტფილისი ბოლშევიკების მიერ იქნებოდა დაკავებული... მოზღვაავდა მწველი განცდები... წარმოვიდგინე, რომ სამხედრო ისტორიკოსი ტფილისთან ბრძოლის აღწერის დროს დაწერს – კრიტიკულ წუთებში სამხედრო სკოლის რაზმმა დააგდო თავისი პოზიციები და დაიხია მამა-დავითის მთაზე. რის შედეგად ბოლშევიკებმა დაიკავეს ტაბახმელა და აქედან შევარდნენ ტფილისში. არა ეს არ იქნება ისტორიაში ასე დაწერილი... მომაგონდა სამხედრო ისტორიიდან შემთხვევები, როდესაც ჯარის ნაწილები სწირავდნენ თავს არმიის დასახსნელად.“²

პოლკოვნიკმა ჩხეიძე ხვდებოდა, რომ მის ხელთ არსებული ძალებით კოჯრის გათავისუფლებას ვერ შეძლებდა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ საჭირო იყო მტრის შეჩერება სანამ მთავარსარდალი დამატებით ძალებს გამოგზავნიდა. გენერალი კვინიტაძე რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა ამაში პოლკოვნიკი დარწმუნებული იყო. გენერალმა კვინიტაძემ, კოჯრის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ტაბახმელას მიმართულებით გაგზავნა მე-5 ათასეული, გვარდიის იმერეთის და ბათუმის ბატალიონები. ამავე დროს ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების – მ.ბ.) მოედანზე უნდა მისულიყო და შემდგომ ბრძანებებს დალოდებოდა გვარდიის თბილისის ორი ბატალიონი.

ამ დროს კი პოლკოვნიკმა ჩხეიძემ მათორ ბახუტაშვილს არტილერიის მობრუნება და მტრისათვის ცეცხლის გახსნა უბრძანა. სარდლობა დროებით ნესტორ გარდაფხაძეს გადააბარა და თავად გენერალ ანდრონიკაშვილთან შტაბში ჩავიდა. გადაწყდა არსებული ძალებით კონტრშეტევის განხორციელება

¹ანდრონიკაშვილის ამ ბრძანებასთან დაკავშირებით, ჩხეიძე წერს, „საერთოდ გენერალ ანდრონიკაშვილს თავი ეჭირა მეტად მშვიდად და განაგებდა საზრიანად. მის გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს ფსიქოლოგიური ახსნა. ის იმყოფებოდა თავის შტაბში და ვერ ხედავდა უშუალოდ ჯარებს, ვერ გრძნობდა სკოლის გამობრძმედილ მებრძოლ სულს და როგორც ბუნებით რბილი ადამიანი, ვერ პოულობდა თავის არსებაში იმდენ ნებისყოფას, რომ მოეთხოვა თავისი ჯარებისათვის, უეჭველი დაღუპვის მიუხედავად, დამდგარიყვნენ და დაღუპულიყვნენ“.

² ჩხეიძე გვ. 55

და მტრის შეჩერება. იუნკრები, კაპიტან თოიძისა და მე-10 ათასეულის მებრძოლთა ნაწილი კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით შეტევაზე გადავიდა. „იერიში დაიძრა! ნახევარი გუნდი (მე-10 ათასეულის ნაწილი – მ.ბ.) წავიდა მარჯვნივ, იუნკრები მარცხნივ. ნახევარი გუნდის იერიში რამოდენადმე დაფარული იყო ბორცვებით, იუნკრები კი უტევდნენ სუფთა თოვლით დაფენილ ღია ადგილზე. დიდებული და ღამაზი სურათი იყო! არც ერთხელ არ დაწოლილან ისე გაიარეს ცეცხლის ქვეშ 1 და 1/2 ვერსი. ეს მორალური დარტყმა ბოლშევიკებისთვის ცეცხლზე ძლიერი იყო! მიუახლოვდნენ 100-120 ნაბიჯზე და გახსნეს ცეცხლი, მაგრამ უბედურება არ გვეტოვებდა ჩვენ! მე-10 ათასეულის ნახევარ გუნდში მოკლულ იქნა კაპ. ქარუმიძე; იუნკრების მწყობრში მოჰკლეს კაპ. თოიძე. ნახევარმა გუნდმა დაიწია უკან, მაგრამ შემდეგ გასწორდა და შეჩერდა. ბოლშევიკები გადმოვიდნენ ხიშტით იერიშზე ერთ-მუჭა იუნკრების წინააღმდეგ (სულ იყო 23 იუნკერი). იუნკრებმა დაიწიეს უკან, მოიმარჯვეს ადგილი და შეეგებნენ ცეცხლით! ჩვენმა ზარბაზნებმა გაახშირეს სროლა. ბოლშევიკები გაიქცნენ უკან თავიანთ თოვლის სანგრებში. ჩვენი არტილერიის მარჯვე ცეცხლმა (პირდაპირი დამიზნით) და გმირულ კონტრ-იერიშის მორალურმა დარტყმამ მტერი ადგილზე მიაჭედა! ჩვენ უკვე გადარჩენილი ვიყავით!“¹

პირველი ამოცანა გადაჭრილი იყო, მტრის შეტევა შეჩერდა. ესლა საჭირო იყო კოჯრის დაბრუნება. ეს მეტად ძნელი ამოცანა იყო. პირდაპირი იერიში დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. ჯარები იძულებული იქნებოდნენ, 45 გრადუსიანი დამრეცობის მქონე ფერდობის თავზე გამაგრებული მოწინააღმდეგისათვის შეეციათ. ამიტომ გადაწყდა, იერიში მოწინააღმდეგის ფლანგებზე განეხორციელებინათ. კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე გადასროლილ იქნა ყველა რეზერვი. 19 თებერვლის საღამო და ღამე შენაერთების საწყის პოზიციებზე განლაგებამ დაიკავა. გვარდიის თბილისი

¹ ჩხეიძე გვ. 56

მე-4 ბატალიონის ერთი ნაწილი ფუნიკულორის მხრიდან გაიგზავნა, მეორე ნაწილი კი წყნეთის მხრიდან. კოჯორზე ზურგიდან იერიშის მისატანად სოფელ ბებუთოვკაში გაიგზავნა გვარდიის კიდევ ერთი ბატალიონი. ამავე დროს გენერალ ანდრონიკაშვილს, უკვე დილით გაგზავნილი ნაწილების გარდა, დამატებით გადაეცა არტილერია და გენერალ მაზნიაშვილისაგან დროებით წამოყვანილი 1-ლი ათასეული პოლკოვნიკ გეგელაშვილის მეთაურობით. 19-დან 20 თებერვლის ღამეს ტაბახმელას პოზიციებიდან დროებით, დასვენების მიზნით, გამოყვანილ იქნა სამხედროს სკოლა და ეს პოზიციები გვარდიამ და აღდგენილმა მე-5 ათასეულმა დაიკავა.

19 თებერვალსვე მოწინააღმდეგე მარცხენა ფრთაზეც გამოჩნდა. ამ მიმართულებით მცირე მასშტაბის შეტაკებები მიმდინარეობდა.

ამავე დღეს მე-9 არმიის 31-ე დივიზიამ შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით შემოტევა დაიწყო¹. ამ მიმართულებას მე-2 და მე-3 ათასეულები იცავდა გენერალ დავით ართმელიძის მეთაურობით.

20 თებერვალი

20 თებერვალს დილით ადრე კოჯორის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყო. ქართველთა შეტევის შეხერხების მიზნით, მოწინააღმდეგემ ტაბახმელას პოზიციებს შემოუტია. გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს სკოლის სასწრაფოდ პოზიციებზე დაბრუნება უბრძანა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. №2 და №3 სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის იერიშს ვერ გაუძლეს და უკან დახევა დაიწყეს. სწორედ ამ დროს კაპიტანი შავდია იუნკრებს შეტევაზე წაუძღვა. სანგრები დაბრუნებულ იქნა. მოწინააღმდეგემ კიდევ ორჯერ მიიტანა იერიში ტაბახმელაზე, მაგრამ ქართველი მეომრები მტკიცედ იცავდნენ თავის პოზიციებს. მე-11 არმიის სარდლობამ ქართველი იუნკრების წინააღმდეგ ბაქოს „წითელი“ კურსანტები² ჩააბა ბრძოლაში, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწია. იმ დილით სკოლამ მოწინააღმდეგის სამი იერიში მოიგერია.

ამასობაში მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა კოჯორის გასათავისუფლებლად. 14 საათზე კოჯორიდან ჩამოსულმა ვალიკო ჯუღელმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს აცნობა, რომ კოჯორი დაბრუნებულია და ქართული შენაერთები ახეულას (ქორ-ოღლის) ციხეს უტევენ. მალე ეს იერიშიც წარმატებით დამთავრდა.

¹ დარსანია ნ. მე-9 წითელი არმია და 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები აფხაზეთში. საისტორიო ძიებანი I. 1998 წ. გვ. 138

² მათ გვერდით, საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ იბრძოდა ბორის ძნელაძეც.

ქართულმა ჯარმა ხელთ იგდო მტრის ოთხი ზარბაზანი, ათზე მეტი ტყვიამფრქვევი, ერთი პატარა ჯავშნოსანი და ტყვეები. გვარდიის იმერეთის მე-3 ბატალიონის მეგრძოლთა ერთი ჯგუფი სოფელ ვაშლოვანში შევიდა. იქ მდგარი ბოლშევიკების ადამიანი გაანადგურა და თავის პოზიციებზე დაბრუნდა¹. კოჯრის გათავისუფლების ოპერაციის დამთავრების შემდეგ 1-ლი ათასეული კვლავ გენერალ მაზნიაშვილს დაუბრუნდა, მასვე გადაეცა მე-7 ათასეული.

იმავე დღეს გენერალმა კვინიტაძემ ტაბახმელა-კოჯრის პოზიციები დაათვალიერა და გენერალ ანდრონიკაშვილსაც შეხვდა. მთავარსარდალი წერს, ანდრონიკაშვილს „კარგა ხანია ვიცნობდი, მაგრამ საბრძოლო ვითარებაში არასდროს შევხვედრილვარ. ბოლშევიკებთან ომის დროს არაერთხელ დავრწმუნდი, რომ იგი ბრძოლებს მშვენივრად ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებით სიმშვიდითა და თავდაჭერილობით გამოირჩეოდა“². გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე შემდგენივრად ახასიათებს გენერალ ანდრონიკაშვილს, „გენ. ანდრონიკაშვილი ფრთხილობდა, მშვენივრად განაგებდა თავის საქმეს და იოლად უმკლავდებოდა ყველა შემოტევას“³.

კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებს ასე აღწერდა გაზეთ „სახალხო საქმის“ საკუთარი კორესპონდენტი, „19-ს სოღანლულთან თავგაჭექცილი მტერი ერთი სომხის და ორი რუსის პოლკით დაიძრა კოჯრისკენ. მტერმა წინა დღეს აიღო ქოროღლის ციხე და მისი მიდამოები. იმავე დღეს საღამოთი დაიკავეს კოჯორი. ამ კუთხის დაცვა დავალებული ქონდა გმირ პოლკოვნიკს ჩხ-ძის მეთაურობით ორასამდე იუნკრობასა და მცირე რაზმს მე-10 ათასეულისას. ორს სამს ვერსზე კუმისის გადასახედ სერებიდან უძო-კოჯრის სერებამდე ვეფხვებრ იბრძოდა ეს მცირე რაზმი და დაიცვეს პოზიცია 19 საღამომდე. სოფელ წყნეთიდან ჩვენმა ახალმა ჯარმა შემოუარა და შეუტია კოჯორს, ასევე ტაბახმელა-წავკისიდან. დილის 8-9 საათამდე გაიწმინდა უძო, აიღეს კოჯორი და შეუტოეს ქოროღლის ციხეს. 12 საათზე მტერი კუმისისკენ გარეკეს. ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები, მათი ათასეულის უფროსი ნიკოდიმოვი და 60 ტყვე ჯარისკაცი. ჩვენგან დაიჭრა 20 ჯარისკაცი და დაიღუპა ორი ოფიცერი: ანანიაშვილი და ქარუმიძე“.

¹ კვინიტაძე გვ. 127

² კვინიტაძე გვ. 71.

პოლკოვნიკ თევზაძის შეფასებით, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი იყო „ჭკვიანი, განათლებული, მშრომელი, მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჯარის შედგენაში.“ 1918 წლის საქართველო-სომხეთის ომის დროს გენერალი ანდრონიკაშვილი გენერალური შტაბის უფროსი იყო.

³ თევზაძე გვ. 48

20 თებერვალს მარცხენა ფრონტზე გვარდიის ნაწილებმა მტერი უკუაგდეს და სადგური ვაზიანი დაიკავეს. „სადგურ ვაზიანიდან კარგი ამბები მოდის. ჩვენ ჯარს შუადღისასა უკვე გაურეკია იქ შეჭრილი მტრის კავალერია და მის დევნას განაგრძობს. უკუქცეული მტრის ლაშქარს ღვთის რისხვასავით ატყდება თავს ყუმბარები, რომელსაც ჩვენი მფრინავები მაღლიდან ესვრიან“¹.

გენერალური შტაბის ინფორმაცია, იუწყებოდა, რომ „ტფილისის ახლო პოზიციებზე მშვიდობიანობაა. მტრის კოლონები, რომლებმაც ჩვენს ფლანგებს შემოუარეს გარბიან. ჩვენ დავიკავეთ სადგური ვაზიანი. უკან დახეულ მოწინააღმდეგეს ამ რაიონში ჩვენი ჰაეროპლანები ზევიდან ბომბეს აყრიან. კოჯრის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და ტყვეები. მოწინააღმდეგის დევნა გრძელდება“².

20-21 თებერვლის დამე

20 თებერვალს მთელი დამე მოწინააღმდეგე კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე უშედეგო შეტევას განაგრძობდა და მხოლოდ 21 თებერვალს დილით დაიწყო უკან დახევა. მალე მათი ქვეითი ჯარი არსად აღარ ჩანდა.

გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაცია იუწყებოდა, „დამით 20-21 თებერვალს, მტერმა მიიღო რა მაშველი ძალები ორჯერ შემოუტია ჩვენს ნაწილებს კოჯრის რაიონში. ორივეჯერ მოვიდნენ მტრის რაზმები ჩვენ სანგრებადღე. მტრის პირველი შემოტევა მოვიგერიეთ ხელსასროლი ყუმბარებით, მეორე შემოტევა კი ხიშტით ბრძოლამდე მივიდა. მიუხედავად ჩვენი ჯარების მეტი მეტი დაღლილობისა მთელი დამის სასტიკი ბრძოლის გამო, ჩვენი ჯარები ორჯერ გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მამაცი თავდასხმით უკუაგდეს მტერი. შემდეგში მტრის ყოველგვარი ცდა შემოტევისა მოგერიებულ იქნა ჩვენების სროლით. 21 თებერვლის დილის 10 საათზე ჩვენი ძალებს მიწოლის შემდეგ მტერმა დაიწყო უკან დახევა. დამის ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები, მათ შორის პოლიტკომი (პოლიტიკური კომისარი). სოღანლულის დასავლეთის რაიონებში, ჩვენმა რაზმმა ხელთ იგდო მტრის ყუმბარების ყუთი ყუმბარებით.“³

¹ გაზეთი „სახალხო საქმე“ №1059 1921 წ.

² გაზეთი „ერთობა“ №40 1921 წ.

³ გაზეთი „სახალხო საქმე“ №1059 1921 წ.

21 თებერვალი

21 თებერვალს მტრის უკანდახევის შემდეგ კონტრიერიშიზე გადასვლის საშუალება გაჩნდა. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ გენერალ კვინიტაძეს სწორედ ამ წინადადებით მიმართა, მაგრამ კონტშეტევის განხორციელებისათვის საჭირო დასვენებული და თავისუფალი შენაერთები არ არსებობდა. მთავარსარდალი ახალციხიდან მომავალ მე-11 და მე-12 ათასეულებს ელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ თვლიდა შესაძლებლად იერიშის დაწყებას¹. ტაბახმელას პოზიციების გასამაგრებლად ამ უბანზე გაიგზავნა მაიორ ჩრდილელის² მთელი ბატარეა და მაიორ მახარაძის ბატარეის ნაწილი, ლეიტენანტ გოგი მესხიშვილის მეთაურობით.

ამ დღეს ძირითადი მოვლენები გენერალ ჯიჯიხიას სექტორში განვითარდა. მოწინააღმდეგემ თბილისის დამცველთა მარცხენა ფლანგის შემოვლა განიზრახა, მაგრამ გვარდიის ბატალიონები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ჯიჯიხიას დაქვემდებარებული ძალები, კვინიტაძემ წინასწარ დამატებითი ბატალიონებით (მათ შორის ერთ-ერთი ახალციხის იყო) გააძლიერა. სოფელ ლილოდან ხუთმა გვარდიულმა ბატალიონმა, ქართველ კავალერისტთა მხარდაჭერით, მოწინააღმდეგეს ფლანგში დაარტყა. ამავე დროს ორხევიში მდგომმა, ორმა გვარდიულმა ბატალიონმა ფრონტალური შეტევით მოწინააღმდეგეზე ძლიერი იერიში მიიტანა. მე-11 არმიის ნაწილებმა უკანდახევა დაიწყეს. მათი დევნა დაღამებამდე გაგრძელდა. ქართულმა შენაერთებმა მტერს 10 კილომეტრზე მეტით დაახევიანეს. მიღწეული წარმატება დიდად განაპირობა, გვარდიის ცხენოსანი დანაყოფების სწრაფმა და ეფექტურმა მოქმედებამ, რომლებიც კაპიტან ედიგარაშვილის ბორჩალოს მოხალისეთა საკავალერიო ასეულით იყვნენ გაძლიერებული.

გაზეთი „ერთობა“ წერდა, „19 თებერვალს ჩვენმა ჯარმა სოღანლუღის მინდორზე გაარღვია ის ალყა, რომელიც შემოარტყა ტფილისს ჩვენი სამშობლოს გასანადგურებლად შემოჭრილმა „წითელმა“ ბრბოებმა. ეს დამარცხება იყო დამარცხება მტრის ცენტრის. 20 და 21 თებერვალს ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა მტრის მარცხენა ფრთისკენ – კოჯორისა და ტაბახმელას სიმაღლეებზე და მარჯვენა ფრთისკენ სადგურ ვაზიანის რაიონში.

¹ ეს ათასეულები ქართულ ჯარს მხოლოდ სურამთან შეუერთდნენ.

² პოლკოვნიკ ჩხეიძის დახასიათებით „მაიორი ჩრდილელი ენერგიული და შეუდრეკი ოფიცერი იყო (ჩხეიძე გვ. 40). რ.გაბაშვილი წერს, „მივედი ფრონტზედ. ბრტყელ ბეჭობზე იდგა ოთხი პატარა, სამთო ზარბაზანი. დახატულივით ლამაზი ვაჟკაცი ოფიცერი ჩრდილელი ბრძანებლობდა ამ ბატარეას“ (გაბაშვილი გვ. 323). 29 წლის დიმიტრი ჩრდილელი კომუნისტებმა „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრებთან ერთად 1923 წლის 20 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს.

ამ ძალების ლიკვიდაციით ტფილისს სრულიად ეხსნება ალყა, ტფილისი გადარჩენილია და პირდაპირი საფრთხე მოკლე დროში მას აღარ მოეწივს“.¹

გაზეთ „სახალხო საქმის“ კორესპონდენტი კი იტყობინებოდა, „თებერვლის 21-ს ჩვენს მარჯვენა ფრთაზე მტერმა ვეღარ გაუძლო ჩვენი მამაცი ჯარის ქარიშხალისებურ შეტევას, სასტიკად დამარცხდა და თავზარდაცემულმა უწესრიგოდ იწყო უკან დახევა“.²

გენერალური შტაბის ინფორმაციით, „ტფილისის პოზიციებზე დამარცხებული მტრის მდევარმა, ჩვენი ჯარის მოწინავე რაზმმა გუშინ საღამოს აიღო სოფელი ყუმისი და წალასკური. სოფელ ყუმისთან დამის ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის 8 ტყვიისმფრქვეველი, 3 ოფიცერი და 53 წითელარმიელი. სოფელ წალასკურთან მტერს წავართვით მასალათა ყუთი ყუმბარებით და ვაზნებით. გზა და გზა ჩვენი ჯარი ხელავს აშკარა ნიშნებს მტრის სრული არეგდარევისა და დიდი ზარალისა. მტერმა დარიალშიც სცადა ჩვენს მოწინავე პოზიციებთან მოახლოვება, მაგრამ უკუგდებულ იქნა.“³

21 თებერვალს კავკასიის ფრონტის სარდლობა მე-11 არმიის ხელმძღვანელობას უბრძანებს, გაანალიზოს წარუმატებლობის მიზეზები და შეიმუშავოს თბილისის ალების ახალი გეგმა. საინტერესოა ქართული სარდლობის მოქმედების მოწინააღმდეგისეული შეფასებაც – „Умело руководящего своими хотя и незначительными, но сосредоточенными в кулак силами.“⁴

22 თებერვალი

რადგან თბილისის პირდაპირი იერიშით ალება ვერ მოხერხდა, მე-11 არმიის სარდლობამ ქალაქის დამცველთა ფლანგებიდან შემოვლა განიზრახა და ძალების გადაჯგუფება დაიწყო. შეიქმნა ორი დაჯგუფება. ერთს ველიკანოვი მეთაურობდა, მეორეს კი კუიბიშევი. ამ უკანასკნელმა, დედოფლისწყაროსთან ქართულ ნაწილებთან ბრძოლის დროს მოკლული კურიშკო შეცვალა. კუიბიშევის დაჯგუფება მე-9 ქვეითი და მე-12 საკავალერიო დივიზიებით გაძლიერდა. მას თბილისზე აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეტევა დაეკადა. ველიკანოვს დასავლეთიდან უნდა განეხორციელებინა იერიში.

¹ გაზეთი „ერთობა“ 22/II 1921 წ.

² გაზეთი „სახალხო საქმე“ 22/II 1921 წ.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №41 1921 წ.

⁴ Директивы Т. III ст. 374

იმავე დღეს მოწინააღმდეგის ცხენოსანმა რაზმმა მანგლისი დაიკავა და მანგლისი-კოჯრის გზატკეცილით იერიში წამოიწყო, თუმცა მარცხი იწვნია. აშკარა იყო, რომ მე-11 არმიის სარდლობა იყენებდა რა თავის უპირატესობას ცოცხალ ძალაში, ფრონტის „დაგრძელებას“ ცდილობდა. საპასუხოდ მთავარსარდალი კვინიტაძე იძულებული იყო თავდაცვის დამატებითი მიმართულებები გაეხსანა და ისედაც მცირე ძალები კიდევ უფრო დაექსაქსა. მანგლისის მხრიდან შესაძლო შემოტევის მოსაგერიებლად წყნეთში გვარდიის თბილისის ერთ-ერთი ბატალიონი გაიგზავნა. მანგლისიდან მოწინააღმდეგეს ნახშირმთის (ნახშირგორის) მიმართულებითაც შეეძლო შეტევის წამოწყება და აქედან შემდეგ დიღომში გადასულიყო, რაც უმძიმეს მდგომარეობას შექმნიდა. ნახშირმთის მიმართულებით ხევსურთა ასკაციანი რაზმი გაიგზავნა, დამფუძნებელი კრების წევრის შალვა ქარუმიძის მეთაურობით.

შედარებითი სიმშვიდე იყო ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებაზე, თუმცა ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრნენ ლეიტენანტები ერისთავი და ანდრონიკაშვილი¹. პოლკოვნიკი ჩხეიძე გენერალ ანდრონიკაშვილთან გამოცხადდა და ამ უკანასკნელს მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ნაწილების დაწყობასა და გადაჯგუფებაში დაეხმარა. „გენერალ ანდრონიკაშვილს მართლაც უძნელეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. დუქანში, სადაც ის იდგა, მოთავსებული იყო შვიდი ტელეფონის სადგური, ყოველ წუთს მას ტელეფონთან თხოულობდნენ, არა ჰყავდა არც ერთი თანაშემწე“² ჩხეიძემ ტაბახმელაში სანგრებში ერთმანეთში არეულად მდგომი: სამხედრო სკოლის, 1-ლი, მე-5, მე-10 ათასეულებისა და გვარდიის ერთი ბატალიონის მებრძოლების შეძლებისდაგვარად მოწესრიგება მოახერხა. საღამოს პოზიციებზე კაპიტანი ყიფიანი ამოვიდა და თან რეზერვიდან მობილიზებული 50-60 ჯარისკაცი მოიყვანა. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ისინი გვარდიელების მიერ თვითნებურად მიტოვებული³ სანგრის დასაკავებლად გაგზავნა.

¹ ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი სამხედრო სკოლის სამკითხველოს გამგე იყო, ფრონტზე თავისი ნებით წავიდა.

² ჩხეიძე გვ. 40

³ სამწუხაროდ იყო ხოლმე პოზიციების თვითნებურად მიტოვების ფაქტები. რ.გაბაშვილი წერს, „ჩემის თვალთ კი უყურებდი იმავე ტაბახმელაზე, როგორ დასდევდა ცხენდაცხენ ვალიკო ჯუღელი თავის გაქცეულ გვარდიელებს და დედის გინებით, მათრახითა სცემდა და უკან... ვერ აბრუნებდა (გაბაშვილი გვ. 318)

გენერალური შტაბის ინფორმაციის თანახმად, „22 თებერვალს ტფილისის მიდამოებში დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ საღამო ხანს შენიშნულ იქნა მტრის მცირე რაზმის წინსვლა ყარაიახისა და საგარეჯოს მხრიდან“¹.

იმავე დღეს ქართული ქვედანაყოფები მძიმე ბრძოლას აწარმოებდნენ მე-9 არმიის ნაწილების წინააღმდეგ. მიუხედავად ვაჟაკობისა და თავდადებისა, მტრის რიცხოვნობა უპირატესობამ თავისი გაიტანა. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მესადირის პოზიციები ვერ შეინარჩუნეს და უკან დაიხიეს. ცნობილი ქართველი მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელსაც ერთი პერიოდი სამხედრო მინისტრის თანამდებობა ეკავა, წერს: „მესადირის ბრძოლებიც რუსთა არმიასთან მეტათ სახელოვანი ეპიზოდი იქნება ქართული მხედრობის მატიანეში.“² მოწინააღმდეგემ გაგრა აიღო³. საინტერესოა, რომ ქართველ მეომრებს საარტილერიო ცეცხლით საფრანგეთის სამხედრო ხომალდები უწევდნენ მხარდაჭერას.

22 თებერვალსვე დაიწყო შემოტევა დარიალის მხრიდან, თუმცა ქართველმა მეომრებმა ხიდი ააფეთქეს და მოწინააღმდეგის პირველი იერიში მოიგერიეს. ამ მიმართულებით მოქმედ ქართულ ჯარს პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი ხელმძღვანელობდა.⁴

23 თებერვალი

მოწინააღმდეგემ თავისი მარჯვენა ფლანგის გაძლიერება დაიწყო. ამ მიმართულებით მე-11 არმიის ცხენოსანი ნაწილები, მე-12 და მე-18 საკავალერიო დივიზიები გამოჩნდნენ. მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა ქართულ ნაწილებზე და ამის გამო, გენერალ ჯიჯიხიას დაქვემდებარებაში მყოფა ქართულმა შენაერთებმა უკან დაიხიეს და თავისი ძველი, 21 თებერვლამდელი, პოზიციები დაიკავეს.

ქართულმა სარდლობამ კონტრშეტევის განხორციელება გადაწყვიტა. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი წინა დღეების მანძილზე მოწინააღმდეგის ძირითადი შეტევები კოჯორ-ტაბახმელასა და სოღანლუდის მიმართულებებზე ხორციელდებოდა, გენერალმა კვინიტაძემ კონტრშეტევის განხორციელება მარცხენა ფლანგიდან გადაწყვიტა. წარმატების მიღწევის შემთხვევაში,

¹ გაზეთი „ერთობა“ 23/II 1921 წ. გენშტაბის ამავე ინფორმაციის რუსული ვერსიის თანახმად მოწინააღმდეგის იერიში განხორციელდა „со стороны Караяз на Сагареджо“ გაზეთი „Борьба“ №42 1921 წ.

² გრ.ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე 1995 წ. თბ. გვ. 220

³ დარსანია გვ. 138

⁴ კვიტაიშვილი გვ. 117

შენაერთების დიდი ნაწილი სასწრაფოდ მარჯვენა ფლანგზე იქნებოდა გადსროლილი და შემდეგ იქ განხორციელდებოდა შეტევა. კონტრშეტევის მიმართულებაზე რიცხობრივი უპირატესობის მოპოვების მიზნით, გენერალ ჯიჯიხიასთან დამატებითი ძალების კონცენტრაცია დაიწყო. აქ თავმოყრილი იყო თითქმის მთელი გვარდია, გარდა ბათუმის, იმერეთის ერთი და თბილისის რამდენიმე ბატალიონისა. ამას ემატებოდა პოლპოლკოვნიკ ფურცელაძის შენაერთი. გენერალი კვინიტაძე წერს, „ვითვალისწინებდი იმ გარემოებას, რომ გვარდიას ადგილზე თავდაცვა ნაკლებად შეეძლო, ამიტომ იქ დიდძალი ხალხი უნდა შემეკრიბა და თუ მტერთან შედარებით რაოდენობრივ უპირატესობას მივალწევდი და მის ამ ფლანგს დავიპყრობდი, მაშინ წარმატებასაც მივალწევდით. ამ მიზნით მარცხენა სანაპიროს ჯარი სამ მონაკვეთად დაყავი: 1) პოლკოვნიკი ინწკირველი – უახლოესი მტკვართან; 2) გენერალი ჯიჯიხია – ცენტრალური მონაკვეთი კახეთის გზატკეცილის გასწვრივ და 3) პოლკოვნიკი გედევანიშვილი – მარცხენა ფლანგის სამანევრო მონაკვეთი“.¹

23 თებერვალს 14 საათზე მოწინააღმდეგემ ქართველების მიერ უკანდახევის დროს აფეთქებული ფოილოს სარკინიგზო ხიდი ადაღგინა.² ამან მას დამატებითი ძალების (მათ შორის ტანკების) სწრაფი გადაადგილებისა და რაც ყველაზე მთავარია ჯავშანმატარებლების გამოყენების საშუალება მისცა. იმავე საღამოს ამ ჯავშანმატარებლებმა ქართულ პოზიციებთან მოახლოება სცადეს, მაგრამ ქართველ არტილერიისტთა ზუსტი ცეცხლის გამო იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

საღამოს მოწინააღმდეგემ ტაბახმელას პოზიციებზე მიიტანა იერიში, რომელიც რამდენჯერმე იქნა მოგერიებული. ბრძოლის ერთ მომენტში კაპიტან ყიფიანის დაქვემდებარებაში მყოფმა მეომრებმა პოზიცია მიატოვეს. ჯარისკაცების მიერ მიტოვებულმა კაპიტანმა რეგოლვერი დაიხალა. გაქცეულთა ადგილი სასწრაფოდ იუნკრებმა დაიკავეს, მოწინააღმდეგე მოიგერიეს და შემდეგ დაჭრილი ყიფიანი სამედიცინო პუნქტში გადაიყვანეს. დაჭრილი ოფიცერი პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ინახულა და ჰკითხა, „თქვენ ჩემო კარგო მეგობარო, ეს რა ჰქენით? რისთვის? ბატონო პოლკოვნიკო, მე ვერ შევასრულე თქვენი ბრძანება და ესლა ყველას შეუძლია სთქვას, რომ კაპიტან ყიფიანს ბრძოლაში ჯარისკაცები გამოექცნენ.“ „განა ეს არ არის იაპონური სამურაისებური

¹ კვინიტაძე გვ. 73.

² ზოგიერთ ნაშრომში ფოილოს ხიდის ადაღგენა 22 თებერვლით არის დათარიღებული. ჩვენ ვეყრდნობით ინფორმაციას რომელიც დაცულია სტატიაში Зун В. Бронесилы 11-ой Армии в борьбе за освобождение Грузии. Журнал «Механизация и Моторизация РККА» ст. 20 1936 г. №2

თავგანწირვა განა ეს არ არის თავგანწირვა რაინდულ დროისა... ამ სიტყვებში გამოიხატა მისი სულის ტრადედია და ამასთანავე სილიადე!¹, წერს ალექსანდრე ჩხეიძე.

საღამოს გენერალი კვინიტაძე, პოლკოვნიკ თევზაძესთან ერთად მარცხენა ფლანგის დასათვალიერებლად წავიდა. შეხვდა და ესაუბრა გენერალ ჯიჯიხიას. ამ უკანასკნელმა მთავარსარდალს პირობა მისცა, რომ პოზიციებს შეინარჩუნებდა და შეტევაზეც გადავიდოდა. თევზაძე წერს, რომ თბილისში დაბრუნებისას, გზაში კვინიტაძემ შესჩივლა „მეშინია შეტევის მაგიერ ჯიჯიხიამ უკან არ დაიხიოს და შეგვიქმნას უხერხული მდგომარეობა“-ო. ალბათ კარგად იცნობდა ჯიჯიხიას. მე კი მისი გამბედაობა გაგრის ფრონტზე მქონდა შემოწმებული დენიკინელებთან ომის დროს“. ასეთ კომენტარს აკეთებს თევზაძე.²

გენერალური შტაბის ინფორმაციით, „თებერვლის 23-ის დღემ ყველა მიმართულებით მშვიდობიანად ჩაიარა. მტრის ჰაეროპლანმა გუშინ ერთი ბომბი ჩამოაგდო უშედგოდ. ტყვისმფრქვეველის ცეცხლით მტრის ჰაეროპლანი განდევნილ იქნა და აქსტაფის რაიონისაკენ მიიძალა“.³

23 თებერვლის 15 საათზე კავკასიის ფრონტის სარდლობა მე-11 არმიის მეთაურს კიდევ ერთ დირექტივას უგზავნი და შენაერთების შეთანხმებული მოქმედებების უზრუნველყოფას ავალებს. რაც მთავარია, უბრძანებს ეფექტურად გამოიყენოს მე-18 და მე-12 კავდივიზიები, რომლებმაც მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგზე უნდა იმოქმედონ. დირექტივაში ხაზგასმულია, რომ მთელი ოპერაციის საბოლოო წარმატება სამი მეოთხედით სწორედ საკავალერიო დივიზიების ეფექტურ მოქმედებაზეა დამოკიდებული.⁴

24 თებერვალი

ქართულმა შენაერთებმა მარცხენა ფლანგზე გადაჯგუფება ვერ მოასწორეს⁵ და კონტრშეტევის დაწყება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ მოწინააღმდეგემ ყველა მიმართულებით შეუტია ჩვენ ნაწილებს.

¹ ჩხეიძე გვ. 41

² თევზაძე გვ. 47. გაგრის ფრონტთან დაკავშირებით ის წერს, რომ ჯიჯიხია იყო „მერყევი ხასიათის, ადვილად იჯერებდა და შიშს გვრიდა თეთრგვარდიელების მიერ გავრცელებული ჭორები. გვიან დაბრუნდა საქართველოში და გზაში ბევრი უსიამოვნებაც გადახდა. იქნებ ამისთვის ეშლებოდა ხშირად ნერვები. მასთან მუშაობა ხასიათოვნო არ იყო“ (გვ. 32)

³ გაზეთი „სახალხო საქმე“ 24/II 1921 წ.

⁴ Директивы т. III ст. 376

⁵ პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა გენერალ კვინიტაძეს აცნობა რომ 14 საათამდე შეტევის დაწყებას ვერ შეძლებდა.

მარჯვენა ფლანგზე მტერმა დიდიდანვე დაუშინა ჩვენს პოზიციებს საარტილერიო ცეცხლი და შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა. იუნკერთა შემადგენლობიდან დარჩენილი იყო 85-90 კაციღა. დიდი იყო დანაკლისი ნაცვალთა შორისაც¹. მიუხედავად მრავალგზის შეტევისა მოწინააღმდეგე ქართული პოზიციების გარღვევას ვერ ახერხებდა. რამდენჯერმე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგეს დიდი რიცხოვრივი უპირატესობა ჰქონდა, რამაც შედეგი გამოიღო და ნაშუადღევს მტერმა №4 სანგარი დაიკავა. ამის შემდეგ ისინი პირდაპირ ლეიტენანტ გოგი მესხიშვილის ბატარეის წინ აღმოჩნდნენ და ქართველ არტილერისტებზე ხიშტებით წამოვიდა. ლეიტენანტმა მესხიშვილმა ხმალი იშიშვლა და თავისთან მყოფ იუნკრებთან ერთად მოწინააღმდეგეს ეკვეთა. ოფიცრების შავდიას, ხოშტარიასა და ჩოჩუას წინამძღოლობით მათ სხვა იუნკრებიც წამოეშველნენ და მტერს უკან დაახევინეს. მოწინააღმდეგე მარჯვნივ და მარცხნივ გაიფანტა და ამით, უკან მყოფ თავის მეტყვიამფრქვევეებს 100-120 ნაბიჯის მანძილიდან იუნკრებისათვის ცეცხლი გაეხსნის საშუალება მისცა. სხვა გამოსავალი არ იყო და იუნკრების ნაწილმა კაპიტან ჩოჩუას მეთაურობით მეტყვიამფრქვევეებს შეუტია. მტრის რიგებამდე პირველმა იუნკერმა შალვა ერისთავმა მიირბინა და მემიზნე ოფიცერი ხიშტით მოკლა, თუმცა თავადაც სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. ასევე დაიღუპნენ იუნკრები ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი, 15-მდე კი დაიჭრა. დაიჭრნენ კაპიტნები ჩოჩუა, შავდია და ხოშტარია. იერიშები დაღამებამდე გაგრძელდა, მაგრამ ბოლშევიკებმა ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ. დაბნელებისთანავე მათ იერიშები შეწყვიტეს და უკან დაიხიეს. „ბოლშევიკებმა ყველაფერი გადმოისროლეს ბრძოლაში: გამწარებულად და უშიშრად მოიწვედნენ წინ და კვდებოდნენ, მაგრამ ყველა მათი მქუხარედ მოვარდნილი ტალღა იმსხვრეოდა ტაბახმელას გმირთა მკერდზე ისე, როგორც ზღვის ტალღები პიტალო კლდეზე. დღე იქცა ისტორიულად, გადამწყვეტ ჭიდილში ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვება იყო სრული“, ასე აფასებს ამ დღეს ალექსანდრე ჩხეიძე.²

არა ნაკლებ მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა სოღანლული-შავნაბადას მიმართულებაზე. ამ სექტორში მოწინააღმდეგემ მთავარი დარტყმა გზატკეცილისა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ განავითარა. ამ მიმართულებით მტრის მოგერიება მოხერხდა, მაგრამ კრიტიკული ვითარება

¹ პირადი შემადგენლობის 40 პროცენტი დაღუპული და დაჭრილი იყო.

² ჩხეიძე გვ. 42

მას შემდეგ შეიქმნა, რაც რუსები თელეთიდან გადმოვიდა შეტევაზე, ფრონტი გაარღვია და 18 საათისათვის სოღანლუღის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიული სიმაღლე №3.150 დაიკავა. შეიქმნა საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე წარმატებას განავითარებდა, უფრო ღრმად შემოიჭრებოდა და საშუალება მიეცემოდა ზურგში მოქცეოდა რა მარტო გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებს, არამედ გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთებსაც. საჭირო იყო სასწრაფოდ სიმაღლის დაბრუნება.

მაზნიაშვილი წერს, „1-ლი ქვეითი ლეგიონი, რომელიც მე რეზერვად მყავდა, დილით გაიგზავნა გენერალ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში, ისე, რომ რეზერვში მე ერთი კაციც აღარ მყავდა. ტელეფონით ვთხოვე გენერალ ანდრონიკაშვილს, დაებრუნებინა 1-ლი ლეგიონის ერთი ასეული მაინც გარღვეული პოზიციის აღსადგენად. გენერალმა ანდრონიკაშვილმა დაუყოვნებლივ გამოგზავნა ორი ასეული და პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ¹ საღამოს 6 საათსა და 40 წუთზე აღადგინა მდგომარეობა ე.ი. მოწინააღმდეგე განდევნა და პუნქტი კვლავ დაიკავა. როგორც პოზიციის გარღვევისა, ისე მისი ლიკვიდაციის შესახებ თავის დროზე ვაცნობე მთავარ შტაბს“.²

გენერალი კვინიტაძე ასევე ადასტურებს, რომ სიმაღლის იერიშში 1-ლი და მე-9 ათასეულის ნაწილები მონაწილეობდნენ. იგი წერს, „3150-ე სიმაღლის იერიში განხორციელდა. ზუსტი ცნობა იმისა, აიღეს თუ არა იგი, ვერ მივიღეთ. ზოგი ამბობდა დავიბრუნეთო, ზოგო პირიქით, არაო“.³

გენერალ ზაქარიაძის თანახმად, „შავნაბადას რაიონში ბოლშევიკების კურსანტების ბრიგადა ღრმად შემოიჭრა ჩვენს მთავარ პოზიციებში“.⁴ პოლკოვნიკი ჩხეიძე აანალიზებს რა 24 თებერვალს შექმნილ ვითარებას აღნიშნავს, „მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკებმა თელეთის სერი იერიშით აიღეს“.⁵ არც ზაქარიაძე და არც ჩხეიძე არ წერენ, მოხდა თუ არა პოზიციის აღდგენა.

ცოტა განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა პოლკოვნიკი თევზაძე, „შუა ნაკვეთსაც გენერალ მაზნიაშვილსაც ცოტა წარუმატებლობა აქვს მარცხენა ფრთაზე, მაგრამ საერთოდ, თავის პოზიციებზე ურყევად დგას“.⁶ შესაძლოა გვევარაუდა, რომ პოლკოვნიკ თევზაძეს უზუსტობა მოუვიდა და მარჯვენას

¹ მე-9 ათასეულის უფროსი
² მაზნიაშვილი გვ. 172-173
³ კვინიტაძე გვ. 82
⁴ ზაქარიაძე გვ. 64
⁵ ჩხეიძე გვ. 44
⁶ თევზაძე გვ. 48

ნაცვლად მარცხენა დაწერა. მაზნიაშვილის მარცხენა ფრთაზე რაიმე პოზიციის დაკარგვას სხვა არავინ ადასტურებს.

აკაკი კვიციანიშვილის ინფორმაცია მაზნიაშვილისას ემთხვევა¹. იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსი წერს, „გენერალ მაზნიაშვილის ხაზი 6 საათზე მტერმა გაარღვია და დაიკავა ტრიგონომეტრიული პუნქტი. მაგრამ მეცხრე ათასეულისა და პირველი ათასეულის ორი ასეულის კონტრ-იერიშით ზემოხსენებული პუნქტი ჩვენებმა უკან დაიბრუნეს“.²

საინტერესოა რევაზ გაბაშვილის ინფორმაციაც, რომელიც 24 თებერვალს თავად იყო მაზნიაშვილთან. იგი წერს, რომ გენერალმა უთხრა „გადავციოთ თბილისში, რომ არაფერი საშიშო არ არის, ფრონტი მთლიანად გვიჭირავს, გარდა 318 სიმაღლისაო (იქნებ სიმაღლის ნომერი მეშლება, რომელიც დამისახელა, მაგრამ ფეხითვე რომ უკან ვბრუნდებოდი თბილისს, გზად შემხვდე სწორედ ამ სიმაღლისათვის განკუთვნილი ბატალიონი. და შემდეგაც უთქვამს: ფრონტზე ცარიელი ხარვეზები 24 თებერვალს არსადა გვქონიაო), და თუ დაპირებულ ბატალიოს დააჩქარებენ, კიდევ დიდხანს ვერას დაგვაკლებენ ეს უნიფხო ბოლშევიკებიო“.³

საბჭოთა მონაცემებით 24 თებერვლის 24 საათისათვის სიმაღლე 3.150 მე-11 არმიის ხელში იყო. ჩვენი აზრით, ეს შესაძლოა არასწორი ინფორმაცია იყოს. ისევე როგორც იგივე წყაროს ცნობა, რომ მე-11 არმია კოჯრის მასივსაც აკონტროლებდა⁴ რაც ნამდვილად არ შეესაბამება სიმართლეს. კოჯრის მხრიდან მხრიდან მოწინააღმდეგემ თბილისისაკენ მოძრაობა, მოლაღატე შალვა ელიავას მეთაურობით 25 თებერვალს დილით დაიწყო.⁵ მას შემდეგ რაც ქართულმა ნაწილებმა უკანდახევის შესახებ ბრძანების მიღების გამო პოზიციები დატოვეს.

საბჭოთა რუსეთის კავკასიის ფრონტის სარდლობის ინფორმაციით სიმაღლე 3150 მათ ხელშია. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ქართველების კონტრშეტევის შემთხვევაში სიმაღლის შენარჩუნება ვერ მოხერხდება.⁶

¹ თუკი თავადაც, გენერალ მაზნიაშვილის ინფორმაცია არ ააქვს აღებული წყაროდ.

² კვიციანიშვილი გვ. 128

³ გაბაშვილი გვ. 327-328 რ. გაბაშვილი სოღანლუღის ფრონტზე ყოფნისას შემდეგ ფაქტს შეესწრო, „დავინახე დენ. მაზნიაშვილი... რაღაც დაკეცილი ქაღალდის ნაგლეჯის ქნევით ჰაერში, აბა ჩქარა ერთი ცხენი მიშოვეთ, შიკრიკი უნდა გაიგზავნოს შავნაბადაზე! შეიქმნა ჩოჩქოლი... სადა გვყავს ცხენები? – აგერ ცხენები... ეგ გვარდიისაა, ჯარს არ ეკუთვნის და სხვა... ჩემი თვალთ ვხედავდი ათიოდე მშვენიერ ცხენს... ფრონტის სარდალს დენ. მაზნიაშვილს არა მარტო შიკრიკისათვის, თავისთვისაც არა ჰყავდა ცხენი... გაიმართა ხვეწნა-ჭიდილი-ვაჭრობა... „კომპრომისით გათავდა, გვარდიელის ცხენზე შესხდნენ ორნი, ერთი გვარდიელი და ერთი ჯარისკაცი, შიკრიკი მაზნიაშვილისა საჩქარო ქაღალდით და წავიდნენ.

⁴ Траскунов М. ст. 223

⁵ Лекишвили С. Последние дни Меньшевигов. 1931 г. Заккнига ст.31

⁶ Директивы т. III ст. 379

როგორც ვხედავთ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებთან გვაქვს საქმე. გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. შესაძლოა ველიკანოვის დაჯგუფებამ დაკარგა სიმაღლე 3150, მაგრამ ამის შესახებ ხელმძღვანელობას არ აცნობა. მოახსენა მხოლოდ ის, რომ სიმაღლეს კი ვაკონტროლებთ მაგრამ კონტრშეტვის შემთხვევაში დაგვარგავთო (თავის დაზღვევის, თავის გამართლების მიზნით).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველმა მეომრებმა შეძლეს სიმაღლის დაბრუნება. რომც ვერ დაებრუნებინათ, ამ სიმაღლის ფლობა მოწინააღმდეგეს რეალურად არაფერს აძლევდა. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-11 არმიის შენაერთებმა ვერც ცენტრალურ ფრონტზე შეძლეს რაიმე წარმატების მიღწევა.

უმძიმესი ბრძოლა მიმდინარეობდა მარცხენა ფრთაზე. დილის 7 საათზე მოწინააღმდეგის ქვეითი ნაწილები შეტევაზე გადმოვიდნენ. ქართული პოზიციებისკენ დაიძრა მოწინააღმდეგის ოთხი ჯავშანმატარებელიც (№7; 94; 5 და 61).¹ მეხუთე ჯავშანმატარებელი ბოლშევიკებმა აღსტაფაში დატოვეს ზურვის დასაცავად.

როდესაც მტერი ყარაჯალარის გადასარბენს მოუახლოვდა ქართველმა არტილერისტებმა ჯავშანმატარებლების მისამართით ცეცხლი გახსნეს. ამავე დროს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცა, იძულებული გახდა შეტევა შეეჩერებინა და დაწოლილიყო. მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენის გავლა სცადა, მაგრამ ოთხი ქართული ბატარეის საარტილერიო ცეცხის ქვეშ მოქცეული იძულებული გახდა უკან დაეხია². ჯავშანმატარებლების შეტევა სამჯერ განმეორდა. 11 საათისათვის, მიუხედავად ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენი გაიარა, თუმცა მისმა ჯავშანმატარებლებმა სერიოზული დაზიანებები მიიღეს.

14 საათზე ქართული პოზიციებიდან კვლა განახლდა საარტილერიო და ტყვიამფრქვევების ცეცხლი. 16 საათისათვის დაიწყო თოვა, ჩამოწვა ბურუსი, ძალიან აცივდა. სწორედ ამ დროს ოთხმა ქართულმა თვითმფრინავმა³ იერიში

¹ Зун В. ст. 21 პირველ ჯავშანმატარებელს მოღალატე ქართველი სიმონ ხმალაძე მეთაურობდა.

² ქართველ არტილერისტებს მაღალ შეფასებას აძლევდა მთავარსარდალი კვინიტაძე. „ჩვენი არტილერია თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. იგი შესანიშნავად ისროდა და თავისი მოქმედებით დიდად ეხმარებოდა ქვეით ჯარს. ჩვენი საარტილერიო უბანი ზუსტი ცეცხლით მოწინააღმდეგის ჯავშანმატარებლებს ჩვენს პოზიციებთან მოახლოების საშუალებას არ აძლევდა“. (კვინიტაძე გვ. 78)

³ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მფრინავები (მაყაშვილი, ბოგომოლოვი, მაჩაბელი და სხვ.) პირნათლად ასრულებდნენ თავის მოვალეობას და ვაჟკაცურად იბრძოდნენ. გენერალი კვინიტაძე ასე აფასებს მათ ბრძოლას, „ავიაცია კეთილსინდისიერად და თავდადებით ასრულებდა თავის

მიიტანა მტრის ჯავშანმატარებლებზე და ოცდაათამდე ბომბი ჩამოყარა¹. ბრძოლაში ქართული ჯავშანმატარებელიც ჩაერთო, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალიან დიდი უპირატესობის გამო ნავთლულის მიმართულებით დაიხია. ნავთლულის მიდამოები კი მოწინააღმდეგის ავიაციამ დაბომბა.²

ორხევის სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის არაერთი იერიში მოიგერიეს, მაგრამ როდესაც დაახლოებით 17 საათისათვის სანგრებთან მტრის სამი ტანკი გამოჩნდა იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. გენერალმა ჯიჯიხიამ იმერეთის მე-2 ბატალიონს კონტრშეტევის განხორციელება დაავალა. ბატალიონის მეთაურის, აკაკი კვიციანიშვილის ინფორმაციით „ბატალიონმა წარმატებით აწარმოვა კონტრ-იერიში. ამ ბატალიონს შეუერთდნენ მეგრელები³, რომლებიც სანგრების უკან, პატარა გორაკზე იყვნენ ჩასაფრებული. იმერლები და მეგრელები ყოყინით შევარდნენ სანგრებში ამორეკეს იქიდან რუსები და დაედევნენ“⁴. ამ დროს რუსების ერთი ტანკი ხრამში გადავარდა და მწობრიდან გამოვიდა.

ორხევის პოზიციასთან დაკავშირებით დაახლოებით ისეთივე აზრთა სხვადასხვაობაა, როგორც ტრიგონომეტრიულ სიმაღლე 3.150-თან მიმართებაში. პოლკოვნიკი ჩხეიძე წერს, რომ 24 თებერვალს საღამოს შტაბმა მიიღო ცნობა, „გვარდიამ ორხევის ფრონტზე, 6-7 ვერსის სიგანეზე, დასტოვა მავთულით გამაგრებული სანგრები და დაიხია ტფილისისაკენ“⁵.

გენერალი კვინიტაძე წერს, „მარცხენა სანაპიროს მონაკვეთმა გამაგრებული პოზიცია მიატოვა და 25 თებერვალს წინააღმდეგობას აღარ გაწევდა. თუ მათ გამაგრებულ პოზიციებზე არანაირი წინააღმდეგობა არ გამოავლინეს, გაუმაგრებელ პოზიციაზე ბრძოლას მითუმეტეს ვეღარ შეძლებდნენ“⁶.

საქმეს, მუშაობის იმ პირობებში, რომელშიც იმყოფებოდა, მასზე უკეთესად ამას ვერავინ ვერ შეასრულებდა. მისი დახვეწის შედეგად მოწოდებული ცნობები მუდამ უტყუარი იყო. ბრძოლების დროს გამუდმებით დაფრინავდნენ და ბომბავდნენ მტრის ჯარს. ავიატორები, ჩვეულებისამებრ, სულ საქმეს ითხოვდნენ.“ (კვინიტაძე გვ. 88)

¹ ЗУН В. ст.22

² კვინიტაძე გვ. 75

³ იგულისხმება გვარდიის სენაკისა და ზუგდიდის ბატალიონების მებრძოლები.

⁴ კვიციანიშვილი გვ. 128

⁵ ჩხეიძე გვ. 128

⁶ კვინიტაძე გვ. 81 გენერალი კვინიტაძე აღარებს რა ერთმანეთს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე მყოფი ჯარების ბრძოლისუნარიანობას აღნიშნავს, რომ მარჯვენა სანაპიროს ჯგუფი, სადაც გვარდიის მხოლოდ 3-4 ბატალიონი იყო, უფრო მტკიცე და ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა. აქვე აღნიშნავს მარჯვენა სანაპიროზე მებრძოლი გვარდიის ბათუმისა და თუთბერიძის ბატალიონების გმირულ ბრძოლას. რაც შეეხება მარცხენა სანაპიროს, სადაც თითქმის მხოლოდ გვარდიის ნაწილები იდგა იგი წერს, „უნდა ვაღიარო, რომ მარცხენა

გენერალ ზაქარიაძის თანახმად, ქართული ჯარის მიერ ორხევში განხორციელებული „ყველა კონტრშეტევა უშედეგოდ დამთავრდა“.¹

პოლკოვნიკი თევზაძე 24 თებერვლის ბრძოლებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ჩვენმა ჯარებმა არსად უკან არ დაიხიეს, მხოლოდ „გენერალ ჯიჯიხიას ნაკვეთზე, შეტევის მაგიერ, უკან დახევას აქვს ადგილი“.²

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დატოვა გვარდიამ პოზიციები თუ არა. გვაქვს ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობები. აკაკი კვიციანიშვილი, როგორც გვარდიის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური შეიძლება ტენდენციურობაში დავადანაშაულოთ და ვთქვათ, რომ ის სიმართლეს არ ამბობს და მისმა ბატალიონმა კონტრშეტევა ვერ განახორციელა, ანდა შესაძლოა საერთოდ არც ყოფილა ეს კონტრშეტევა. მეორეს მხრივ არც ის არის გამორიცხული, რომ გვარდიის არც თუ ძალიან „მოყვარული“ გენერალი და პოლკოვნიკი სიტუაციას ასევე არაზუსტად გადმოსცემდნენ. ჩვენი აზრით, აქ გარკვეული სიცხადე შეიძლება მე-11 არმიის დანაყოფების მოქმედებამ შეიტანოს. მათი ჯავშანმატარებელი სადგურ ნავთლულში მხოლოდ 25 თებერვლის 15 საათზე შემოვიდა, თბილისის სადგურში კი მხოლოდ იმავე დღის საღამოს³. რატომ არ შემოვიდნენ რუსები უფრო ადრე თუნდაც ნავთლულში თუ კი გვარდიამ პოზიციები დატოვა, უშუალოდ თბილისისკენ დაიხია და ორხევის მიმართულება ფაქტობრივად ცარიელი იყო? ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება არსებობდეს, მოწინააღმდეგემ ორხევის მიმართულებაზე ფრონტი ვერ გაარღვია. ანუ გვარდიამ შეძლო სიტუაციის გამოსწორება და აკაკი კვიციანიშვილის ინფორმაცია სწორია. კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისთან გვარდიის ძირითადმა ნაწილმა ვაჟკაცურად და თავდადებით იბრძოლა.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არც კავკასიის ფრონტის სარდლობის ინფორმაციიდან⁴, არც ძალიან ტენდენციური საბჭოთა ისტორიოგრაფიის მონაცემებიდან⁵ არ დასტურდება მოწინააღმდეგის მიერ ორხევის პოზიციების დაკავება. ჩვენი აზრით, აშკარაა, რომ გვარდიამ შეძლო ორხევის პოზიციების დაბრუნება.

სანაპიროს ჯგუფი მერყევი და ბრძოლისუუნარო გახლდათ. ეს ვითარება გვარდიის თვისებების გამო შეიქმნა“ (კვინიტაძე გვ. 77-80)

¹ ზაქარიაძე გვ. 64

² თევზაძე გვ. 48

³ Зун В. ст.22

⁴ Директивы т. III ст. 379

⁵ Кадишев А.Б. ст.390-400

სანამ ორხევის მიმართულებაზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგემ თავისი კავალერიით ჩვენი ჯარების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა და სოფელ ლილოსთან გამოჩნდა. მთავარსარდალი იძულებული გახდა ამ მიმართულებით დაცვის კიდევ ერთი სექტორი გაეხსნა და მის უფროსად გენერალური შტაბის ოპერატიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი დანიშნა. გენერალ ზაქარიაძის ინფორმაციით მას დაექვემდებარენ გვარდიის სამი ბატალიონი, მოხალისეები, არმიისა და გვარდიის ცხენოსანი რაზმები.¹ წითელმა კავალერიამ სოფელ დიდ ლილოს შემოუარა და ავჭალის მიმართულებით დაიძრა. აკაკი კვიციანიშვილი შემდეგნაირად აღწერს შექმნილ ვითარებას, „ჩვენი ცხენოსანი ბრიგადა პასიურ მდგომარეობაშია, ვინაიდან მათი ახალი უფროსი პოლკოვნიკი სიღამონ-ერისთავი დაიბნა და ინიციატივას ვერ იჩენს. ყოველივე ამის მიუხედავად, თავისი პირადი ინიციატივით, პოლკოვნიკი ს. ცაგურია² თავისი ორი ესკადრონით³ ეკვეთა მტერს სოფელ ნორიოსთან. აქ პოლკოვნიკი ს. ცაგურია დაიჭრა, მაგრამ მისმა მანიოვრმა მთლიანად შეაჩერა ჟღობას⁴ მოძრაობა. მხოლოდ ერთი პატარა თარეში გამოჩნდა სოფელ ავჭალასთან, რომელიც განდევნილ იქნა. პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა, გაეცნო რა მდგომარეობას, ვერ აუღო ვერაფერს აღლო და პანიკით მოცულმა მიატოვა რა თავისი უბანი, გაექანა მთავარ შტაბში მდგომარეობის ასახსნელად. სწორედ ამ პანიკურმა „ახსნა-განმარტებაში“ ითამაშა საბედისწერო როლი თბილისის მიტოვებაში⁵. სამწუხაროდ ჩვენთვის, ცხენოსანთა უფროსი, გამოცდილი საკავალერიო ბრძოლებში, თავდადებული პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი, გენერალმა კვინიტაძემ გადააყენა⁶, რაღაც გაუგებრობის გამო. მის მაგივრად მან დანიშნა პოლკოვნიკი სიღამონ-ერისთავი“.⁷

პოლკოვნიკი გედევანიშვილი რომ დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებდა, ამას ვალერიან თევზაძეც ადასტურებს, როდესაც წერს, რომ

¹ ზაქარიაძე გვ. 62

² პოლკოვნიკმა ცაგურიამ სამხერო შენაერთის ხელმძღვანელობი უნარი და საოცარი პირადი ვაჟკაცობა ჯერ კიდევ სომხეთთან ომის დროს გამოავლინა.

³ ორი ესკადრონი მოწინააღმდეგის საკავალერიო დივიზიების წინააღმდეგ რა თქმა უნდა ძალიან პატარა ძალა იყო.

⁴ მე-18 საკავალერიო დივიზიის უფროსი. რუსეთის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „წითელი“ მეთაური.

⁵ კვიციანიშვილის ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ ამტკიცებს, ჩვენს მიერ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა.

⁶ თავად მთავარსარდალი არაფერს წერს გოგი ხიმშიაშვილთან დაკავშირებით. 31 წლის გოგი (გიორგი) ხიმშიაშვილი კომუნისტებმა „სამხერო ცენტრის“ სხვა წევრებთან ერთად 1923 წლის 20 მაისს დახვრიტეს.

⁷ კვიციანიშვილი გვ. 127-128

გედევანიშვილმა „ბევრს ვერაფერს მიაღწია და ვერც მდგომარეობა გამოარკვია რიგიანად“.¹ გენერალი კვინიტაძე პირდაპირ არაფერს წერს მინდობილ უბანზე გედევანიშვილის ცუდი სარდლობის შესახებ, თუ არ ჩავთვლით იმ ინფორმაციას, რომ პოლკოვნიკმა კონტშეტევის დაწყების წინ ჯარების გადაჯგუფება ვერ მოასწრო და ამის შესახებ მთავარსარდალს აცნობა. რაც შეეხება ავჭალას, მთავარსარდალმა 15-16 საათზე ავჭალის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ინფორმაცია მიიღო, რომ მოწინააღმდეგის კავალერიამ დაიკავა სოფლები მამკოდა, გლდანი და თავად ავჭალაც. კვინიტაძე წერს, „იქ ჯავშანმატარებლით, შანიძის მეთაურობით, მოხალისეთა რაზმი გაავაგზავნე, სადგურ ავჭალის განთავისუფლება და რკინიგზაზე თავისუფლად მიმოსვლის უზრუნველყოფა ვუბრძანე“. გენერალური შტაბის უფროსის, ალექსანდრე ზაქარიასის ინფორმაციით ავჭალაში ორი ჯავშანმატარებელი გაიგზავნა ვალოდია გოგუაძის მეთაურობით². ავჭალიდან მოწინააღმდეგის განდევნა მოხერხდა. მტრის ავჭალაში გამოჩენასთან დაკავშირებით კვინიტაძე წერდა, „ამრიგად, მტერი ზურგში მოგვექცა და რკინიგზით უკანდასახევი გზა ხელში ჩაიგდო. გაუგებარია, რატომ არ გამოიყვანა რკინიგზა მწობრიდან, რატომ არ აიღო სადგური, ტელეგრაფი და ა.შ. ამით ხომ იგი საქართველოს მთელ ტერიტორიასთან კავშირის საშუალებას მოგვისპობდა“.³ ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი მტერმა მხოლოდ იმიტომ არ, უფრო ზუსტად ვერ გააკეთა, რომ საამისო ძალა არ ქონდა. ანუ ავჭალაში მისული იყო მოწინააღმდეგის შედარებით მცირე რაზმი.

ვითარება 24 თებერვალს, დღის ბოლოს

სანამ დღის ბოლოს ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის განხილვას დავიწყებთ, გვინდა რამდენიმე სიტყვით 18-24 თებერვლის დღეებში თბილისში არსებული ვითარება აღვწეროთ. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ქალაქში არ იყო პანიკა⁴. რა თქმა უნდა დაძაბული ვითარება სუფევდა, მაგრამ მოსახლეობის

¹ თევზაძე გვ. 47-48

² ზაქარიასი გვ. 64

³ კვინიტაძე გვ. 75

⁴ „თებერვლის 17-ს დილით შექმნილი პანიკა, რომელიც გამოწვეული იყო ჩვენის ქვეყნის მტრების ჭორებით, უკვე გაქრა. ქალაქში სრული წესიერება და მტკიცე სულიერი განწყობილებაა. ცრუ ხმების გამავრცელებელთა წინააღმდეგ მიღებულია ზომები“ (გაზეთი „სახალხო საქმე“ №1057 1921 წ.)

მოსახლეობის განწყობა ოპტიმისტური იყო¹. 18 თებერვალს გამოცხადდა 1896-97 წლებში დაბადებულ თადარიგის ჯარისკაცთა და თბილისში დროებით და მუდმივად მცხოვრებ ქართველ ოფიცერთა მობილიზაცია.² დედაქალაქში მიმდინარეობდა მოხალისეთა ჩაწერა. საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული გაზეთ „სახალხო საქმეში“, „მთელს ევროპაში სახელგანთქმული ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ანარქისტი და მეგობარი ამ დღეებში გარდაცვლილი კროპოტკინისა, ვარლამ ჩერქეზიშვილი სამობილიზაციო კომიტეტში გამოცხადდა და თოფი მოითხოვა რესპუბლიკის დაცვაში მონაწილეობის მისაღებად. ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ უამად 75 წლისაა.“³ მოხალისედ ეწერებოდნენ არა მარტო ქართველები. 19 თებერვალს უკვე ფრონტზე იყო ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა მოხალისეთა რაზმი.⁴ 24 თებერვალს პრესაში გამოქვეყნდა აზერბაიჯანელთა და მთიელთა კომიტეტის⁵ მიმართვა, „ხშირად მთიდან დაგორებულ დიდ ქვას უზარმაზარი ზვაგი მოსდევს ხოლმე, ასეთ ზვავად გადაიქცევა საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოს ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ბრძოლის ფრონტი უზარმაზარ ადგილზე გაიჭიმა, მაგრამ ტყუილად არ იღვრება უმანკოთა სისხლი. დაე ჩვენ აზერბაიჯანელებმა და მთიელებმა, აქ საქართველოში, ქართველ მებრძოლებთან ერთად ვღვაროთ სისხლი ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის ... საქართველოსთვის ბრძოლა არის ბრძოლა მთიელთა და აზერბაიჯანელთათვის, მათი დამოუკიდებლობისათვის“⁶. გამოცხადდა მოხალისეთა ჩაწერა ცხენოსან ჯარშიც. გაზეთი „სახალხო საქმე“ იუწყებოდა, „გენერალ დავით ჭავჭავაძის მეთაურობით უაუქცეულ მტრის სადევნელად სდგება ცხენოსანთა ლეგიონები. ყოველი მოქალაქე მოვალეა, დაეხმაროს ამ დიდ საქმეს ფულით, ცხენებითა და უნაგირებით. ცხენოსანთა ნაწილებში ნამსახური ყველა უნდა ჩაეწეროს რაზმის

¹ ცხადია ეს არ ეხება ყველას. „თებერვლის 17-ს ტფილისიდან ზოგიერთები გაიქცნენ. ამ გაქცეულთ, თანახმად ტფილისის საბჭოს ხმოსანთა საგანგებო სხდომის დადგენილებისა, ბინები ჩამოერთვათ და გადაეცემა ქალაქის საბინაო განყოფილების განკარგულებაში“ (გაზეთი „სახალხო საქმე“ №1057 1921 წ.)

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №38 1921 წ.

³ გაზეთი „სახალხო საქმე“ №1057 1921 წ.

⁴ გაზეთი „ერთობა“ №40 1921 წ.

⁵ კომიტეტი შეიქმნა 17 თებერვალს და მასში ისეთი ცნობილი მოღვაწეები შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ: ჰაიდარ ბაშატი (მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი), მუსტაფა ვეჟილოვი (აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი), ალი-ხან კანტემირი, ახმედ ცალიკოვი (მთიელთა რესპუბლიკის მეფლისის თავმჯდომარე) და სხვ. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც თავის სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში გამოსიზნენ და საქართველოს კავკასიის თავისუფლებისათვის ბრძოლის უკანასკნელ ფორპოსტად განიხილავენ.

⁶ გაზეთი „ერთობა“ 24/II 1921 წ.

შტაბში. სოლოლაკის ქ.№11.¹ უნდა ვაღიაროთ, რომ იყო შეცდომებიც და არა სწორი გადაწყვეტილებებიც. მაგალითად, მოხალისეებთან დაკავშირებით შემდეგ ფაქტს აღწერს რ.გაბაშვილი, როდესაც ის შტაბში მივიდა დაინახა „გრძელ ტალანში, სამხედრო ყუთების წინ ... დადიოდა აქეთ იქით ღენერალი შაქრო ბაქრაძე, ცნობილი სამხედრო უნარით, რომელიც პირველი შევიდა ლვოვში დიდი ომის დროს და პირველი ხარისხის გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული. აქ რას აკეთებთ მეთქი, ვკითხე გაკვირვებულმა ... გახურებული ომის დროს? და თითქმის თვალცრემლიანმა მითხრა, აი ამ ყუთების ყარაულად დამაყენეს, სხვა ადგილი არა გვაქვსო მოხალისეებისათვისო“.² თავად რევაზ გაბაშვილი იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს. ა.ჩხეიძე წერს „ტაბახმელაზე შტაბში გხედავდი მრავალ პოლიტიკურ მოღვაწესა და სხვადასხვა ჯურის მიტინგურ მოკამათეებს, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ სრული საბრძოლო მოკაზმულობით და თავი მოხალისეს თვითკმაყოფილობით ეჭირათ. მაგრამ არც ერთი მათგანი შტაბსა და გზატკეცილს არ გასცილებია. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენდა რ.გაბაშვილი, რომელიც ჩოხაში, თოფით ხელში ახლდა სკოლას ბრძოლაში და მასთან ერთად გადაიტანა მძიმე პირობები.“³

მოხალისეების ჩაწერის გარდა მიმდინარეობდა იმ მოქალაქეთა აღრიცხვაც, რომლებსაც იარაღი ჰქონდათ⁴. ფრონტზე და ზურგში არსებული ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე ნაწყვეტს ერთი საგაზეთო სტატიიდან, „სდგას ბატარეია ერთ-ერთს საპასუხისმგებლო სადარაჯოზე. მოულოდნელად მას შემოუტია მტერმა. იბრძვის პატარა გუნდი გმირულად და იღუპება თავის ზარბაზნებთან. იგი საშუალებას აძლევს ჩვენს ჯარს მწყობრად უკან დაიხიოს... სანიტრები თავზე წაადგნენ ბრძოლის ველზე დაჭრილს ქართველს გმირს. იგი ძლივს ახელს თვალებს და ეკითხება მათ: ჩვენები იბრძვიან? და როდესაც გაიგო, რომ კიდევ იმარჯვებენ იღიმება და ისევ ხუჭავს

¹ გაზეთი „სახალხო საქმე“ №1059 1921 წ.

² გაბაშვილი გვ. 325.

გენერალი ზაქარია (შაქრო) ბაქრაძე, ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ბაქრაძეს ვაჟი იყო. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომებში. 1914 წელს მისმა პოლკმა მოწინააღმდეგის ბრიგადა დაატყვევე. 1915 წელს, I მსოფლიო ომში რუსეთის არმიის ყველაზე წარმატებულ და ლეგენდარულ ე.წ. ბრუსილოვის შეტევაში მონაწილეობისათვის მიენიჭა გენერალ-მაიორის ჩინი. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის, წმ. ანნას, წმ. ვლადიმირის, წმ. სტანისლავის ორდენებით. 1918 წელს საქართველო-სომხეთის ომის დროს იყო ოფიცერთა განსაკუთრებული რაზმის მეთაური. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მსახურობდა პოლონეთის არმიაში (Гогитидзе М. სტ.61).

³ ჩხეიძე გვ. 50.

იუნკერი ნ.მათიაშვილი იგონებს, „წვერმოშვებული შუახნის ვაჟკაცი შემხვდა. თოფით ხელში მოწინავე საზისაკენ მიდიოდა. შეკითხვაზე, თუ ვინ იყო და სად მიდიოდა. გვიპასუხა: რეზო ვარ გაბაშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი და თბილისიდან თქვენ საშველად წამოვედიო“. (იუნკრები გვ. 15)

⁴ გაზეთი „სახალხო საქმე“ №1060 1921 წ.

თვალეხს... ვწუხვარ, რომ ჩემი ბიჭუნა პატარაა და ბრძოლის ველზე ვერ წავა, ამბობს თვალცრემლიანი ქართველი დედა, რომლის ძმები ბრძოლის ველზე არიან... წინა ომებში დაჭრილ-დასახინრებული მეომრებიც თხოულობენ ფრონტზე გაგზავნას. ჩაგვსვით თხრილებში სროლა შეგვიძლია და გასაქცევად ფეხები არა გვაქვს, ჩვენ შევძლებთ იქ სიკვდილსო აცხადებენ ისინი... მცხეთაში მოსულა პატარა მოწინავე რაზმი თუშ-ფშავ-ხევსურებისა. ისინი ფეხს იხდიან, შედიან ეკლესიაში ირაკლის საფლავთან და ეუბნებიან: ირაკლი ჩვენ იეთნივე ვართ, როგორიც შენს დროს ვიყავით. ვფიცავთ შენს ტფილისს არავის დავანებებთ“.¹

რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ოპტიმისტურად და საბრძოლველად იყო განწყობილი², მაგრამ აშკარაა, რომ თბილისის დატოვებას არავინ აპირებდა და ამაზე არც ფიქრობდნენ. ამას თუნდაც 24 თებერვალს პრესაში გამოქვეყნებული განცხადება მოწმობს, რომელიც იუწყებოდა, რომ მოხალისედ ჩაწერილთათვის 25 და 26 თებერვალს საწვრთნელი სროლები ჩატარდებოდა³.

ქალაქის დატოვების გადაწყვეტილება სრულიად მოულოდნელი იყო პოლიტიკოსებისთვისაც. როდესაც ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ერთ ნაწილს მთავარსარდლის გადაწყვეტილება გააცნო, „ამ ამბავმა საერთო ჩოჩქოლი გამოიწვია დამსწრეთა შორის. პირველი სიტყვა აიღო ვეშაპელმა⁴ და გაოცებული შეეკითხა მთავრობის თავმჯდომარეს, თუ ვინ გაბედა, ვისი აზრია დედაქალაქის დატოვება. ასეთია მთავარსარდლის ურყევი გადაწყვეტილება, თუ ეს არ მოგწონთ, მას გადავაყენებ და თქვენ დაგნიშნავთ, ან სხვა ვინმეს, ვისაც ინებებთ – მიუგო მთავრობის თავმჯდომარემ ... სამარისებული სიხუმე ჩამოვარდა, არც ერთი ხმა, არც ერთი კრინტი, ვეშაპელიც ჩაჯდა“.⁵ რ.გაბაშვილი წერს, რომ ინფორმაცია დედაქალაქის

¹ გაზეთი „სახალხო საქმე“ 24/II 1921 წ.

² შეიძლება იმ ცხრა გვარდიელის მაგალითი მოვიყვანოთ, რომლებიც მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდნენ და მას თავისი ნაწილის შესახებ მიაწოდეს ცნობები. ამის შემდეგ „წითლებმა“ ისინი უკან დააბრუნეს რათა თავის თანამებრძოლთა შორის ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა ეწარმოებინათ. ფილიპე მახარაძის ცნობით, სახალხო გვარდიაში იყვნენ „არა მარტო თანამებრძობნი, არამედ ჩვენი პარტიის წევრებიც, რა თქმა უნდა ფარულად“. (მახარაძე ფ. მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში. 1921 წ. გვ. 127)

³ გაზეთი „სახალხო საქმე“ 24/II 1921 წ.

⁴ გრიგოლ ვეშაპელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

⁵ თოიძე თოიძე ლ. ინტრვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც 1991 წ. თბ. გვ. 106-107

დატოვების შესახებ „ისეთი თავზარდამცემი ამბავი იყო მორალურად, რომ არა მჯეროდა“.¹

სამწუხაროდ ჩვენს ხელთ არსებული მასალები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა. შეგვიძლია მხოლოდ ცალკეული პიროვნებების დასახელება. სოღანლულის ფრონტზე დაიღუპნენ: არტილერიისტი კაპიტანი მიხეილ გრიგოლის ძე თუმანიშვილი, ასმეთაური ნიკოლოზ ოთარის ძე ზანდუკელი, ლეიტენანტები დავით (დევი) აბაშიძე და გრიგოლია, სტუდენტები ნიკოლოზ კალანდარიშვილი და პავლე (პალიკო) ბეშქენაძე. ტაბახმელაზე „ბრძოლის ველზე დაიღუპა 9 იუნკერი: ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, ილია და იოსებ ჯანდიერები ბრძოლაში დაიჭრა 7 ოფიცერი და 43 იუნკერი. მთლიანობაში იუნკრთა დანაკარგები დაჭრილ-დაღუპულთა სახით მათი პირადი შემადგენლობის 35%-მდე აღიოდა“². ტაბახმელაზევე დაიღუპნენ: მაიორი არჯევან ანანიაშვილი, კაპიტანი ირაკლი თოიძე, ლეიტენანტი გენო ქარუმიძე, მოწყალების და მარო მაყაშვილი. თებერვლის ბრძოლების დროს დაიღუპა ქართული ავიარაზმის მეთაური ვახტანგ მაყაშვილი³.

24 თებერვალს, საღამოს, ფრონტზე არსებული მდგომარეობის განხილვასთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი ციტატების მოტანა მოგვიწევს, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ რეალური ვითარება.

პირველ რიგში ვნახოთ თუ როგორ აფასებდა სიტუაციას მთავარსარდალი. გენერალი კვინიტაძე წერდა, „საერთო მდგომარეობა ასეთი იყო. ჯერ კიდევ 23 თებერვალს მოწინააღმდეგე ნახშირ-გორასთან გამოჩნდა, საიდანაც სოფელ დილომში გადასვლა შეეძლო და სიმაღლეების დაპყრობის შემდეგ, მითუმეტეს, ავჭალაც უკვე მის ხელში იყო, თბილისიდან გასასვლელ გზებს გადაგვიკეტავდა, რაც დედაქალაქის ალყაში მოქცევას ანუ ჯარის და მთელი სამთავრობო აპარატის დაღუპვას ნიშნავდა. ამ ელემენტების დაკარგვის შემდეგ ქვეყანა ბრძოლას ვეღარ გააგრძელებდა, რაც ომის დასასრულს ნიშნავდა. მტრისთვის თბილისზე ალყის შემორტყმა არ უნდა დაგვენებებინა.“

¹ გაბაშვილი გვ. 328

² სილაქაძე დ., ჟურნალი „არსენალი“ 2012 წ. №21 (168)

³ ვახტანგ მაყაშვილის მამა იყო გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი. სომხეთთან ომის მონაწილე. 1920 წელს აზერბაიჯანის მთავრობის თხოვნით აბელ მაყაშვილი დაინიშნა განჯის ოფიცერთა სკოლის უფროსად. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა ბოლშევიკებს, რომლებმაც გენერალი კასპიის ზღვაში დაახრვეს.

მთავრობის მიერ ორჯერ დამტკიცებული ომის წარმართვის საერთო დირექტივის თანახმად, ომის გასაგრძელებლად თბილისიდან უნდა გაგვეღწია, ვინაიდან თბილისის დაცემა ომის დასასრულს არ ნიშნავდა. სწორი იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება? მიმაჩნია რომ სწორი იყო ... ამრიგად 24 თებერვლის საღამოსათვის თბილისი, არსებითად ალყაში მოექცა. ავჭალა რომც გაგვეწმინდა, მტკვრის გასწვრივ ვიწრო გასასვლელი თუ დარჩებოდა – რკინიგზის ხაზი, ავჭალაზე გამავალი სასოფლო გზა და საქართველოს სამხედრო გზა. სიგანეში ეს ზოლი 2-3 ვერსს არ აღემატება და თბილისის თავდაცვის ზოლის ერთ მეთედს შეადგენს. ყოველივე ამას ჩვენს მიერ 3150 სიმაღლის დაკარგვა ემატება, ყველაზე ტრაგიკული კი მარცხენა სანაპიროს ჯგუფის მიერ თავისი გამაგრებული პოზიციების მიტოვებაა. გარდა ამისა თადარიგში ერთი კაციც აღარ მყავდა ... თბილისის ქუჩებში ბრძოლების გამართვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქალაქი ტაფობში მდებარეობს და მთებითაა გარშემორტყმული. ეს ხაფანგი იყო, საიდანაც ვერავინ ვერ გააღწევდა და ჯარი იძულებული გახდებოდა დანებებულიყო. ჯარის გაყვანა და თბილისიდან 12-13 ვერსის მანძილზე გამაგრება გადავწყვიტე. თბილისის დასაცავი ყველა ძალა და საშუალება ამოიწურა, წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეგვეძლო. ქვეყნის დასაცავად თბილისი უნდა დაგვეტოვებინა, თუ არა ჯარისა და მმართველობის გარდაუვალი დაღუპვა გველოდა. ჩემი ეს გადაწყვეტილება მთავრობის თავმჯდომარეს ვაცნობე. თბილისზე გავლით ბრძოლით უკან დახევა წარმატებას არ გვიქადდა. საუკეთესო საშუალება ღამის სიბნელეში უკანდახევა იყო ... საღამოს 5-6 საათისათვის მთავრობის თავმჯდომარეს მოვასხენე ჩემი გადაწყვეტილება უკანდახევის შესახებ. ბრძოლის ყველა საშუალება ამოვწურეთ და ალყაში მოქცევა გვემუქრებოდა. 9 საათისათვის ეს ბრძანება გადაეცა ჯარს, რომელსაც უკანდახევა ღამის 12 საათზე უნდა დაეწყო.¹ თავისთავად, მთავარსარდლის არგუმენტაცია სრულიად მისაღებია და გასაგები. ისიც სიმართლეა, რომ დედაქალაქის დატოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ომის წაგებას, მაშინ როდესაც თბილისში ალყაში მოქცეული ჯარის განადგურება უკვე სრულ კატასტროფასა და დამარცხებას ნიშნავდა. ერთია თეორიული მსჯელობა და მეორეა პრაქტიკა. ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც დედაქალაქის დაცემა არ განიხილებოდა როგორც უმძიმესი მარცხი და ფაქტობრივად ომის წაგება. გასარკვევია კიდევ ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი – რამდენად რეალური იყო თბილისის ალყაში მოქცევა.

¹ კვინიტაძე გვ. 76-77,81,83

განსხვავებულად აფასებს შექმნილ ვითარებას მეორე გენერალი, გიორგი მაზნიაშვილი, არა ნაკლებ გამოცდილი და ავტორიტეტული.¹ „ფრონტის მდგომარეობა კი 24 თებერვალს ასეთი იყო: მოწინააღმდეგის იერიშები ყველა რაიონში მოგერიებულნი იქნენ და დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი დღის ბრძოლით დაქანცული მოწინააღმდეგე ღამის იერიშებს არ მოახდენდა, ხოლო დილით, რადგანაც მოწინააღმდეგე იღბა მთის გაშლილ ფერდობზე და ხევებში, ჩვენი კარგად მოწყობილი პოზიციების პირდაპირ, იძულებული გახდებოდა ან იარაღი აეყარა, ან და თუ ვინცობაა უკან დაიხევდა, მთლად გაწყდებოდა, ლეგიონების უფროსებთან ტელეფონით ლაპარაკის დროს ეს ჩემი აზრი თანდათან მტკიცდებოდა. ღამის 11 საათზე და 23 წუთზე, მოულოდნელად მიმიხმეს პირდაპირ მავთულთან და გადმომცეს მთავარსარდლის ბრძანება, ტფილისიდან მცხეთაში უკან დახევის შესახებ ... ამ ბრძანებამ ძალიან გამაკვირვა და გამაოცა. 12 საათამდე დარჩენილი იყო რამდენიმე წუთი. რამდენიმე წუთის შემდეგ გუდანაბადი უნდა აგვეკრა და გავქცეულიყავით ტფილისიდან. ჯერ კიდევ 24 თებერვალს საინტენდანტო და საარტილერიო საწყობებმა მოზიდეს ჩემს რაიონში სანოვაგისა და ვაზნების უამრავი მარაგი და უცებ უკან დახევა სატახტო ქალაქიდან! ეს საშინელება იყო. რა მოხდა? რაში იყო საქმე? ყველაზე მეტად მე ერთი გარემოება მოცუბდა: ტფილისის დაცვა ისეთი დიდი საკითხია, რომ მისი გადაწყვეტა ასე მოჩქარებით, ასე დაუფიქრებლად ვერაფრით ვერ ამეხსნა. იმ კრებაზე, რომელზედაც ეს გადამწყვეტი დადგენილება მიიღეს, არამც თუ არ მიგვიწვიეს ჩვენ ფრონტის უფროსები, რომლებიც ფრონტს თვალთ დავეყურებდით, რომლებმაც კარგად ვიცოდით მოწინააღმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულიერი განწყობილება, არამედ არც კი შეგვეკითხნენ, ჩვენი აზრის მოსმენა არც კი ინებეს. ქალაქიდან ოთხივე ფრონტი დაშორებული იყო ზოგი ორ ვერსზე, ზოგიც სამზე და ზოგი ხუთზე. ძნელი იყო ჩვენი დაბარება? ავტომობილებით ხომ ოთხივე ფრონტის უფროსი 5 წუთში მოვიდოდით შტაბში! ბრძანების მიღებისთანავე ტელეფონით შეეუერთდი გენ. ანდრონიკაშვილს და გენ. ჯიჯიხიას და შევეკითხე, მიიღეს თუ არა მთავარსარდლის ბრძანება და თუ მიიღეს, ხომ არ იციან მიზეზები ასეთი მოულოდნელი უკან დახევისა? ორივე

¹აი როგორ ახასიათებდა გენერალი კვინიტაძე გენერალ მაზნიაშვილს, „გენერალი მაზნიაშვილი მამაცი კაცია. რამდენჯერმე მინახავს ტყვიის ზუზუნში და გადაჭრით შემიძლია ამის თქმა. ერთობ არასასურველ ვითარებაშიც მამაცია. მაგრამ თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ ესაა მისი ნაკლი – მოჭარბებული სიმამაცე. ხშირად გადადებს ხოლმე თავს. ხშირად მოქცეულა ისე, რომ შეიძლებოდა თავი წაეგო და ხელიდან გამოგვეცლოდა ისეთი კაცი, რომლის დაკარგვაც დიდ ზინას მოგვიტანდა“ (კვინიტაძე გვ. 77)

გენერალმა გულის ტკივილით მიპასუხა, რომ ბრძანება მიიღეს, მაგრამ მიზეზები არ იცინა. მეტი ჯანი არ იყო, მთავარსარდლის ბრძანება სისრულეში უნდა მომეყვანა და გათენებისას 3 საათზე ჩემმა ჯარებმა მიატოვეს პოზიციები და სრული წესრიგის დაცვით გაემართნენ ნავთლულის, საღვურის და ღრმაღელეს მიმართულებით.“¹

„საქართველოს ორი დიდი სარდლის მიერ, ზოგადად, საომარ მოქმედებათა თეატრის საერთო ხედვა და საბრძოლო ოპერაციების დაგეგმარების სტილი განსხვავებული იყო.“² ეს სიტყვები 1918 წლის დეკემბრის ვითარებას ეხება, როდესაც შულავერ-სადახლოს ფრონტის სარდალმა გენერალმა მაზნიაშვილმა, თავისი საველე შტაბის უფროსის, გენერალ კვინიტაძის მიერ შემუშავებული გეგმა არ მიიღო და ქართული ჯარის შეტევა საკუთარი გეგმით წარმართა.³ ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას 1921 წლის 24 თებერვალს შექმნილი ვითარების ანალიზისა და შემდგომი ბრძოლის გაგრძელების გეგმის შესახებ, ორი გენერლის განსხვავებული თვალსაზრისის გამო. ყველა სხვა საკითხებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი აზრით, ერთ რამეში გენერალი მაზნიაშვილი ნამდვილად სწორია. თბილისის დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინ მთავარსარდალი ნამდვილად უნდა მოთათბირებოდა ფრონტის სარდლებს.

გენერალი ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ „ფრონტის ყველა უბნების მეთაურებიდან მოგვდიოდა ძლიერ ნერვული მოსხენებები, ყველანი მოითხოვდნენ სათადარიგო ერთეულების მიწოდებას. ჩვენ კი აღარაფერი გაგვანდა“⁴. საინტერესოა ზაქარიადის ინფორმაცია, რომ 24 თებერვალს მთავარსარდალმა კვინიტაძემ ფრონტები შემოიარა, რათა პირადად ენახა არსებული ვითარება. გენერალური შტაბის უფროსის თანახმად, თათბირზე სადაც თბილისის დატოვების საკითხი განიხილებოდა გენერალმა კვინიტაძემ მთავრობის თავმჯდომარეს „მიაწოდა აგრეთვე ფრონტების მეთაურთა აზრი, რომ ხვალ განმეორებულ ბოლშევიკების იერიშებს ისინი ვეღარ გაუძლებდნენ“⁵ ჩვენს მიერ ნანახ წყაროთა შორის გენერალ ზაქარიადის მოგონება ერთ-ერთი ყველაზე

¹ მაზნიაშვილი გვ. 173-176

² ჩანხიანი ა. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი 2007 წ. თბ. გვ. 385

³ პოლკოვნიკი ჩხეიძე წერს, „მე თვითონ მომისმენია ვკოვუაძისაგან, რომ გენ. მაზნიაშვილი დადიოდა პოზიციებზე და თავისი ზურგით ათრევდა ვაზნებს, ოპერაციებს კი ხელმძღვანელობდა გენ კვინიტაძე“ (ჩხეიძე გვ. 51). გენერალ მაზნიაშვილის ხასიათიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ იგი ბრძოლის წინა ხაზზე ყოფილიყო, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ოპერაციებსაც გეგმავდა და რეალურად ასრულებდა სარდლის მოვალეობებს.

⁴ ზაქარიადე გვ. 63

⁵ ზაქარიადე გვ. 63-64

სუბიექტურია და საკმაოდ ბევრ უზუსტობას შეიცავს. მთავარსარდლის მიერ 24 თებერვალს პოზიციების შემოვლა არც ერთი სხვა წყაროთი არ დასტურდება. თავად გენერალი კვინიტაძეც არსად არ წერს, რომ პოზიციები მოინახულა. ასევე არა სწორია ინფორმაცია, რომ გენერალმა კვინიტაძემ ნოე ჟორდანიას ფრონტების მეთაურთა აზრი გააცნო. როგორც ქვემოთ ვნახავთ ვითარება სწორედაც რომ საპირისპირო იყო. მთავარსარდალს მაზნიაშვილისთვის, ანდრონიკაშვილისა და ჯიჯიხიასთვის აზრი არც უკითხავს.

თუ რა სახის თათბირი გაიმართა მთავარსარდალთან, ამაზე საინტერესო ცნებას იძლევა ნოე ჟორდანიას აღიუტანტი კოტე იმნაძე. „მთავრობის თავმჯდომარე ჩემი თანხლებით ყოველ დღე შედიოდა რამდენჯერმე მთავარ შტაბში, სადაც ეცნობოდა ფრონტის მდგომარეობას. იმ საბედისწერო დღეს 1921 წ. 24 თებერვალს, რვა საათი სრულდებოდა შტაბში რომ დავბრუნდით. იქ დაგვხვდა შემდეგი პირები: მთავარსარდალი ღენ. კვინიტაძე და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი ... დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა, საკავშირო-საინფორმაციო განყოფილებაში რომ შევედი. აქ აპარატები განუწყვეტლივ მუშაობაში იყო. სწორედ იმ დროს მომიხდა აპარატებში შესვლა, როდესაც ღენ. ჯიჯიხიას (ვაზიანის ფრონტი) დასრულებული ჰქონდა მთავარსარდლისათვის პატაკის გადმოცემა. ეს პატაკი – რომ ბოლშევიკების ტანკები იძულებული გახდნენ ჩვენი სანგრები მიეტოვებინათ, გარღვეული ხაზი აღდგენილია და გვარდიელთა სულისკვეთება მტკიცეა¹ – როგორც ფრიად სასიხარულო ამბავი, მინდოდა რა თვითონ შემეტანა მთავრობის თავმჯდომარისა და მთავარსარდლისათვის, გამოვართვი მიმღებ მხედარს და შევუტანე აღნიშნულ პირთ. გაეცნო რა ღენ. ჯიჯიხიას პატაკს ღენ. კვინიტაძე, კვლავ თამბაქოს თამბაქოზე წვეთით მიუბრუნდა ისევ კედლის რუკას და ჩაილაპარაკა: „ვისიო რავნო“... რამდენიმე წუთის შემდეგ უეცრად შემოტრიალდა, თითქოს კედელს მოწყდაო, გაეჩანა მთავრობის თავმჯდომარისაკენ და განუცხადა „ია ოტსტუპაიუ“, ეს ორი სიტყვა იქ მყოფთ მხივით დაატყდათ თავზე. მთავრობის თავმჯდომარემ და მის გვერდით მდგომ პოლკ. გედევანიშვილმა რუკაზე ჩაქინდრული თავი მაღლა ასწიეს და გაუსწორეს მთავარსარდალს. მთავრობის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და გაოცებული გამომეტყველებით შეეკითხა მთავარსარდალს – როგორ, რა მოხდა ... უკან დახევა აუცილებელია?! – დიას!.. გესმით ასეთი ნაბიჯის

¹ ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მარცხენა ფრთაზე გვარდიას პოზიციები არ მიუტოვებია.

პასუხისმგებლობა და ღებულობთ ამ პასუხისმგებლობას თავზე? – დიას ... და შეუდგა ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების დასაბუთებას შემდეგი სახით: კახეთიდან მოყოლებული ვიდრე მანგლისამდე ფრონტი 90 კილომეტრით გამიგრძელდა. არამც თუ რეზერვები არ მყავს დაქანცულ-დაზიანებული ჯარის შესავსებათ – პირიქით. მთელი რიგი „პუსტიე პროსტრანსტვა“... ამავე დროს მტრის ცხენოსანი ჯარი დაეშვა დილომით და გამოჩნდა ზურგში. კოჯორით საბურთალოსაკენ მიემართება. ამავე დროს ვაზიანიდანაც გარს მივლიან. ადვილი შესაძლებელია მტერმა ავჭალა დაიკავოს და უკან დასახევი გზა მოგვიჭრას. უკან დახევით და მცხეთის ხეობის დაკავებით ფრონტს შევამოკლებ ორი კილომეტრით. აქ შევძლებ ჯარის გადაჯგუფებას და სათანადო რეზერვის შექმნას. აქვე დავამარცხებ მტერს, კვლავ დავიკავებ თბილისს. რის შემდეგ საშუალება მომეცემა დამარცხებული მტრის დევნისა და სავსებით განადგურებისა. ათი საათი სრულდებოდა – და დაუმატა: თქვენ განკარგულებაშია ბატონო თავმჯდომარე ორი საათი. მე ვიწყებ უკან დახევას დამის 12 საათზე. ამ დროს კუთხეში მჯდომი დენ. ოდიშელიძე ადგა და მიუახლოვდა მაგიდას შემდეგი სიტყვებით – ნება მიბოძეთ, ბატონო, გამოვსთქვა ჩემი აზრი... მან დაახლოებით შემდეგი სთქვა – ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია უკან დახევა, რადგანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ფსიქოლოგიურ გამოძახილს ჰპოვებს ეს ნაბიჯი ჩვენს გამარჯვებულ ჯარში. მე ვფიქრობ, მცხეთაში არც ერთი ჯარისკაცი არ გაჩერდება. ამიტომ, თუ ხსნა გვიწერია, ხსნა ისევ იქ არის, იმ პოზიციებზე, რომელიც ჯარს უკავია... როგორ შეიძლება ისეთი დიდი გამარჯვება, რომელიც მთავარსარდალმა იგემა თბილისთან, უკანახევით სასწორზე დაიდოს, პირიქით, მე მის ადგილზე გადავიდოდი შეტევაზე... და შეტევაზე არა საერთო ხაზით, არამედ ერთგვარი პარტიზანული წესით – განაგრძობდა ოდიშელიძე – პარტიზანული შეტევით, რომ მტერს მოსვენება არ მიეცეს... მანამ, სანამ დაუძღვრებული და საკმაოდ შელახული მტერი სავსებით არ მოტყდება. ამავე დროს მოგვისწრებს მოხალისეთა ის ორი ათასეული, რომელიც იმერეთიდან დაძრულა¹. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მტერსაც არ ჰყავს რეზერვი და არც შესაძლებლობა დამხმარე ძალების მოშველიებისა. და ბოლოს შეტევაზე გადასვლა საერთო ხაზით მტრის სავსებით განადგურებისათვის... თუ სხვა რამ არ გვიწერია, მე ვფიქრობ, უმჯობესია თბილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთო. მთავრობის

¹ გასათვალისწინებელია, რომ ამავე დროს ახალციხიდან მოდიოდა მე-11 და მე-12 ათასეულები. გენერალ მაზნიაშვილის ინფორმაციით, როდესაც მას სურამტან მე-11 ათასეული შეუერთდა ამ უკანასკნელში 1 500 მეომარი იყო (მაზნიაშვილი გვ. 185).

თავმჯდომარე შეეკითხა ღენ. ოდიშელიძეს: აქვს თუ არა მთავარსარდალს უფლება, პირადი გადაწყვეტილებით გადადგას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი? მთავარსარდალის საომარ სტრატეგიულ განკარგულებაში ვერავინ ჩაერევა – მიუგო ღენ. ოდიშელიძემ. ამ განმარტების შემდეგ ნოე ჟორდანიამ დასტოვა შტაბი და ჩემი თანხლებით გაემართა სასახლისაკენ¹. იგივეს ოღონდ უფრო მოკლედ აღწერს ნოე ჟორდანიაც, „მოვთხოვე საბუთები მისი გადაწყვეტილებისა. დამისახელა ორი: საბურთალოში ჩამოვიდნენ მოსკოვის მზვერავები კოჯორით ... მეორე მხრით ჩვენს მარჯვნივ უკვე დაბანაკებულია რუსის ჯარი მცხეთიდან 10-11 ვერსზე (დაასახელა სოფელი), რაკი ასეთი ფაქტები წამოაყენა – მე ვერაფერი ვთქვი, მხოლოდ ვკითხე – მოახდინა თუ არა ფრონტების სარდალთა შეკითხვა ამ საგანზე. არაო, ეს ჩემი საქმეა, მათი მოვალეობაა აასრულონ ჩემი ბრძანებაო. გამოვედი, გამომყვა ოდიშელიძე, ვკითხე – უფლება აქვს სარდალს ასე პიროვნულად ასეთი დიდი გადაწყვეტილება მიიღოს? კანონით უფლება აქვსო, მომიგო მან“².

რა თქმა უნდა გენერალ კვინიტაძეს სრული უფლება ჰქონდა ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიეღო, ის მთავარსარდალი იყო. თუმცა როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, სწორი იყო გენერალი მაზნიაშვილი, თბილისის დატოვება იმდენად სერიოზული საკითხი იყო, რომ მთავარსარდალი ალბათ უნდა მოთათბირებოდა ფრონტების სარდალებს. სხვა რომ არაფერი, ზუსტ ინფორმაციას მიიღებდა არსებული მდგომარეობის შესახებ. პირადად ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მთავარსარდალს მაინცდამაინც ზუსტი წარმოდგენა არ ჰქონდა თუ რა ვითარება იყო ცალკეულ კონკრეტულ მიმართულებებზე. ჩვენი აზრით, რაღაც მომენტში კვინიტაძემ ინფორმაციის ნაკლებობის თუ რაიმე სხვა მიზეზი გამო დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე. შეუმოწმებელი და მცდარი ინფორმაციების არსებობამ გარკვეული როლი ნამდვილად ითამაშა გენერალ კვინიტაძის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში.

გენერალ კვინიტაძის მოსაზრება: უკან დახევის, ფრონტის დავიწროების, ჯარების მობილიზაციისა და კონტრშეტევაზე გადასვლის შესახებ კარგი იყო. თუმცა ეს მხოლოდ გეგმა იყო და რეალურად როგორ განვითარდებოდა მოვლენები არავინ იცოდა. მომავალი ბრძოლების გაგრძელებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ფსიქოლოგიური მომენტი იყო – როგორ იმოქმედებდა დედაქალაქის

¹ თოძე გვ. 104-106

² ჟორდანიას ნ. ჩემი წარსული 1990 წ. თბ. გვ. 123

დატოვება კონკრეტულად ჯარზე და ზოგადად მთელ მოსახლეობაზე. თბილისის დატოვებას შესაძლოა ჯარი ისე გაეტეხა, რომ მას ბრძოლისუნარიანობა დაეკარგა. ამ მხრივ გენერალ ოდიშელიძის თვალსაზრისი სწორი იყო. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, ილია ოდიშელიძის მოსაზრების სიმართლე. ამჯერად, დიდმა გამოცდილებამ და მაღალმა პროფესიონალიზმმა ილია ოდიშელიძეს სწორი პროგნოზი გააკეთებინა.

საინტერესოა, გენერალი კვინიტაძე თავადაც შესანიშნავად აფასებდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარის მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობას. იგი წერს, „მთავარსარდლად დანიშნვისთანავე თბილისის ევაკუაციასა და ქალაქში მხოლოდ სამხედრო ხელისუფლების დატოვებას დაბეჯითებით ვითხოვდი. ჩემი მოთხოვნა არასრულყოფილად შესრულდა. დამფუძნებელ სათათბიროსა და მთავრობას მიაჩნდა, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში მათ მიერ დედაქალაქის მიტოვება ჯარის განწყობაზე უარყოფითად იმოქმედებდა. ამ გამონაკლისს იმ პირობით დავთანხმდი, რომ ევაკუაცია ნებისმიერ დროს შეიძლება მომხდარიყო და საბოლოო ევაკუაციას ხელს არ შეუშლიდა. დამარწმუნეს, ასე იქნებოდა. ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას დავეთანხმე, რადგან შეიარაღებული ძალების მორალურ მდგომარეობას ვითვალისწინებდი, რომლის 3/4 გვარდიისაგან შედგებოდა. თავისი თვისებებიდან გამომდინარე, გვარდია, რომელიც არანაირ დისციპლინას არ ცნობდა, განსაკუთრებით იქნებოდა უკმაყოფილო ერის წარმომადგენელთა წასვლით ქალაქიდან“.¹ ასეთ პირობებში მით უფრო საჭირო იყო გენერალ ოდიშელიძის მოსაზრების გათვალისწინება.

ყველაფერი კი მართლაც ისე მოხდა როგორც ილია ოდიშელიძემ იწინასწარმეტყველა. მცხეთაში შეჩერება ვეღარ მოხერხდა. მცხეთაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ა.ჩხეიძე წერს, „პოლკებმა და განსაკუთრებით გვარდიამ სრულიად დაჰკარგეს ორგანიზაციული სახე. მცხეთის სადგურზე ხდებოდა რაღაც წარმოუდგენელი რამ! რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და გვარდიელი, უფორმო მასად ქცეული, ვეებერთელა იარმუკას წააგავდა... ორგანიზაციულად მოწყობილი ნაწილები უკვე აღარ არსებობდნენ“.² მხოლოდ ოსიაურთან იყო მცდელობა კონტრშეტევის განხორციელებისა და ისიც გვარდიის გამო ჩაიშალა. გვარდია ფორმალურად არ დაშლია, მაგრამ მისი ბრძოლისუნარიანობა მკეთრად დაეცა. არც ჯარში იყო ბევრად უკეთესი ვითარება. ყველაზე მეტად სამხედრო სკოლამ და საკავალერი შენაერთებმა

¹ კვინიტაძე გვ. 82

² ჩხეიძე გვ. 48

შედგეს ბოლომდე დისციპლინის, მორალური სიმტკიცისა და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება.

პოლკოვნიკი ჩხეიძე სავსებით იზიარებდა მთავარსარდლის პოზიციას თბილისის დატოვების შესახებ. იგი წერს, „მაშინ როდესაც ტფილისთან ყოველ დღე ვიგებდით ომს ტაქტიკურად, იმავე დროს ჩვენ ვაგებდით ყოველ დღეს სტრატეგიულად. ბოლშევიკები უვლიდნენ და გარს ერტყმოდნენ ტფილისს, ერთსა და იმავე დროს, ჩვენი საზღვრების ყველა გადმოსასვლელიდან გარს ერტყმოდნენ საქართველოს ტერიტორიას და ამგვარად, 1921 წელს, ჩვენი სამშობლო აღმოჩნდა მტრის ძალების რკინის ქამარში მომწყვდელი. დაისვა საკითხი, დავრჩეთ ტფილისში, მტრისაგან ალყა შემორტყმული და ვიბრძოლოთ უკანასკნელამდე, თუ დავტოვოთ დედაქალაქი, წამოვიდეთ საქართველოს სიღრმეში და თანდათანობით კიდევ შევეცადოთ ძალების მოკრებასა და გასწორებას? სამხედრო თავდაცვის საბჭოს თათბირზე, ჯერ კიდევ 1920 წელს, დადგენილი იყო, რომ ტფილისის დატოვება არ ნიშნავს ომის გათავებას. ამისდამხედვით მთავრსარდალმა მოახსენა მთავრობის თავმჯდომარეს, 24 თებერვალს 20 საათზე, უკიდურესი მდგომარეობის შესახებ და მისი თანხმობით ტფილისის დატოვების ბრძანება გასცა. სტრატეგიულად ომი წავაგეთ. მმათველობა, ხალხი და ჯარი არ იყვნენ მომზადებული ასეთი სერიოზული ომისათვის. ტფილისთან ტაქტიკური გამარჯვებანი სავსებით ეკუთვნიან გენ. კვინიტაძის საქმიანობას და უდავოდ მის სახელს უნდა მიენიჭოს. ჩვენი სტრატეგიული მარცხი კი გამომდინარეობს იმ პირობებიდან, რომელნიც შექმნეს გენ. კვინიტაძის წინამორბედებმა და სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწეებმა. ამიტომ დამარცხებაც ერთიანად მათ ეკუთვნით. რუქაზე შეხედვით ადვილად გასაგებ კრიტიკულ მდგომარეობას, 24 თებერვალს საღამო ხანს, მიემატა ორი შესამჩნევი ფაქტი: მთავარსარდლის შტაბმა მიიღო ორი ცნობა პირველი – გვარდიამ ორხევის ფრონტზე 6-7 ვერსის სიგანეზე დასტოვა მავთულით გამაგრებული სანგრები და დაიხია ტფილისისაკენ, მეორე – მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკებმა იერიშით თელეთის სერი აიღეს.“¹ პოლკოვნიკი იქვე ამატებს, „რა შემთხვევა ვსთქვა იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა მიღებულმა ბრძანებამ? არ ვიტყვი, რომ ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი, როდესაც მოწინააღმდეგის ერთი მხარე, შექმნილი პირობების გამო, იძულებულია აწარმოოს მხოლოდ პასიური თავდაცვა, ვერ იღებს გასამაგრებლად ახალახალ ძალებს, რის გამო მოკლებულია საშუალებას,

¹ ჩხეიძე გვ. 44

გამოასწოროს თავისი ფიზიკური და მორალური ზიანი და მიბმულია მიდამოზე, სადაც მოქმედებს – მეორე მხარე კი მუდამ იღებს და ძლიერდება ახალი ხელუხლებელი ნაწილებით, ივსებს დანაკლისს და გაშლილი აქვს სამოქმედო ასპარეზი – ასეთ პირობებში, რა გმირობაც არ უნდა გამოიჩინოს პირველმა, ბოლოს და ბოლოს მაინც იძულებული ხდება უკან დაიხიოს ანდა დაიღუპოს“. თუმცა ა.ჩხეიძე აღნიშნავს, „შემდეგმა პირობებმა გამოააშკარავა, რომ ომი გათავებული იყო და ტფილისის დატოვებასთან ერთად, წაგებულიც“.¹

გვარდიას ორხევის პოზიციები არ მიუტოვებია და მაზნიაშვილმა თელეთის ქედზე 3.150-ე სიმაღლე სავარაუდოდ დაიბრუნა. ყოველ შემთხვევაში ამ სიმაღლის მტრის ხელში ყოფნა ფაქტობრივად არაფერს ცვლიდა. რაც შეეხება კვინიტაძის დამსახურებას თბილისის დაცვაში, ამ საკითხში პოლკოვნიკი ჩხეიძე სრულიად მართალია. სავსებით სწორია მის შემდეგი შეფასებაც, „ტფილისთან ჩვენ მოვიგეთ რვა დღის განმავლობაში გათამაშებული ყველა ბრძოლა. უსწორო პირობებში. ჩვენზე უძლიერესი მტრის წინააღმდეგ, რომელიც მუდამ წელში იმართებოდა ახალ-ახალი მაშველი ჯარებით და ეს გააკეთა ჩვენმა ჯარმა, რომელიც ხრამიდან მტერს ბრძოლაში გამოექცა, მოწინააღმდეგის პირველ დაკერისთანავე ერთიანად დაიმტვრა, როგორც მორალურად, აგრეთვე ფიზიკურად და ტფილისთან მოსვლამდე გაიფანტა. საინტერესოა, რაშია საქმე? რა მოხდა ისეთი, რომ მდგომარეობა ასე ერთბაშად შეიცვალა? ის, რომ ქართულ არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი კვინიტაძე. ტფილისთან გამარჯვებები ეს მისი მხედრული მისნობის საქმეა, მისი ინტუიციური შეცნობის ნაყოფია. მეომრის ეს თვისება მის სულთან არის შესისხლხორცებული“.²

¹ ჩხეიძე გვ. 47

² ჩხეიძე გვ. 44

შექმნილი ვითარების საინტერესო აღწერას იძლევა გენერალური შტაბის ოფიცერი, პოლკოვნიკი თევზაძე, „25 საღამოს¹ ჩვენი მდგომარეობა არ იყო სანუგეშო. მტერი თბილისიდან თითქმის ყველა მიმართულებით 10-12 კმ მანძილზე იმყოფებოდა. მართალია, დაწვრილებითი ცნობების მიღება ნაკვეთის უფროსთაგან ადვილი არ იყო², მაგრამ ცხადად იმჩნეოდა ყველგან მოწინააღმდეგის რიცხოვრებითი უპირატესობა და რაც მთავარია, მათი 6 დივიზიამდე ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ორივე მხრიდან მოქმედებდა, გზის ჩაკეტვით გვემუქრებოდა. პოლკ. გედევანიშვილის დაბრუნებამ თებერვლის 25-ში, დიდად დაგვაფიქრა. ის დღისით დანიშნულ იქნა ფრთაზედ მოქმედ ჯართა უფროსად. მისი არასრული შეფასებით მტერი მარცხენა ქვეითთა ჯარისა და არტილერიის გარღვევით გვემუქრებოდა. ამას დაერთო გენ. ანდრონიკაშვილის ცნობა, რომ მტრის ცხენოსანთა ჯარი შემჩნეულია კოჯრის მხრიდან და რომ ის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოემართება და ამ მხრიდან თბილისის მოჭრას შეეცდებოდნენ. მთავარსარდალმა მაშინათვე მიიღო ზომები ამ მიმართულებით სინამდვილის გამორკვევისა. გაგზავნილმა მზვერავმა ნაწილებმა ამ მიმართულებით საფრთხე არ დაამტკიცეს. ამ მეტად მძიმე მდგომარეობაში მთავარსარდალს არავითარი მარაგი არ გააჩნდა (რადგან ახალციხიდან მოხსნილმა ორმა ქვეითმა პოლკმა დროზე ვერ მოაღწია), გადაწყვიტა დაეტოვებინა თბილისი, დაეხია მცხეთამდე და აი ჩაეკეტა მისადგომი აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებიდან (საქართველოს სამხედრო გზაზე). სასწრაფოდ მოიწვიეს თავდაცვის საბჭო. თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ შეკითხვაზე, არის თუ არა სხვა გამოსავალი, მთავარსარდალისაგან პასუხად მიიღო, რომ არავითარი მარაგი აღარ ჰყავს, ორივე მხრივ გზას გვიჭრიან მტრის ცხენოსანი ერთეულები, იძულებული ვიქნებით ბრძოლა თბილისში ვაწარმოოთ ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილებმა. ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ უკან დახევის ბრძანება გავცე. თავდაცვის საბჭომ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა ... მთავარსარდალს სწადდა ძალები შეეჯგუფებინა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე. გადაენაცვლა მცხეთისა და ხაშურის რაიონებში და გადასულიყო იქიდან შეტევაზე მტრის ცოცხალი ძალების მოსასპობად.“ ძალიან საინტერესოა ამ გადაწყვეტილების თევზაძისეული შეფასება, „აუწერელია

¹ თევზაძეს უზუსტობა მოსდის, რეალურად საუბარია 24 თებერვალზე

² ეს ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ კომუნიკაციის პრობლემა არსებობდა. სავარაუდოდ მთავარსარდალი არ ფლობდა რეალურ ინფორმაციას და სიტუაციას სრულად ვერ აკონტროლებდა.

მწუხარება, რომელიც ყველა იქ მყოფმა განიცადა. თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა განიწყვეტელი ბრძოლები. მიხედვად ძალთა უპირატესობისა მტერი წინ ვერ მოიწვედა. გვეავდა მრავალი ტყვე. მტერს ვაყენებდით საგრძნობ ზიანს. საზოგადოების სულისკვეთება სანიმუშო იყო და ასეთ ვითარებაში ვტოვებდით სატახტო ქალაქს. სატახტო ქალაქის დატოვებას ომის დროს, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, შეუძლია ჩაუკლას საზოგადოებას ბრძოლის ჟინი“.¹ თევზაძის მიხედვით მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის მიერ ჩვენი მარცხენა ფრთის შემოვლა. კოჯრის მხრიდან კი მოწინააღმდეგის მოქმედება არ დადასტურდა. ცოტა გადაჭარბებულია საუბარი მტრის ექვს ცხენოსან დივიზიაზე. რეალურად მოწინააღმდეგის ცხენოსანი ჯარის მთავარი ძალა ჩვენს მარცხენა ფრთაზე მოქმედი ორი საკავალერიო დივიზი (მე-12 და მე-18) იყო. მათ უდავოდ დიდი რიცხოვრივი უპირატესობა ჰქონდათ ჩვენ ცხენოსან ჯართან შედარებით. განსხვავებით პოლკოვნიკ ჩხეიძისაგან, პოლკოვნიკი თევზაძე თვლის, რომ „საზოგადოების სულისკვეთება სანიმუშო იყო“. მეტად საგულისხმოა ვალერიან თევზაძის შენიშვნა, „რომ სატახტო ქალაქის დატოვებას ომის დროს, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, შეუძლია ჩაუკლას საზოგადოებას ბრძოლის ჟინი“.

არსებული ვითარების ანალიზი აკაკი კვიციანიშვილსაც აქვს. „24 თებერვალს მტერს არც ერთი მტკაველი თბილისის პოზიციებისა არ დაუკავებია. მორალი ჩვენი ჯარისა ფრიად კარგია. მხოლოდ ეს მოგერიებითი ბრძოლები შეტევით ვეღარ დაგვირგვინდა. რუსული მეთერთმეტე არმიის უფროსმა დიდად გაშალა თავისი ძალები, კოჯრიდან ვაზიანამდე. რომლის სიგრძე 50 კილომეტრს არ აღემატება. მას არ აქვს არც ერთ ადგილზე ის სიღრმე, რომელიც შეადგენს გამარჯვების აუცილებელ პირობას. მტერს მოაქვს იერიშები არა ფართო და გრძელი ხაზებით, არამედ შეზღუდულ ნაკვეთებზე. მისი იერიშების ტალღები არიან მოკლე და არ არიან ხანგრძლივი, ე.ი. ტალღა არ მოსდევს ტალღას სიღრმის უქონლობის გამო. დაქსაქსული მტერი თვითონ ამზადებს თავის დამარცხებას. ცნობილია, რომ მოგერიებაში მოგერიებითი ხაზი ყოველგან გასატეხია. მაგრამ თბილისთან არც ერთხელ არასოდეს არ მოხდა ეს. რუსებმა წვრილი ხაზიც კი ვერსად შეტეხეს, ზემოხსენებული მიზეზის გამო. ამიტომ გეკერის წითელი არმიის მდგომარეობა ფრიად მძიმე არის. ამ მდგომარეობას ართულებს აგრეთვე სომხეთში მომხდარი აჯანყება, აჯანყებულებმა ქალაქი ერევანი აიღეს, აზერბაიჯანში კი ტაუზის რაიონში

¹ თოიძე გვ. 48-49

აჯანყება დაიწყო. მეთერთმეტე წითელმა არმიამ თუ უკან დაიხია, ელის კატასტროფა. ამას გეკერი კარგად გრძნობს. ამიტომ მან გადასწყვიტა საქართველოს ლაშქრის მარცხენა და მარჯვენა ფრთაზე ცხენოსანი ჯარით მოახდინოს დივერსია. ეს არის მისი უკანასკნელი იმედი. ბედმა მას შემთხვევით გაუმართლა. ჩვენმა მთავარსარდალმა შეაფასა მდგომარეობა და მას აქვს სამი არჩევანი 1. დაწყება შეტევისა, 2. ბრძოლა თბილისთან და თბილისის ქუჩებში, 3. დატოვება თბილისისა და შემდეგში მისი დაბრუნება, ბრძოლით ალება. გადაწყდა 24 თებერვალს თბილისის დატოვება და ქართული ლაშქარის „მცხეთის პოზიციებზე“ უკან დახევა. ამ უკან დახევის შედეგი ის იყო, რომ ჩვენმა ჯარმა ბრძოლის უნარი დაკარგა“.¹

თბილისთან ბრძოლის ანალიზის დროს, რა თქმა უნდა აუცილებელია მთლიანად საქართველოში და მთელს კავკასიაში არსებული ვითარების განხილვა. 1921 წლის თებერვალში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ შეტევა ხუთი მიმართულებიდან აწარმოა. წითელი და ფოილოს ხიდებისა და ზაქათალის მხრიდან მე-11 არმია შემოიჭრა, შავი ზღვის გაყოლებით ქალაქ გაგრაზე მე-9 არმიის 31-ე დივიზია მოდიოდა, მამისონის უღელტეხილით 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადა უტევედა და რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილი დარიალის ხეობით მოიწვედა. უნდა აღინიშნოს, რომ მე-11 არმიის გარდა, ყველა სხვა შენაერთი, მხოლოდ მეორეხარისხის, დამხმარე დარტყმის განსახორციელებლად იყო გამიზნული. მთავარსარდალი კვინიტაძე სრულიად მართებულად ფიქრობდა, რომ ჯერ მე-11 არმია უნდა დაემარცხებინა და შემდეგ გამონთავისუფლებული ძალებით დანარჩენ მიმართულებებზეც დაამარცხებდა მტერს.

მართალია 24 თებერვლის მდგომარეობით 31-ე დივიზიის ნაწილებს გაგრა აღებული ჰქონდათ და წინ მოიწვედნენ, მაგრამ ქართული შენაერთები მათთან ბრძოლას განაგრძობდნენ და სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ. მოგერიებული იყო მოწინააღმდეგის პირველი იერიში დარიალის მხრიდან. 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადამ კი მამისონის უღელტეხილი მხოლოდ 25 თებერვალს გადმოლახა. ამდენად თბილისის დატოვების მომენტისათვის, სხვა მიმართულებებზე ზოგადი ვითარება რუსეთის ჯარების შემოჭრის თვალსაზრისით არ იყო კატასტროფული და ყველაფერს თბილისისათვის მიმდინარე ბრძოლა განაპირობებდა. დედაქალაქთან მოწინააღმდეგის

¹ კვიტაიშვილი გვ. 128-129

დამარცხების შემთხვევაში, სხვა მიმართულებზე შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სირთულეს არ წარმოადგენდა.

ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის პოზიციას, რომელმაც 22 თებერვალს საქართველოს მთავრობას ართვინისა და არდაგანის ოლქების დაცლა მოსთხოვა. მთავრობა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე იძულებული იყო ეს მოთხოვნა შეესრულებინა. თურქებმა ეს ტერიტორია დაიკავეს და იმ მომენტში საქართველოს სხვა მხარეებზე პრეტენზია არ განუცხადებიათ¹ (ბათუმში ისინი 3 მარტს შევიდნენ. ახალციხე მხოლოდ 7 მარტს დაიკავეს, თუმცა 8-ში ქალაქში უკვე ულობას მე-18 კავდივიზია შევიდა და თურქებმა არდაგანისკენ დაიხიეს).

თავის მხრივ სერიოზული პრობლემები ჰქონდა ზურგში მე-11 არმიასაც. სომხებმა ისარგებლეს იმით, რომ ჰეკერის არმია საქართველოსთან ომში იყო ჩაბმული, აჯანყდნენ და ერევანიც კი გაათავისუფლეს (აჯანყებული სომხების წინააღმდეგ მოქმედება, მე-11 არმიის ნაწილებმა მხოლოდ 11 მარტს დაიწყეს, ერევანი კი მხოლოდ 3 აპრილს დაიკავეს). აჯანყება მიმდინარეობდა აზერბაიჯანში და ბრძოლები იყო ჩრდილოეთ კავკასიაშიც. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რეზერვები მე-11 არმიასაც ამოწურული ქონდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით აშკარაა, რომ 1921 წლის 24 თებერვალის საღამოს ვითარება ძალიან მძიმე იყო, მაგრამ არა კატასტროფული. ყველაფერს თბილისისათვის წარმოებული ბრძოლა გადაწყვეტდა.

აი აქ დგება ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხი, აუცილებელი იყო თუ არა თბილისის დატოვება?

დედაქალაქის დატოვების მიზეზებად სახელდებოდა: 1. გვარდიის მიერ ორხევის პოზიციების მიტოვება; 2. თელეთის ქედზე 3.150-ე სიმაღლის მოწინააღმდეგის ხელში გადასვლა; 3. მარჯვენა ფრთაზე მტრის კავალერიის გამოჩენა; 4. მოწინააღმდეგის მიერ მარცხენა ფრთის შემოვლა, ავჭალის დაკავება, მცხეთისაკენ მიმავალი გზების გადაკეტვის საფრთხე და ქალაქის ალყაში მოქცევის საშიშროება; 5. რეზერვების არ ქონა.

შევეცდებით, შესაძლებლობის ფარგლებში, ცალ-ცალკე განვიხილოთ ხუთივე პუნქტი.

1. გვარდიას ორხევის პოზიციები არ მიუტოვებია. გენერალმა ჯიჯიხიამ შეძლო დაკარგული სანგრების დაბრუნება და 24-ში დილით, რუსების შეტევის

¹ თოიძე გვ. 110-111

დაწყებამდე, არსებული ვითარება აღადგინა. ამრიგად, ჯიჯიხისა ფრონტზე პოზიციები შენარჩუნებული იყო და იმ მომენტში ამ მიმართულებიდან მტრის შემოჭრის საფრთხე არ არსებობდა.

2. ჩვენი აზრით, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ვაჩნაძემ თავის მე-9 ათასეულისა და 1-ლი ათასეულის ორი ასეულის დახმარებით 3.150-ე სიმაღლე დაიბრუნა. ასაც რომ არ მომხდარიყო, თავად საბჭოთა მონაცემებიც აღასტურებს, რომ სიმაღლე 3150-ის ფლობა რუსებს არაფერს არ აძლევდა. ამდენად გენერალ მაზნიაშვილის სექტორში მოწინააღმდეგემ რეალურად ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია. მაზნიაშვილის პოზიციებიდან რუსების შემოჭრის რეალური საფრთხე ჯერ არ არსებობდა

3. მარჯვენა ფრთაზე, მიუხედავად გენერალ ანდრონიკაშვილისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოწინააღმდეგე არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში მთავარსარდლის მიერ გაგზავნილმა მზვერავებმა რუსების კავალერია ვერ ნახეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით რუსები არ აქტიურობდნენ. მანგლისის დაკავების შემდეგ შესაძლებელი იყო, რომ წითელი კავალერია ნახშირ-გორი – დილომის მიმართულებით შეუტევედა. მაგრამ რეალურად ასეთი შეტევა არ განხორციელებულა. თუმცა როგორც ჩანს ამ მიმართულებით მოწინააღმდეგის მცირე რაზმების პერიოდული აქტიურობა იყო, რაც ქართული სარდლობის შეცდომაში შეყვანასა და ამ მიმართულებაზე ჩვენი შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილის „დაბმას“ ისახავდა მიზნად. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებიდან სერიოზული პრობლემა არ არსებობდა.

4. ეს ყველაზე სერიოზული და ანგარიშგასაწვევი არგუმენტია. 24 თებერვალს მოწინააღმდეგის მე-12 და მე-18 კავდივიზიებმა თავის დიდი რიცხოვრივი უპირატესობის გამო, ჩვენი მარცხენა ფრთის შემოვლა შეძლეს. წითელი კავალერიის ნაწილებმა დაიკავეს სოფლები მამკოდა და გლდანი. საგარაუდოა, რომ ეს არ იყო დიდი და სერიოზული ძალა, რადგან მათ ვერ შეინარჩუნეს ავჯალა და ვერც რკინიგზის ხაზი გამოიყვანეს მწყობრიდან. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით ძალიან სერიოზული პრობლემა არსებობდა. დამატებითი ძალების მიღების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს შეეძლო მცხეთისაკენ მიმავალი გზების გადაჭრა. სხვა საკითხია საიდან უნდა მოეყვანა ჰეკერს დამატებითი ძალები, ყავდა კი მას დასვენებული ნაწილები? ჩვენი აზრით, მოწინააღმდეგის მიერ 24 თებერვალს ყველა მიმართულებით განხორციელებული ფართო მასშტაბიანი იერიშები გვაფიქრებინებს, რომ

ჰეკერმა ამ დღეს ბრძოლაში თავისი ყველა შენაერთი ჩააბა. მას რეზერვები აღარ გააჩნდა. ამ მხრივ საინტერესოა საუბარი, რომელიც 24 თებერვალს შედგა ერთის მხრივ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ სერგეი კამენევსა და მეორეს მხრივ: კავკასიის ფრონტის სარდალ ვლადიმერ გიტისა და ფრონტის საბჭოს წევრ სერგო ორჯონიკიძეს შორის. საუბრისას გიტისი აღნიშნავს – „всё что возможно, стянуто“ და ამავე დროს კამენევს აცნობებს, რომ მე-18 და მე-12 კავდივიზიები მოწინააღმდეგის ღია ფლანგზე მოქმედებენ (на открытом фланге) და მათზე დამყარებული მთავარი იმედი.¹

ისტორიას არ უყვარს საუბარი ისეთი კატეგორიებით როგორცაა – რა მოხდებოდა, რა იქნებოდა, მაგრამ ჩვენ თავს უფლებას მივცემთ გარკვეული ვარაუდი მაინც გამოვთქვათ. თანაც ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან ადვილია ვითარების ანალიზი თითქმის 90 წლის შემდეგ.

24 თებერვალს მოწინააღმდეგემ ვერაფერს მიაღწია. მეორე დღისთვის ის, დრმა შემოვლითი მანევრის შემდეგ, ავჭალაზე მთავარი დარტყმის განხორციელებას სწორედ მე-18 და მე-12 დივიზიებით აპირებდა. ამ გზით თბილისის ალყაში მოქცევა სურდა. თუმცა ერთია სურვილი და მეორეა რეალობა. რა თქმა უნდა ორი საკავალერო დივიზიის შეჩერებას მცირე რიცხოვანი ქართული კავალერია, მიუხედავად თავდადებისა და ვაჟაკობისა ალბათ ვერ შეძლებდა. მაგრამ თავად ეს ორი დივიზია მოახერხებდა კი თბილისი-მცხეთის კომუნიკაციების გადაჭრას? იმ დროს როდესაც ქართული მხარე აკონტროლებდა სარკინიგზო ხაზს და საშუალება ქონდა ჯავშანმატარებლები გამოეყენებინა, არა გვეგონია მხოლოდ საკავალერო ნაწილებს, საარტილერიო უზრუნველყოფის გარეშე დასახული ამოცანის შესრულება შეძლებოდათ. ასეთ შემთხვევაში, ავჭალაზე წარმატებული შეტევისა და მცხეთისაკენ მიმავალი კომუნიკაციების გადაჭრისათვის საჭირო დამატებითი ძალები ჰეკერს ფრონტის რომელიმე სხვა ადგილიდან უნდა მოეხსნა. ეს დროს მოითხოვდა და წარმატების სრულ გარანტიას მაინც არ იძლეოდა. დაეუშვათ და მე-11 არმიას მოახერხებინა თბილისის ალყაში მოქცევა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ქალაქის აღებას. ალყაში მოქცეული თბილისი აღებაც გარკვეულ დროს მოითხოვდა. დრო კი ბევრ რამეს წყვეტდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისისკენ მოდიოდნენ მე-11 და მე-12 ათასეულები ახალციხიდან და მოხალისეთა ორი ათასეული იმერეთიდან. მათი ჩამოსვლის შემთხვევაში ალყის

¹ Директивы т. III ст. 377

გარდევვა და მოწინააღმდეგეზე ძლიერი და წარმატებული კონტრშეტევის განხორციელება სავსებით შესაძლებელი იყო.

5. 24 თებერვლის მდგომარეობით გენერალ კვინიტაძეს რეზერვება ნამდვილად აღარ ყავდა და ეს რა თქმა უნდა ქალაქის დაცვას ძალიან ართულებდა.

დედაქალაქის დატოვების მოწინააღმდეგეთა არგუმენტი ორი იყო. პირველი – ერთკვირიანი განუწყვეტელი შეტევების მიუხედავად მოწინააღმდეგემ რეალურად ვერაფერს ვერ მიაღწია. ვერსად ფრონტი ვერ გაარღვია. ამავე დროს ამ შეტევებმა მისი რესურსები ამოწურა. უახლოეს ხანში ის ახალი დიდი და ძლიერი იერიშის განხორციელებას ვერ შეძლებდა. თბილისთან ბრძოლა ქართულმა ჯარმა მოიგო (ამას ქალაქის დატოვების მოხრეებიც აღიარებდნენ). მეორე – თბილისის დატოვება მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გატეხავდა ჯარს და მოსახლეობასაც.

ჩვენ ამ ორივე არგუმენტს სავსებით ვეთანხმებით და ვიზიარებთ. რ. გაბაშვილი წერდა, „თბილისის დატოვებას სტრატეგიულად და მეტადრე პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურად, მე დიდ შეცდომად ვთვლი“.¹

მოვლენათა განვითარებამ უჩვენა, რომ გამართლდა გენერალ ილია ოდიშელიძის შიში. დედაქალაქის დატოვებამ გატეხა ჯარიც და ხალხიც, ურავლესობამ გამარჯვების იმედი დაკარგა. თბილისის დატოვება აღიქვეს როგორც საბოლოო მარცხი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ კარგი იყო მთავარსარდლის გეგმა „მცხეთის პოზიციებზე“ გამაგრებისა და კონტრშეტევის განხორციელების შესახებ. მით უმეტეს, რომ გენერალი კვინიტაძე მოწინააღმდეგის ზურგში 3000 ქართველი ცხენოსნის გადასროლასაც გეგმავდა². ხოლო თუ რა მორალურ-ფსიქოლოგიური გავლენას მოახდენდა დედაქალაქის დატოვება ჯარზე და მოსახლეობაზე, ეს 24 თებერვლის საღამოს დანამდვილებით არავინ იცოდა. თუმცა რა თქმა უნდა ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ თბილისის დატოვება მეომრებისა და მოქალაქეების განწყობაზე დადებითად არ აისახებოდა.

ვთვლით, რომ გენერალი კვინიტაძე ასეთი ძალიან საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღების წინ გენერლებს მაზნიაშვილს, ანდრონიკაშვილსა და ჯიჯიხიას უნდა მოთათბირებოდა.

¹ გაბაშვილი გვ. 318

² ჩხეიძე გვ. 47

ჩვენ აზრით, 24 თებერვლის სადამოს რვა საათისთვის მთავარსარდალი არ ფლობდა რეალურ ინფორმაციას. ამიტომ არასწორად შეაფასა მოსალოდნელი საფრთხეები. არ გაითვალისწინა: ჯიჯიჯიას მოხსენება პოზიციების აღდგენისა და ილია ოდიშელიძის მოსაზრება უკანდახევის შემთხვევაში ჯარის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ. არ დაუკავშირდა მიმართულებების სარდლებს, თუნდაც ვითარების გარკვევის მიზნით. თავის თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა და მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება დედაქალაქის დატოვების შესახებ, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა კიდევ ომის ბედი. პირადად ჩვენ ვთვლით, რომ მთავარსარდალმა შეცდომა დაუშვა¹.

„თბილისის გამრული დაცვა მხოლოდ ყველა ქართველის თავდადებით შეიძლება აიხსნას, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ ქალაქს“² მიუხედავად ყველაფრის, 1921 წლის 18-დან 24 თებერვლის ჩათვლით, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, ქალაქის მოსახლეობის საოცარი თანადგომით, გამრულად დაიცვეს თბილისი სულ ცოტა ორჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში. გამოიჩინეს საარაკო გამრობა, საოცარი ბრძოლისუნარიანობა და თავდადება.³

25 თებერვალი

25 თებერვალს 02 საათსა და 45 წუთზე კავკასიის ფრონტის სარდალი გიტისი დირექტივას უგზავნის ჰეკერს და მოითხოვს: 24 თებერვლის შეცდომების თავიდან აცილებას, შენაერთების მოქმედებების კოორდინაციას და რაც მთავარია მარჯვენა ფლანგზე კავალერიის გააქტიურებას⁴.

ამ დროისათვის კი ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მთავარსარდალის, ქვემოთ მოტანილი, ბრძანების თანახმად პოზიციების დატოვება დაიწყეს.

¹ რა მოხდებოდა თბილისი რომ არ დაგვეტოვებინა, ეს თეორიული მსჯელობის საგანია და უამრავი ვარიანტის წარმოდგენა შეიძლება. ფაქტი ერთია, დედაქალაქის დატოვება შეცდომა აღმოჩნდა.

² კვინიტაძე გვ. 57

³ შედარებისათვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის წინააღმდეგ მე-11 არმიამ შეტევა 1920 წლის 27 აპრილის 16 საათზე დაიწყო და 28 აპრილის დილის 4 საათზე, „წითელი“ ჯაშინმატარებლები უკვე ბაქოში იყო. აზერბაიჯანის არმიამ სერიოზული წინააღმდეგობა მხოლოდ განჯასთან გასწია. სომხეთში კი, მთავრობის მიერ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელად დანიშნული გენერალი დრო (დრასთამატ კანაიანი), თავად გადავიდა ბოლშევიკების მხარეს.

⁴ Директивы т. III ст. 379. ეს დირექტივა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 24 თებერვალს მოწინააღმდეგემ ვერაფერს ვერ მიაღწია.

„გენერლებს: ზაქარიამეს, ჯიჯიხიას, ანდრონიკაშვილს, მაზნიაშვილს და პოლკ. გედევანიშვილს.

პოლკ. გედევანიშვილის რაზმმა დაიხიოს ტახტების მთისკენ, იქიდან არირგარდის დახმარებით წამოვიდეს გზით, კუკიის¹ ტბების ჩრდილოეთით ზემო-ავჭალაში. აქ დაიკავოს პოზიციები გლდანისა და ქვემო-ავჭალის ხაზზე. გენერალმა ჯიჯიხიამ დაიკავოს პოზიციები ნოვოალექსევიდან მოყოლებული წმ. გიორგის ეკლესიამდე.

გენ. მაზნიაშვილი თავის მარცხენა ფრთის ჯარების ნაწილებით გამოვიდეს სოღანლულის ხიდზე, იაროს მტკვრის მარცხენა ნაპირით ალექსანდერსდორფზე² და მივიდეს ზემო-ავჭალაში, სადაც ჩადგეს რეზერვში. გენ. მაზნიაშვილი თავის მარჯვენა ფრთის ჯარების ნაწილებით გამოვიდეს მნაცაკანოვის ხიდზე³, ორთაჭალაში და იაროს მტკვრის მარცხენა ნაპირით, მარცხენა ფრთის ჯარების ნაწილებთან ერთად. გენ. მაზნიაშვილმა ააფეთქოს სოღანლულის ხიდი, როდესაც კი გამოვლენ მისი ჯარის ნაწილები.

გენ. ანდრონიკაშვილი არირგარდის დახმარებით წამოვიდეს და იაროს სეიდაბადის მალლობზე მდებარე ბოტანიკური ბაღის სამხედრო გზატკეცილით და ბილიკით წყნეთზე. დახევის გასაუმჯობესებლად გენ. ანდრონიკაშვილმა გარდა სეიდაბადის მალლობისა დაიკავოს პოზიციები ქედზე, რომელიც მიდის კოჯრიდან ფუნიკულიორისაკენ. უკან დახევა აწარმოოს საქართველოს სამხედრო გზით, დაიკავოს პოზიცია მცხეთიდან სამხრეთით, სანამ გაამაგრებდეს პოზიციებს მალლობზე 291, 3.323, 1.317,7 და უთულოვანზე.

ამჟამად გამოვიდეს სეიდაბადის მალლობზე მდებარე ბოტანიკური ბაღის სამხრეთით მე-8 ლეგიონის ათასეული. ეს ჯარის ნაწილი ექვემდებარება გენ. ანდრონიკაშვილს და უკან იხევს მხოლოდ მისი ბრძანებით.

წყნეთის რაიონში და შემდეგ ჩრდილოეთით ნახშირგორიდან საბურთალოს გზაზე დგას მე-5 ლეგიონის ათასეული მაიორ სუმბათაშვილის უფროსობით. ეს გვერდზე მყოფი ავანგარდი უნდა გაძლიერებულ იქნეს გენ. ანდრონიკაშვილის ჯარის ნაწილებით და შეუძლიან მას დაიხიოს მხოლოდ ანდრონიკაშვილის ბრძანებით.

¹ ტექსტში წერია კუმისის, რაც აბსურდია. გედევანიშვილის შენაერთი, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოქმედებდა კუმისის ტბებთან ვერაფრით დაიხვედა უკან. კუკიის ტბები მდებარეობდა დღევანდელი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე.

² გერმანელთა დასახლება მაშინდელი თბილისის მახლობლად. დღევანდელი დიდუბის ტერიტორიაზე.

³ ეს ხიდი იდგა იქ სადაც ამჟამად სამასი არაგველის სახელობის ხიდია, ორთაჭალაქვსთან.

ჯარებმა თავის ზურგს უკან მყოფ დაწესებულებებს უნდა გადასცენ წინდაწინვე ბრძანება უკან დახევისა. ეს დაწესებულებები გენ. მაზნიაშვილის, ჯიიჯიხიას და პოლკ. გედევანიშვილის რაზმებისა უნდა წამოვიდნენ მტკერის მარცხენა ნაპირით, ხოლო გენ. ანდრონიკაშვილისა საქართველოს სამხედრო გზით.

მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება, რომ ჯარების უკან დახევა წესიერად სწარმოებდეს.

ცხენოსანმა რაზმმა დაიცვას ნორიო-გლდანის მიმართულება, დაიხოცონ ყველა და არ გამოუშვან მოწინააღმდეგე გლდანში. როდესაც ყველა ჯარები დაიხევენ და ზემო-ავჭალასა და გლდანს დაიკავენ ჩვენი უკანდახეული ჯარების, ცხენოსან რაზმმა დაიხოს გლდანში დამის 24 საათისთვის, 24-25 თებერვალს 24/II – 21 წ. №131 კვინიტაძე.¹

გენერალ მაზნიაშვილის დაქვემდებარებაში მყოფმა შენაერთებმა 3 საათზე დატოვეს პოზიციები და უკან დახევა დაიწყო და დაახლოებით 7 საათისთვის მიაღწიეს ავჭალას. მაზნიაშვილის ნაწილებზე წინ იგივე გზით გაიარა პოლკოვნიკ გედევანიშვილის დაჯგუფებამ.²

აღექსანდრე ჩხეიძის მიხედვით, მან შეკრიბა სკოლა და გამოიყვანა გზატკეცილზე. „გენ. ანდრონიკაშვილმა გაატარა თავის წინ რაზმის ყველა ნაწილი და თვითონ წამოვიდა ჯარების უკანასკნელ ჯგუფთან ერთად.“³ დილის 9-10 საათისთვის გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთებმა მცხეთას მიაღწიეს.⁴

მნიშვნელოვანი, რომ მოწინააღმდეგეს არა თუ ჩვენი უკანდახეული ჯარების დევნა არ დაუწყია⁵, არამედ გათენებამდე თბილისისკენაც არ დაძრულა. ჩვენი აზრით ეს იმაზე მიუთითებს, რომ მე-11 არმიის სარდლობისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ქართული შეიარაღებული ძალების მიერ თბილისის დატოვება.

მცხეთაში გაჩერება და პოზიციების დაკავება ვერ მოხერხდა. „პოლკებმა და განსაკუთრებით გვარდიამ სრულიად დაჰკარგეს ორგანიზაციული სახე. მცხეთის სადგურზე ხდებოდა რაღაც წარმოუდგენელი რამ! რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და გვარდიელი, უფორმო მასსად ქცეული, ვეებერთელა იარაღსა და წააგავდა. მთავარსარდლის ცდანი, რომ ჯარი დაწყობილიყო პოზიციებზე,

¹ მაზნიაშვილი გვ. 173-175

² მაზნიაშვილი გვ. 178

³ ჩხეიძე გვ. 47

⁴ კვინიტაძე გვ. 90

⁵ თევზაძე წერს, „მტერი არ აგვდევნებია. ჯარები მშვიდად მოემართებოდნენ“. თევზაძე გვ. 49

ტფილისის მიმართულებით, განსახორციელებლად შეუძლებელი შეიქმნენ. ორგანიზაციულად მოწყობილი ნაწილები უკვე აღარ არსებობდნენ. ხოლოდ სკოლა და ცხენოსანი პოლკის ორი ათასეული¹ იყო წესრიგში. სხვა ყველაფერი სამხედრო ბრბოს წარმოადგენდა.“² გენერალი მაზნიაშვილი ასე აფასებს ვითარებას, „მცხეთაში ჩვენთვის არ იყო მომზადებული პოზიციები. რკინიგზის ხიდთან, ზემო-ავჭალასა და მცხეთას შუა უკან დახეულ ჯარებს გზა შეეკრათ, რადგან ხეობა ამ ადგილას ძალიან ვიწროა და გზატკეცილი ჭრის რკინიგზის ხაზს ... მცხეთაში მთავარმა შტაბმა არ უჩვენა დივიზიებს ადგილები, რის გამო ჯარის ნაწილები ისე დაბანაკდნენ ვინც როგორ მოახერხა, მცხეთის სადგურსა და მონასტერს შორის. თავდაცვის არავითარი ზომები არ იყო მიღებული. მცხეთის პოზიციებზე დარჩენა შეუძლებელი იყო არმიის მცირერიცხოვნების გამო.“³ გენერალი კვინიტაძეც აღსტურებს, რომ მცხეთაში საშინელი ქაოსი იყო, თუმცა ამაში უპირველეს ყოვლისა გვარდიას ადანაშაულებს. „ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ამ ხალხს ჩემს მიერ დასახული პოზიციების დაცვა უკვე აღარ შეეძლო“, აღნიშნავს მთავარსარდალი⁴.

თბილისის დატოვებისთანავე დაიწყო დეზერტირობა⁵, რომლის მასშტაბები მასშტაბები ყოველდღიურად უფრო და უფრო კატასტროფული ხდებოდა. მდგომარეობა უმძიმესი იყო. გვარდია ფაქტობრივად აღარ არსებობდა. გვარდიის შტაბი თვლიდა, რომ გვარდიელების შეკრება, დააწყო, დააჯგუფება და მათგან საბრძოლო შენაერთების კვლავ ჩამოაყალიბება მხოლოდ გორში შეიძლებოდა.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით მთავარსარდალმა მცხეთიდან გორის მიმართულებით ორ კოლონად უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო. მარჯვენა კოლონა, რომელიც არმიის შენაერთებისაგან შედგებოდა, გენერალი ანდრონიკაშვილის სარდლობით ძეგვზე, ახალქალაქზე და დოესზე გავლით ივლიდა. მარცხენა კოლონას გვარდიის დარჩენილი მეომრები შეადგენდნენ,

¹ იგულისხმება ორი ესკადრონი

² ჩხეიძე გვ. 48

³ მაზნიაშვილი გვ. 178-179

⁴ კვინიტაძე გვ. 91

⁵ დეზერტირობა მანმდევ ქართული ჯარის ერთ-ერთი აქილევსის ქუსლი იყო.

რომლებიც გენერალ სოსო გედევანიშვილის¹ მეთაურობით მუხრანისა და იგოეთის გავლით იმოძრაებდნენ².

ამასობაში კი საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შენაერთები თბილისს იკავებდნენ. ველიკანოვის ინფორმაციით მისმა ქვედანაყოფებმა თბილისი 12 საათსა და 15 წუთზე დაიკავეს³. ხოლო უკვე 12 საათსა და 30 წუთზე კავკასიის ფრონტის სარდალი გიტისი მოსკოვში აგზავნის ცნობას თბილისის აღების შესახებ.⁴

იმავე დღეს მე-9 არმიამ ლიხნი აიღო, ხოლო 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადამ მამისონის უღელტეხილი გადმოლახა.

26-27 თებერვალი

ქართული შენაერთები უკანდახევას განაგრძობდნენ. 26 თებერვალს დილის 8-9 საათზე მთავარსარდალი უკვე გორში იყო. ამ ქალაქში ქართული ჯარი ორი დღე იყო გაჩერებული. მოწინააღმდეგე სერიოზულ შეტევას არ ახორციელებდა. მხოლოდ მისი ცალკეული მცირერიცხოვანი, სავარაუდოდ სადაზვერვო, ნაწილები თუ გამოჩნდებოდნენ. ჩვენი აზრით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თბილისის მისადგომებთან წარმოებულმა ბრძოლამ მე-11 არმია სერიოზულად დაასუსტა და დაქანცა. გორთან თავდაცვითი პოზიციების შექმნა საკმაოდ რთული იყო, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ „საჭირო იყო 10-ჯერ იმაზე მეტი ძალა, რაც მთავარსარდალს ხელთ ჰყავდა.“⁵

გორში ორდღიანი ყოფნის შემდეგ უკან დახევა ხაშურის მიმართულებით გაგრძელდა. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ასე აფასებს გენერალ კვინიტაძის გადაწყვეტილებას, „მთავარსარდალმა დაუშვა დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა იმით, რომ გორში გაჩერდა. თუ საჭირო იყო ტფილისის დაცლა უბრძოლველად, რასაც მე პირადად დღესაც არ ვეთანხმები ... მთავარი ძალები უნდა გადაეყვანა რკინის გზით სურამის უღელტეხილამდე და არიერგარდული ბრძოლებით შეეჩერებინა მოწინააღმდეგე⁶, რითაც შეძლებას მისცემდა ჯარებს გაემარებინათ უღელტეხილი და ამგვარად შესაძლებელი იქნებოდა პატარა

¹ საინტერესოა, რომ სოსო გედევანიშვილმა ნაცვლად იმის, რომ მთავარსარდალის ბრძანება შეესრულებინა, შენაერთები მიატოვა, მთავარსარდალისავე მატარებელში უკითხავად ჩაჯდა და ასე ჩავიდა გორში. ეს მის მიერ ჯარის მიტოვების უკვე მეორე შემთხვევა იყო. კვინიტაძემ იგი გადააყენა და მის ნაცვლად გენერალი სუმბათაშვილი დანიშნა.

² მაზნიაშვილი გვ. 179

³ გაზეთი „კომუნისტი“ №2 3/III 1921 წ.

⁴ Директивы т. III ст. 379

⁵ მაზნიაშვილი გვ. 180

⁶ რომელიც იმ მომენტში მაინცდამაინც თავგამოდებით არ დევნიდა ჩვენს ჯარს

ძალებით ერთ ადგილას გაჩერება, სანამ მოეშველებოდა დასავლეთ საქართველოში მობილიზაციით მოკრებილი ჯარები.“¹

გორში ორი დღით გაჩერება ალბათ მართლაც შეცდომა იყო. გაუგებარია რატომ მიიღო მთავარსარდალმა ეს გადაწყვეტილება. გორის მდებარეობის, მის ირგვლივ არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს, ჯარის მცირერიცხოვნების გათვალისწინებით თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ აქ სერიოზული თავდაცვითი პოზიციების შექმნა და მოწინააღმდეგესთან წარმატებული ბრძოლის გამართვა წარმოუდგენელი იქნებოდა.

27 თებერვალს მე-9 არმიის ნაწილებმა გუდაუთა აიღეს. ქართულმა შენაერთებმა ახალ ათონთან თავდაცვითი ზღუდე შექმნეს და პოზიციები დაიკავეს².

28 თებერვალი – 3 მარტი

28 თებერვალს გენერალი კვინიტაძე უკვე ხაშურში იყო და ცდილობდა ქართული შეიარაღებული ძალების წესრიგში მოყვანას და კონტრშეტევისათვის მომზადებას.

იმავე დღეს მოწინააღმდეგის ერთ-ერთმა შენაერთმა თრუსოს უღელტეხილი გადმოლახა და კობი დაიკავა³. სტეფანწმინდაში მყოფი ქართული ჯარის მცირე რაზმი ფაქტობრივად ალყაში მოექცა.

მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ ქართველი მეომრები აფხაზეთშიც. საბჭოთა მონაცემებით ახალი ათონის პოზიციებს 2000 მეომარი იცავდა. მათ 25 ტყვიამფრქვევი და 2 ზარბაზანი ქონდათ.⁴ 1 მარტს მოწინააღმდეგე ახალი ათონის პოზიციებს მოუახლოვდა. 2 მარტს კი შეტევაზე გადმოვიდა. რუსებმა სოფელ ანუხვადან ჩვენი თავდაცვითი ზღუდის მარჯვენა ფლანგის შემოვლა სცადეს, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს. 3 მარტს გენერალ ართმელიძის შენაერთები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს. ქართველების შეჩერების მიზნით მოწინააღმდეგე კვლავ სცადა ჩვენი მარჯვენა ფლანგის შემოვლა. ამჯერად რუსებმა თავისი ჩანაფიქრის შესრულება შეძლეს. ქართული ნაწილები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.⁵ მე-9 არმიის ნაწილებმა, თავისი დიდი რიცხოვნობის უპირატესობის წყალობით, ახალ

¹ მაზნიაშვილი გვ. 180

² დარსანია გვ. 139

³ Кадишев А.Б. ст.400

⁴ История Абхазской АССР 1983 г. ст. 75

⁵ გვ. 76

ათონთან არსებული თავდაცვითი ხაზი გაარღვიეს და მდ. გუმისთაზე გავიდნენ.¹

მე-11 არმიის შენაერთები უკანდახეული ქართული ჯარის დევნას არ ჩქარობდნენ. გორი მათ მხოლოდ 3 მარტს დაიკავეს².

3 მარტს გენერალმა კვინიტაძემ „ჯარები გადააჯგუფა და გასცა ბრძანება: 4 მარტს დილის შვიდ საათზე არმია შეტევაზე უნდა გადასულიყო: მარჯვენა საბრძოლო უბანს გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით უნდა ეწარმოებინა შეტევა მდინარე მტკვრის გასწვრივ ფრონტით რკინიგზამდე, სოფელ აღარაზე ... შემდეგ კი სოფელ ზემო გომზე. გენერალ მაზნიაშვილს, რომელიც მეთაურობდა შუა საბრძოლო უბანს, უნდა შეეცია მდინარე სურამულას გასწვრივ, მას უნდა აეღო სოფელი სატივე და შემდეგ სიმაღლე 332. მარცხენა საბრძოლო უბანს, რომელიც შედგებოდა გვარდიის ნაწილებისაგან, უნდა ეწარმოებინა შეტევა სოფელ ახარმიდან მდინარე ბენეულამდე, მარჯვენა ფრთით სიმაღლე 332-ზე, ხოლო მარცხენა ფრთით ნაბახტევზე. გვარდიის ცხენოსანი რაზმი შეტევას იწყებდა სოფელ ალიდან, ახალუბანზე გავლით. მარცხენა ჯგუფის რეზერვს გენ. ჯიჯიხიას მეთაურობით ებრძანა შეეცია სოფელ ქემფერზე, შემდეგ სიმაღლე 83-ზე სოფელ კლდისწყაროს ჩრდილოეთით. მარჯვენა ჯგუფის რეზერვი პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით უნდა დარჩენილიყო სარდლის განკარგულებაში ... ქართული ნაწილები ... 6 000 ჯარისკაცს³ აერთიანებდა, აქედან 3 000 გვარდიელი იყო. გვარდიელებს გენერალ კონიაშვილის მეთაურობით, ჩრდილო-დასავლეთიდან გაბატონებული სიმაღლეებიდან უნდა შეეციათ და ოსიაურის ველზე შეტევაზე გადასული არმიის წინ მდგარ მოწინააღმდეგეს ფლანგსა და ზურგში უნდა მოქცეოდნენ.“⁴

4 – 6 მარტი

ქართული ისტორიოგრაფიის მიერ თითქმის მივიწყებული ოსიაურთან მომხდარი ბრძოლა, დაწვრილებით შეისწავლა ახალგაზრდა მკვლევარმა დ.სილაქაძემ. ჩვენ მის ნაშრომზე დაყრდნობით მოკლედ გადმოვცემთ ბრძოლის მიმდინარეობას. „4 მარტს დილით ქართველთა შეტევა წარმატებით განვითარდა, მოწინააღმდეგის ნაწილები ... საარტილერიო ცეცხლის დახმარებით უკუაგდო მაზნიაშვილის ცენტრალურმა დაჯგუფებამ, ხოლო მეცხე ლეგიონმა დაიკავა

¹ დარსანია გვ. 140

² Кадишев А.Б. ст.401

³ ჩვენი აზრით, თბილისის დაცვაში 12-15 ათასი მეომარი მონაწილეობდა. სახეზეა დეზერტირობის მასშტაბები და ამ მოვლენის კატასტროფული შედეგები.

⁴ სილაქაძე დ. ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები I 2011 წ. გვ. 250-251

სატივე. წარმატებით ვითარდებოდა მოვლენები, სუმბათაშვილისა და კონიაშვილის საბრძოლო უბნებზე ... მარცხენა ფლანგზე წარმატებული გამოდგა გვარდიელების შეტევა, მათ ფლანგიდან შემოუარეს მოწინააღმდეგეს, რომელიც უკვე ზარბაზნებს ტოვებდა ბრძოლის ველზე და გარბოდა, თუმცა დაბინდებამდე მტრის ზურგში გასვლა ვერ მოხერხდა ... როგორც ჩანს ქართველთა წარმატება იმდენად სერიოზული იყო, რომ მეთერთმეტე არმიის მეთაურმა თითქმის უკანასკნელი ძალები გადაისროლა ხაშურისკენ ... როგორც კვინიტაძე იხსენებს, გენშტაბის მაღალჩინოსნები მოწინააღმდეგის მოსალოდნელი განადგურების გამო, სიხარულით ხელებს იფშენებდნენ ... მაგრამ ამ სასიხარულო განწყობას 5 მარტის ღამის პირველ საათზე გენ. კონიაშვილის შეტყობინებამ ცივი წყალი გადაასხა. გენერალმა მთავარსარდალს უპატაკა, რომ გვარდიამ თვითნებურად, ბრძოლის გარეშე მიატოვა პოზიციები და სურამისკენ დაიხია ... გვარდიელთა უკანდახევა მტერმა შენიშნა და თავისი ნაწილები ჩრდილოეთისაკენ დაძრა ... მოწინააღმდეგე უკვე თვითონ უგლიდა ქართველთა ფლანგს და ახლა ქართული ჯარი ექცეოდა ალყაში. ამიტომ მთავარსარდალი იძულებული გახდა სამხედრო ნაწილები უკან, ლიხის ქედისაკენ დაეხია. არმიის ნაწილებმა დაიკავეს პოზიციები სოფ. ქვიშხეთიდან სოფ. ტერეზამდე, ხოლო მის მარცხნივ უღელტეხილამდე პოზიციები გვარდიას უნდა დაეკავებინა. მთავარსარდალის შტაბი განთავსდა სადგურ წიფაში. გიორგი მაზნიაშვილის ამგვარი განლაგება არასწორად მიაჩნდა, რადგანაც, მოწინააღმდეგე პირველ რიგში უღელტეხილისა და სოფელ ფონას ხელში ჩაგდებას შეეცდებოდა და ამით გვერდს აუქცევდა რკინიგზის გვირაბს, სწორედ ამ ადგილზე უნდა ყოფილიყო განლაგებული არმიის და არა გვარდიის ნაწილები, რომლებიც ნაკლებად ბრძოლისუნარიანი იყვნენ“.¹

გიორგი მაზნიაშვილი წერს, „ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ სურამის უღელტეხილის პოზიციებზე ჩვენ დიდხანს შევჩერდებოდით“.² ასე არ მოხდა. დამატებითი ძალებით გაძღვრებულმა მტერმა 6 მარტს უღელტეხილს შეუტია.³ მოწინააღმდეგემ იერიში ჩვენს მარცხენა ფრთაზე მიიტანა. გვარდიელებმა პოზიციები ვერ შეინარჩუნეს და უკან დახევა დაიწყეს. მთავარსარდალმა გვარდიელთა დახმარებ გენერალ სუმბათაშვილისა და გენერალ მაზნიაშვილის შენაერთებით სცადა. ვითარება სწრაფად იცვლებოდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ გენერალ მაზნიაშვილს თითქმის ყოველ ერთ

¹ სილაქაძე გვ. 252-254

² მაზნიაშვილი გვ. 185

³ სილაქაძე გვ. 255

საათში ახალ-ახალი, სხვადასხვა მითითებების შემცველი ტელეფონოგრამები მოსდიოდა¹.

ლიხის ქედზე პოზიციების შენარჩუნება ვერ მოხერხდა. მაზნიაშვილის ნაწილებმა უკანასკნელებმა დატოვეს პოზიციები და სადგურ მოლითისკენ დაიხიეს. აქ მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტაძემ მაზნიაშვილი არიერგარდის უფროსად დანიშნა. „აქედან იწყება არიერგარდული უკან დახევა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ არიერგარდს დღისით ეჭირა პოზიციები სადგურთან, ხოლო ღამით გადადიოდა მეორე სადგურზე. მოწინააღმდეგე არ იჩენდა არავითარ აქტივობას და დღის განმავლობაში არ აწარმოებდა ენერგიულ წინსვლას. მაგრამ საღამოზე, როცა ჩვენ პოზიციებს მოუახლოვდებოდა მოწინააღმდეგის მეწინავე რაზმები, ჩვენი ჯარები სტოვებდნენ პოზიციებს და იხევდნენ შემდეგი სადგურისკენ. ამგვარად მივედით ხარაგაულის სადგურამდე.“²

თბილისის დატოვებისა და ხაშურამდე უკან დახევის შემდეგ ომის ჩარხის შემოტრიალება უკვე ძალიან ძნელი იყო. ერთადერთი მცირე შანსი რჩებოდა: ლიხის ქედზე გამაგრება და მე-11 არმიის შეჩერება; მე-9 არმიის შენაერთების მდ. კოდორზე (უკიდურეს შემთხვევაში მდ. ენგურზე) შეკავება; აღმოსავლეთ საქართველოში პარტიზანული მოქმედებების დაწყება; დასავლეთ საქართველოში მობილიზაციის შედეგად დამატებითი შენაერთების ჩამოყალიბება და კარგად მოფიქრებული და მომზადებული კონტრშეტევის განხორციელება. ოსიაურის ბრძოლაში განცდილმა მარცხმა და უღელტეხილის დაკარგვამ ფაქტობრივად საბოლოოდ გადაწვიტა ომის ბედი. დასავლეთ საქართველოში გადასული მტრის შეჩერება უკვე ძალიან ძნელი იყო. მიუხედავად ამისა ქართული მხედრობა ბრძოლას არ წყვეტდა.

რთული ვითარება იყო აფხაზეთის ფრონტზეც. 4 მარტს მტერმა სოხუმი აიღო. ქართული შენაერთები უკან დახევას განაგრძობდნენ. 5 მარტს ისინი მდ. კოდორის მარცხენა სანაპიროზე გადავიდნენ და ხიდი ააფეთქეს³.

7 – 18 მარტი

7 მარტს მტერმა ბორჯომი აიღო, ხოლო აფხაზეთის ფრონტზე ოჩამჩირე დაიკავა. იმავე დღეს ქემალისტების შენაერთები ახალციხეში შევიდნენ¹.

¹ მაზნიაშვილი გვ. 187

² მაზნიაშვილი გვ. 188

³ История Абхазской АССР 1983 г. ст. 78

მთავარ მიმართულებაზე მე-11 არმიის მეწინავე ნაწილებმა 20 საათსა და 50 წუთზე დაიკავეს სადგური წიფა.²

8 მარტს მე-9 არმიის შენაერთები მდ. ენგურს მოადგნენ, ხოლო მე-11 არმიის ნაწილები 17 საათზე ახალციხეში შევიდნენ³. ქემალისტებმა ქალაქი დატოვეს და არდაგანისკენ დაიხიეს.

9 მარტს მე-9 არმიის ნაწილები ზუგდიდში შევიდნენ.

ამ დროისათვის შემდეგი ვითარება იყო შექმნილი: მე-11 არმიის ნაწილები კვალდაკვალ მოყვებოდნენ უკან დახეულ ქართულ შენაერთებს, მაგრამ დიდ აქტივობას არ იჩენდნენ; რაჭის მხრიდან მომავალ მტერს ქართულმა ნაწილებმა ხვანჭკარისა და ნიკოწმინდა-შქმერის მიდამოებში ბრძოლა კი გაუმართეს⁴, მაგრამ მტერი წინსვლას განაგრძობდა; გენერალ ართმელიძის ქვედანაყოფები მტრის შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და ახალსენაკის მიმართულება უკან იხევდნენ. არსებობდა საფრთხე, რომ მტერი სამტრედიას დაიკავებდა. ამის თავიდან ასაცილებლად ართმელიძის შენაერთების დასახმარებლად გენერალი მაზნიაშვილი გაიგზავნა.

სამტრედიაში ჩასული მაზნიაშვილი გენერალ ანდრონიკაშვილს შეხვდა, რომელიც ამ დროისათვის მთავარსარდლის მოადგილედ იყო დანიშნული. ანდრონიკაშვილმა მაზნიაშვილს მტრის ახალსენაკთან შეჩერება უბრძანა. რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მაზნიაშვილს პოზიციები უნდა შეენარჩუნებინა და სანამ ქუთაისიდან ევაკუაცია არ დასრულდებოდა, მოწინააღმდეგის სამტრედიისკენ წინსვლა არ უნდა დაეშვა.⁵

ბრძანების მიღების შემდეგ მაზნიაშვილის შენაერთები ახალსენაკისკენ დაიძრნენ, სადაც ისინი ართმელიძის ქვედანაყოფებს შეხვდნენ.

10 მარტს გამთენიისას მე-9 არმიის ნაწილებმა მდ. ცივის მარცხენა სანაპიროზე გამაგრებულ ქართულ შენაერთებს შეუტყეს. მაზნიაშვილმა იერიში მოიგერია და ამით გენერალ ართმელიძის ქვედანაყოფებს აბაშისკენ უკან დახევის საშუალება მისცა.

10 მარტსვე მე-11 არმიის მეწინავე ნაწილები ქუთაისს მიუახლოვდნენ და ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ 17 საათზე ქალაქი დაიკავეს⁶. ერთ-ერთმა

¹ ამ დროს მისკოვში მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტებს შორის. ახალციხეში ქემალისტთა შენაერთების შესვლამ მოლაპარაკებაზე ვითარება დაძაბა. ამ საკითხზე ნოტების გაცვლაც კი მოხდა.

² გაზეთი „კომუნისტი“ №8 10/III 1921 წ.

³ გაზეთი „კომუნისტი“ №8 10/III 1921 წ.

⁴ ღორთქიფანიძე გვ. 221

⁵ მაზნიაშვილი გვ. 189

⁶ გაზეთი „კომუნისტი“ №11 15/III 1921 წ.

უკანასკნელმა, მოწინააღმდეგის ტყვიების ქვეშ ქალაქი გენერალმა ანდრონიკაშვილმა დატოვა.¹

11 მარტს გენერალმა ანდრონიკაშვილმა მაზნიაშვილს აცნობა, რომ ევაკუაცია დამთავრებულია და ხვალ დილიდან უკვე შეუძლია უკან დაიხიოს.² იმავე დღეს ქართულმა ჯავშანმატარებელმა, ვალოდია გოგუაძის ძმის, ალფეს გოგუაძის³ მეთაურობით კიდევ ერთი გმირული ფურცელი ჩაწერა, საქართველოს მხედრობის ისტორიაში. ჯავშანმატარებელი ქუთაისის სადგურში შევარდა, „იქ მყოფი მტერი გაფანტა, რამდენიმე კაცი ტყვედ აიყვანა, ჯავშანმატარებელს დარჩენილი ქონებით დატვირთული რამდენიმე ვაგონი ჩააბა და სადგურ რიონში დაბრუნდა.“⁴

11 მარტს ქემალისტების საჯარისო ნაწილები ყაზიმ ქარაბეკირის მეთაურობით ბათუმში შემოვიდნენ.

12 მარტს დილით ადრე მაზნიაშვილმა უკან დახევა დაიწყო. დილის 8 საათზე მდ. რიონზე გადავიდა, ხიდი ააფეთქა და სადგურ საჯავახოზე პოზიციები დაიკავა.⁵ მდ. რიონზე გადასვლას გენერალი კვინიტაძეც 12 მარტით ათარიღებს.⁶ ათარიღებს.⁶

მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე ქართულმა შენაერთებმა თავდაცვის უკანასკნელი ზღუდე დაიკავეს. მტერმა სადგურ საჯავახოს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ ქართველმა არტილერისტებმა საპასუხო ცეცხლით მტრის არტილერია ნახევარ საათში ჩააჩუმეს.⁷

ომის მოგების თეორიული შანსიც კი აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა მაზნიაშვილთან მაინც მოდიოდნენ მოხალისეები. მოდიოდნენ საკუთარი იარაღით, საკუთარი საგზლით და უდიდესი სურვილით ბოლომდე ებრძოლათ საქართველოს თავისუფლებისათვის. მოხალისეთა ხარჯზე ჯარის რაოდენობა გაიზარდა და გენერალ მაზნიაშვილის ცნობას თუ ვენდობით 16 მარტისთვის მას 9 800 მეომარი ჰყავდა.⁸

13 მარტს მთავარსარდალი კვინიტაძე ბათუმში ჩავიდა⁹, სადაც უკვე იმყოფებოდნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები. 13 მარტს 20

¹ კვინიტაძე გვ. 114

² მაზნიაშვილი გვ. 190

³ ალფეს გოგუაძე №4 ჯავშანმატარებლის მეთაური იყო.

⁴ კვინიტაძე გვ. 114

⁵ მაზნიაშვილი გვ. 190

⁶ კვინიტაძე გვ. 117

⁷ მაზნიაშვილი გვ. 191

⁸ მაზნიაშვილი გვ. 192 (სხვა წყაროებით ამ ინფორმაციის გადამოწმება ვერ ხერხდება)

⁹ კვინიტაძე გვ. 118

საათზე მტერმა ფოთი აიღო. ამის შემდეგ მოწინააღმდეგეს აქტიური სამხედრო ოპერაციების თითქმის აღარ უწარმოებია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ბათუმში ქემალისტების სამხედრო ნაწილები იმყოფებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლებას კი მათთან ღია და პირდაპირი შეტაკება არაფერში ჭირდებოდა¹. ჭირდებოდა¹. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 14 მარტის ოპერატიული ცნობის თანახმად, „წასულ დღე-ღამის განმავლობაში ფრონტზე ბრძანების თანახმად საომარი მოქმედებები არსად ყოფილა“². ანალოგიური ინფორმაციაა დაცული 17 მარტის ოპერატიულ ცნობაშიც, „ფრონტზე წასულ დღეს სამხედრო მოქმედებები არ ყოფილა“³.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გენერალი მაზნიაშვილი ბათუმისკენ გაემართა. ჩაქვში მას აღფეს გოგუაძის ჯავშანმატარებელი დახვდა და ბათუმამდე გზა ერთად განაგრძეს⁴. ბათუმში ჩასულმა გენერალმა მაზნიაშვილმა მაზნიაშვილმა ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების ნაწილთან ერთად კიდევ ერთი სახელოვანი ომი გადაიხადა, თუმცა ეს უკვე სხვა ომი იყო და მისი აღწერა ამჯერად ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცდება.

17 და 18 მარტს ქუთაისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელს გრიგოლ ლორთქიფანიძესა და საქართველოს რევკომის წევრ მამია ორახელაშვილს შორის შემდგერი მოლაპარაკების შედეგად სამხედრო მოქმედებები შეწყდა.

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ყოველთვის ჩნდება რიტორიკული კითხვა, შეეძლო თუ არა საქართველოს მტრის დამარცხება და დამოუკიდებლობის შენარჩუნება? პასუხი ამ კითხვაზე, რომელიც უკვე თეორიული მსჯელობის სფეროს განეკუთვნება და ისტორიას სცილდება, ერთი შეხედვით მარტივია. საკმარისია ერთმანეთს თუნდაც საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ტერიტორიული სიდიდე შევადაროთ. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, საქართველოს გააჩნდა სათანადო რესურსი, რათა 1921 წელს მტერი დაემარცხებინა. საჭირო იყო ამ რესურსის სწორი გამოყენება.

საქართველოს ხელისუფლებას რომ ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებისთვის სათანადო ყურადღება დაეთმო, სახალხო გვარდიის სახით არ

¹ 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტებს შორის, რომლითაც დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი.

² გაზეთი „კომუნისტი“ №13 17/III 1921 წ.

³ გაზეთი „კომუნისტი“ №15 20/III 1921 წ.

⁴ მაზნიაშვილი გვ. 197

შექმნა არმიის პარალელური სამხედრო სტრუქტურა¹, მეტი ნდობა გამოეჩინა ქართველი გენერლებისა და ოფიცრებისადმი, გვეყოლებოდა ჯარი რომელიც არა მარტო მე-11 არმიას, არამედ ბევრ სხვა მოწინააღმდეგესაც სძლედა.

რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს: რომ საბჭოთა რუსეთი კვლავ არ ეცდებოდა საქართველოს დაპყრობას, რომ საქართველო ყოველთვის შეძლებდა აგრესორის დამარცხებას, რომ ჩვენ აუცილებლად დავრჩებოდით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სულ მცირე 1939-1940 წლებამდე მაინც და სხვ. ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ 1921 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარე ომს.

„ამრიგად, თვენახევარი მძიმე და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ძლეულ იქნა პატარა საქართველო უსწორო ომში. ძნელია იმის თქმა, თითქოს რესპუბლიკამ სავსებით შესძლო ამოეწურა ყველა არსებული ძალები და საშუალებანი ამ ომში; მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველშემთხვევაში მხოლოდ სასწაულით თუ შეიძლებოდა ხსენებულ ომიდან გამარჯვებული გამოსვლა. ვინაიდან ისეთი ჯერ არნახული ძალთა განწყობილება შეიქმნა: პატარა საქართველოს წინააღმდეგ ბუმბერაზი რუსეთი ... მალე ოსმალეთის არმიაც დაიძრა საქართველოს წინააღმდეგ. ასეთ პირობებში საქართველოსთვის ომის მოგება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, მაგრამ ქართველი ხალხი კარგად, ძლიერ კარგად იცნობდა ორივე დამპყრობლის მონურ-დესპოტურ ბუნებას და იცოდა, რომ მათ წინაშე ლაჩრულად ქედის მოხრა ათწილ უბედურებას დაატეხდა საქართველოს, ვიდრე ღირსეული ბრძოლა და ღირსეულათვე დამარცხება. ისიც იცოდა, რომ დამარცხებით გათვებული სახელოვანი ბრძოლა არამც თუ სჯობს ნაძრახ ყმობას, არამედ სრულიად აუცილებელი იყო და არის საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნული სიცოცხლისა და სახელმწიფო თავისუფლებისათვის. და აი, სწორედ ამ სამარადისო საქმეს ჩაუყარა მტკიცე

¹უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატთა ნაწილი თავადაც ხვდებოდა ამ ორი სტრუქტურის გაერთიანების საჭიროებას. გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც 1920 წელს სამხედრო მინისტრი იყო წერდა, „თუ მანამდე არა, ყოველ შემთხვევაში 1920 წლიდან მაინც, განსაკუთრებით ამ წლის ზაფხულიდან, მაის-ივნისის რუსეთ-საქართველოს (აზერბაიჯანის საზღვარზე) ომის შემდეგ ნათელი უნდა ყოფილიყო, თუ რამდენად აუცილებელი და მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ორი ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი სამხედრო ორგანიზაციის ერთად შედუღაბება. ყოველ შემთხვევაში მუდმივი ნაწილებისა და ხელმძღვანელ ცენტრების გაერთიანებით საქმის დაწყება და საერთოდ აქეთკენ კურსის აღება და არა საწინააღმდეგო გზით სიარული და მანევ პარალელიზმის კიდევ უფრო გაძლიერება და გაღრმავება. ამას მოითხოვდა რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური და მხედრული ინტერესები“. (ლორთქიფანიძე გრ. „მხედარი“ 1991 წელი №1). თავად გრ. ლორთქიფანიძესთან დაკავშირებით რ. გაბაშვილი წერს, „მე არ ვიცი ვისი კანდიდატურა იყო მეორე პატიოსანი და მვლენე სოციალ-დემოკრატი ბატონი გრ. ლორთქიფანიძე, მაგრამ ექვს თვესაც არ გააჩერეს სამხედრო მინისტრად, რადგან ჯარზე მზრუნველობა გამოიჩინა“ (გაბაშვილი გვ. 302).

საფუძველი ქართველი ხალხის უკანასკნელმა „თავხედმა და ქედმაღალმა“
ბრძოლამ ყოველ მხრიდან მოზღვავებულ მტრის წინააღმდეგ.“¹

დანართი №1 საბჭოთა რუსეთის აგენტურული მონაცემები ქართული
შეიარაღებული ძალების შესახებ

სამხედრო ნაწილის დასახელება	ათასეული	ასეუ ლი	ესკადრონი	ხიშტი	ხმალი	ტყვიამფრ ქვევი	სამთო ზარბაზ ანი	მსუბუქი/ საველე ზარბაზა ნი	ჰაუბიცა
ქვეითთა ნაწილები									
I ბრიგადა									
I-ლი ათასეული.	1	5	-	550 850(არასა მწყობრო)	-	22	-	-	-
I-ლი საარტილერიო დივიზიონი	-	-	-	400 600	-	6	8	4	-
ერთ ბრიგადაში	4	20	-	2600 4000	-	94	8	4	-
სამივე ბრიგადაში	12	60	-	7800 12000	-	282	24	12	-
არტილერია									
საარტილერიო დივიზიონი	-	-	-	400 600	-	6	4	4	4
კავალერია									
საკავალერიო პოლკი	-	-	4	-	700	6	-	-	-
ქართულ- მუსლიმური დივიზიონი	-	-	2	-	300	6	-	-	-
საინჟინერო- ტექნიკური ნაწილები									
მესანგრეთა ათასეული	1	4	-	800 1000	-	-	-	-	-
საავტომობილო ასეული	-	1	-	200	-	-	-	-	-
საავიაციო ასეული	-	1	-	200	-	-	-	-	-
რადიო- სატელეგრაფო ასეული	-	1	-	100	-	-	-	-	-
სამხედრო სკოლა	-	2	-	600 800	-	12	-	-	-
სახალხო გვარდია									
ქვეითთა 16 ბატალიონი	16	80	-	16000	-	364	-	-	-
საარტილერიო ბრიგადა	-	-	-	-	-	8	12	12	-
ცხენოსანი დივიზიონი	-	-	2	-	300	6	-	-	-
4 ჯავშანმატარებელი	-	-	-	-	-	40	-	6	-
სასაზღვრო დაცვა									
6 რაზმი	6	18	-	3600	1800	-	-	-	-

¹ ლორთქიფანიძე გვ. 225-226

სადარაჯო ნაწილები									
თბილისისა ქუთაისის ბატალიონები	და	2	6	-	600	-	-	-	-
სულ		37	173	8	29800 35100	3100	730	40	36
საგანგებო რაზმი		-	-	-	1000	-	-	-	-
დასახლებული პუნქტების მილიცია		-	-	-	12000	-	-	-	-

დანართი №2

ქართული ჯარის შემადგენლობა და რაოდენობა, გენერალური შტაბის მონაცემებით, 1920 წლის 25 აგვისტოსათვის.

	სიითი შემადგენლობა	სახეზე იყო
I ბრიგადა. შტაბი	73	54
1-ლი ათასეული	4085	2034
მე-2 ათასეული	1967	1922
მე-3 ათასეული	2111	1534
მე-4 ათასეული	1812	1424
1-ლი არტ.დივიზიონი	771	684
	10819	7652
II ბრიგადა. შტაბი	42	31
მე-5 ათასეული	3236	1920
მე-6 ათასეული	3605	2225
მე-7 ათასეული	3131	1563
მე-8 ათასეული	1509	1297
მე-2 არტ.დივიზიონი	596	567
	12119	7603
III ბრიგადა. შტაბი	29	14
მე-9 ათასეული	1828	1612
მე-10 ათასეული	2059	1582
მე-11 ათასეული	1815	1308
მე-12 ათასეული	1683	865
მე-3 არტ.დივიზიონი	811	586
	8225	5967
საარმიო არტილერია	537	379
სადარაჯო ათასეული	926	658
სანაპირო ათასეული	3025	2418
მესანგრეთა ათასეული	638	207
საავიაციო რაზმი	189	172
ავტო-რაზმი	299	298
რადიო-რაზმი	197	119
ცხენოსანი რაზმი	693	418

	<i>37667</i>	<i>25891</i>
--	--------------	--------------

დანართი №3

ქართული ჯარის შემადგენლობა და რაოდენობა, გენერალური შტაბის არასრული მონაცემებით, 1921 წლის იანვრის ბოლოსათვის.

	სიითი შემადგენლობა	სახეზე იყო
I ბრიგადა		
1-ლი ათასეული	625	570
მე-2 ათასეული	1344	1214
მე-3 ათასეული	612	467
მე-4 ათასეული	672	383
1-ლი არტ.დივიზიონი	257	211
	<i>3510</i>	<i>2845</i>
II ბრიგადა		
მე-5 ათასეული	ინფორმაცია არაა	
მე-6 ათასეული	249	249
მე-7 ათასეული	351	358
მე-8 ათასეული	385	200
მე-2 არტ.დივიზიონი	272	272
	<i>1257</i>	<i>1079</i>
III ბრიგადა		
მე-9 ათასეული	568	505
მე-10 ათასეული	614	594
მე-11 ათასეული	357	337
მე-12 ათასეული	334	265
მე-3 არტ.დივიზიონი	413	364
	<i>2286</i>	<i>2065</i>
საარმიო არტილერია	189	189
სადარაჯო ათასეული	486	486
სანაპირო ათასეული	ინფორმაცია არაა	
მესანგრეთა ათასეული	ინფორმაცია არაა	
საავიაციო რაზმი	122	93
ავტო რაზმი	ინფორმაცია არაა	
რადიო რაზმი	ინფორმაცია არაა	
ცხენოსანი რაზმი	ინფორმაცია არაა	

დანართი №4


თბილისის დაცვაში მონაწილე ქართული არმიის შენაერთები და მათი მეთაურები

საარმიო შენაერთი	მეთაური
1-ლი ათასეული	პოლკოვნიკი გეგელაშვილი
მე-4 ათასეული	პოლკოვნიკი პლატონ ჩიქოვანი
მე-7 ათასეული	პოლკოვნიკი იესე ვაჩნაძე
მე-9 ათასეული	პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე
მე-10 ათასეული	პოლკოვნიკი საგინაშვილი
სადარაჯო (საყარაულო) ათასეული	პოლკოვნიკი დავით ვაჩნაძე

დანართი №4

ქართული შენაერთების განლაგება 18 თებერვალს

I - მე-4 ათასწლეული
 II - სამხედრო სკოლა
 III - მე-9 ათასწლეული
 IV - საღვრანაჯო ათასწლეული
 V - ხაშურის ბატალიონი
 VI - გორის ბატალიონი
 VII - იმერეთის მე-2, ზუგდიდისა და დუშეთის ბატალიონები



1 - სურსათი
 2 - ტანსაცმელი